www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ოთხშაბათი, 14 მაისი, 2003 წელი. №130 (342)
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### რუსთავში "მაჟორიტართცვენა" იწყება

საპარლამენტო არჩევნებისათვის რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის მომხიბლავ სკამს ბევრი მუშტარი ეყოლება. ჩვენი ინფორმაციით, ამჟამინდელი მაჟორიტარი როლანდ მგალობლიშვილი, რომლის პარლამენტარობა ჯერაც არ დაკანონებულა, კვლავაც აპირებს კენჭისყრას, თუ, რა თქმა უნდა, არჩევნები არ გადაიდო.

A2

## ეკონომიკა

### ჭორბენაძემ კონტრაბანდასთან ბრძოლა პირად კონტროლზე აიყვანა

არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფმა საქართველოში სიგარეტის კონტრაბანდის მონიტორინგი ჩაატარა.არასამთავრობოებმა, სახელმწიფო მინისტრს, ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებისა და საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოსთხოვეს.

A4

## უცხოეთი

### ფრანგები საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ

2003 წლის 13 მაისი თანამედროვე საფრანგეთის ისტორიაში უნიკალურ თარიღად შევა. ამ დღეს უპრეცედენტო, 24-საათიანი გაფიცვა მოეწყო, რომელშიც, პრაქტიკულად, სახელმწიფო სექტორის ყველა დარგის მუშაკებმა მიიღეს მონაწილეობა. გაფიცვა პრემიერ-მინისტრ ჟან-პიერ რაფარენის გეგმების საპასუხოდ მოეწყო, რომელიც ქვეყანაში საპენსიო რეფორმის განხორციელებას აპირებს.

A5

## საზოგადოება

### განძის მოგზაურობის პირობებს სასამართლო დაადგენს

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს პროცესი, რომელიც საქართველოში, 1999-2000 წლებში ეროვნული განძის გატანასთან დაკავშირებულ, გახმაურებულ მოვლენებს ეხება. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ პროცესზე შუამდგომლობა დააყენა, იგი მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქვეყნის პრეზიდენტის სასამართლო პროცესში მხარეებად ჩართვას ითხოვს.

A6

## სამართალი

### გენერალური პროკურატურა პრეზიდენტთან აუდიენციის მოლოდინშია

*რამდენიმე დღის წინ პარლამენტის შენობაში მომხდარი ინციდენტის გამოძიება, რომლის დროსაც ვახტანგ რჩეულიშვილს თავი გაუტყდა, გენერალურ პროკურატურას ჯერ არ დაუსრულებია. გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები დღეს პრეზიდენტს ეწვევიან და სისხლის სამართლის საქმეს წარუდგენენ.*

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 26 |
| ქუთაისი | 29 |
| ბათუმი | 26 |
| სოხუმი | 27 |
| ფოთი | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.4390 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4353 |
| რუბლი | 0.0693 |

# საქართველო და ნატო

## რატომ ნატო?

თემურ იაკობაშვილი
საქართველოს სტრატეგიის და საერთაშორისო კვლევების ფონდი

*ნატო-ში და, ზოგადად, ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია, უკვე კარგა ხანია, გასცდა ვიწრო, კულუარულ საუბრებს და პოლიტიკური დებატებისა თუ პროგრამების სახე მიიღო. ნატო-ში გაწევრიანებაში ზოგი საქართველოს, ზოგი კი საკუთარი ხელისუფლების გადარჩენის ერთადერთ საშუალებას ხედავს. არიან ისეთებიც, რომლებსაც "კაკბი ჩეგო ნე ვიშლო" პრინციპით ჩრდილოელი მეზობლის განაწყენებისა ეშინია. უმეტესობა კი, ალბათ, იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც ელექტროენერგიის გენერაცია უფრო ადარდებს, ვიდრე ინტეგრაცია.*

### ყოფნა, არყოფნა

სანამ ინტეგრაციის საკითხის განხილვაზე გადავალთ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, თვით ნატო-ს დღევანდელ სტატუსზე გვეთქვა ორიოდ სიტყვა. სოციალისტური ბლოკისა და ვარშავის ხელშეკრულების დაშლის შემდეგ, არ ცხრება სპეკულირება ნატო-ს მომავალზე. ბევრს მიაჩნდა, რომ ნატო ავტომატურად უნდა დაშლილიყო. მანამდე, საფრანგეთის მიერ ამ ორგანიზაციის დროებით დატოვებაც ასევე დაშლის სიმპტომად აღიქმებოდა. იგივე ეს "წინასწარმეტყველებდნენ" ბალკანეთის, ავღანეთისა და ერაყის ომების დაწყების წინა პერიოდებშიც.

გაგრძელება B1 გვერდზე

## "საქართველოს პრობლემების გადალახვა მარტოს არ მოუწევს"

ნატო-ს გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის წერილი B1



ჯორჯ რობერტსონი.

## „ჩვენ მომავალი უნდა გვაერთიანებდეს„

### ოპოზიცია ცდილობს, კინკლაობა დაივიწყოს

ვერიკო თევზაძე

***"ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, გუშინ და გუშინწინ ვინ რაზე ვაკრიტიკებდით ერთმანეთს. ვიმეორებ: მომხრე ვარ ერთი, დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნისა,"*** *-აცხადებს "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია. მისი აზრით, ხელისუფლების დამარცხება მხოლოდ გაერთიანების გზით არის შესაძლებელი. ვიმედოვნებთ, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის გუშინ გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებები მრავალმხრივად იქცევა, ანუ გაერთიანება, რომელზეც უკვე დიდი ხანია, დაიწყო საუბარი, რეალობა გახდება.*

გუშინ ოპოზიციური პარტიები ცალ-ცალკე აწერდნენ ხელს შეთანხმების დოკუმენტებს. თავდაპირველად შეთანხმება "ლეიბორისტებმა" და "ახალმა მემარჯვენეებმა" გააფორმეს. შემდეგ "ახლები" ეწვივნენ "ნაციონალურ მოძრაობა – დემოკრატიულ ფრონტს", სულ ბოლოს კი "გაერთიანებულ დემოკრატებს" და მსგავს შეთანხმებებს მოაწერეს ხელი.

პარტიები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან, შეთანხმებულად იმოქმედონ და ხელისუფლებას არ მისცენ არჩევნების გაყალბების ან მისი ჩაშლის საშუალება. მიუხედავად ამისა, ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, ჯერჯერობით, მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა უჭირთ.

"ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს იდეის დონეზეც უჭირს თანხმობა. ნათელაშვილი აცხადებს, რომ შევარდნაძე, ჟვანია და სააკაშვილი მისთვის ის სამეულია,

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვუდროფის საქმე

სოფიკო ჩხაიძე
ინგა ალავიძე

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. N129**

### შემთხვევით დაკავებული სამეული

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების თანამშრომლის სტატუსს ამოფარებული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი, რომელსაც საქართველოში ამერიკის პოლიტიკური პროექტების განხორციელება ევალებოდა, ვერასოდეს იფიქრებდა, თუ მისი სასიამოვნო უიკენდი მცხეთა-ნატახტრის გზაზე ტრაგიკულად დასრულდებოდა.

ალბათ, ვერც აფხაზეთის ომიდან რამდენიმე დღით თბილისში ჩამოსული 21 წლის გვარდიელი ანზორ შარმაიძე წარმოიდგენდა, რას უმზადებდა ბედისწერა - რომ მას გაასამართლებედნენ CIA-ს სპეციალური აგენტის, ანუ იმ ადამიანის მკვლელობისთვის, რომლის არსებობის შესახებაც ადრე არაფერი გაეგონა.

გაგრძელება A3 გვერდზე




## ერ-რიადში ამერიკელები მოკლეს

ორშაბათს გვიან ღამით საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში სამი აფეთქება მოხდა. სამივე ტერორისტული აქტი, თითქმის, ერთდროულად იმ საცხოვრებელ სახლებთან განხორციელდა, სადაც ბევრი ამერიკელი და დასავლეთ ევროპის მოქალაქე ცხოვრობს.

აღსანიშნავია, რომ აფეთქება კოლინ პაუელის საუდის არაბეთში ჩასვლის წინა დღეს მოხდა. "დაახლოებით 40 ამერიკელი დაჭრილია და ერ-რიადის საავადმყოფოშია გადაყვანილი", - განაცხადა აშშ-ის ელჩმა საუდის არაბეთში რობერტ ჯორდანმა "სი-ენ-ენ-თან" საუბრისას.

მოგვიანებით, ერ-რიადში მყოფმა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ "დაახლოებით 10 ამერიკელი დაიღუპა". "როიტერის" ცნობით, ტერაქტმა სულ ერ-რიადში 29 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

შეერთებული შტატების ანტიტერორისტული სამსახურების წარმომადგენლების თქმით, ერ-რიადში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში დამნაშავე ალ-ქაიდას ქსელია. გასულ კვირას, საუდის არაბეთის შეიარაღებულმა ძალებმა, ერ-რიადში ეჭვმიტანილებს ცეცხლი გაუხსნეს. საუდის არაბეთის პოლიციის წარმომადგენელთა მტკიცებით, მათ ალ-ქაიდასთან კავშირი ჰქონდათ.

საუდის არაბეთში მზარდი ანტიამერიკული განწყობა ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. 1995 წელს ერ-რიადში განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად ხუთი ამერიკელი და ორი ინდოელი დაიღუპა. მომდევნო წელს კი დჰაჰრანში მომხდარ აფეთქებას 129 ამერიკელი ჯარისკაცი შეეწირა.

ცოტა ხნის წინ, შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ საუდის არაბეთში მყოფი 5000 ჯარისკაცი ზაფხულის ბოლომდე ქვეყანას დატოვებს. ამერიკული ბაზების საუდის არაბეთის ტერიტორიაზე ყოფნა საუდების ოჯახს ყველაზე დიდ პრობლემას უქმნის, რადგან მოსახლეობაში არსებული ანტიამერიკული განწყობა მმართველების მიმართ პროტესტის გრძნობას იწვევს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## საზარელი მკვლელობა ბოლნისში

მაია მოსიაშვილი

9 მაისს ღამით, ბოლნისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრებ გოგი მაზანიშვილის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. პირველ საათსა და თხუთმეტ წუთზე მის ბინაში ორი ბოროტმოქმედი სააბაზანოს პატარა ფანჯრიდან შეიპარა. ოჯახის უფროსი მისაღებ ოთახში ტახტზე წამოწოლილი ტელევიზორს უყურებდა. სახლში, მის გარდა, კიდევ ოთხი ადამიანი იმყოფებოდა - მეუღლე 39 წლის ნანა მუშკუდიანი და სამი მცირეწლოვანი ბავშვი. ბანდიტები გოგი მაზანაშვილს თავზე დაადგნენ და ფული მოსთხოვეს. მასპინძელმა, რომელიც ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მეპატრონეა, მათ ფულის მიცემაზე უარი უთხრა, არ მაქვსო. ამის შემდეგ ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა ხელნაკეთი რკინის ხელკეტი ჩაარტყა მაზანაშვილს, რომელმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა და ერთი ბანდიტი წააქცია კიდეც. ამას მეორემ სროლით უპასუხა. სროლის ხმაზე საძინებელი ოთახიდან დიასახლისი გამოვიდა. არ ესროლოთო, შეეხვეწა თავდამსხმელებს. ბოროტმოქმედებმა ქალს პირდაპირ შუბლში ესროლეს. ტყვია გამჭოლი აღმოჩნდა და კეფიდან გავიდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## 15 მილიონი აშშ დოლარი იმერეთის ჰესებისთვის

*ხუთი იმერული ჰესის პრივატიზებას, რასაც თავის დროზე დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა მოჰყვა, საქართველოს მთავრობა აღარ გეგმავს. აუქციონამდე ცოტა ხნით ადრე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა იმერეთის ჰესების პრივატიზაციის საკითხთან დაკავშირებით თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირეს. თუმცა, ჰესების გაყიდვა, ხელისუფლებამ, საბოლოოდ მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ მათი რეაბილიტაციისთვის 15 მილიონი დოლარის გამოყოფა გადაწყვიტა.*

მაია ურუშაძე

საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი წლიურად 88,5 მილიარდ კვტსთ-ს შეადგენს. ეს აჭარბებს დიდი ბრიტანეთის, შვეიცარიისა და გერმანიის ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს, ერთად აღებულს. ჰიდროპოტენციალის 25-პროცენტიანი ათვისების შემთხვევაშიც კი, საქართველოს ენერგეტიკა კრიზისული აღარ იქნება. ამის გამო, საერთაშორისო დონორები – მსოფლიო ბანკი და ევრობანკი საქართველოს ჰესების რეაბილიტაციის პრიორიტეტულობაზე პერმანენტულად მიუთითებდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 ექსკლუზივი A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ეკოსკოპი
B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## თამარ ხორბალაძის სვეტი

# ოპოზიციური ერთობა...

გუშინდელი დღის გმირები "ახლები" გახლდნენ.

მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის შემოღების სახელისუფლებო სურვილების შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს, ამ მიმართულებით პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვის ინიციატივა გაახმოვანეს, გუშინ "ახლებმა" ოპოზიციის ყველაზე მსხვილ წარმომადგენლებს ჩამოუარეს და, ფაქტობრივად, ურთიერთთავდაუსხმელობის, ანუ ერთმანეთის ხმების გაუყალბებლობის "ორმხრივ" შეთანხმებებს მოაწერეს ხელი...

მოკლედ, გუშინ "ახლებმა" კიდევ ერთხელ და ძალიან მკვეთრად დააფიქსირეს, რომ ოპოზიციური ერთობის იდეაზე მონოპოლიას ვერ გამოაცხადებს ვერც ჟვანია, რომელიც დიდი ოპოზიციური ერთობის ჩამოყალიბების იდეას იმთავითვე ლობირებდა და, ამ მიზნით, პიროვნული ამბიციების "ნაწილზეც" თქვა უარი; ვერც სააკაშვილი, რომელმაც ოპოზიციის სტრუქტურული გაერთიანების პროცესი ჯერ კიდევ "ნაციონალური მოძრაობის" წიაღში, შემდეგ კი უკვე ამ მოძრაობის სახელით ოპოზიციის წარმომადგენლებთან გააქტიურებული კონსულტაციებით დაიწყო (ალარაფერს ვამბობთ სარიშვილი-ჭანტურიაზე, რომელიც თავისდროინდელი ანტისახელისუფლებო დიალოგის მთავარი ინიციატორი გახლდათ და დღეს, ჩამოსაქვეითებელი ხელისუფლების წიაღში მოხვედრილი, დღევანდელი ოპოზიციის მთავარი ოპონენტია).

გუშინ "ახლებმა" პოტენციურ პარტნიორებს, ანუ იგივე ჟვანიასა და სააკაშვილს დაანახეს, რომ "ახლებთან" ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებას არავინ გაურბის, ოპოზიციის დანარჩენ ნაწილს კი ერთმანეთთან პრობლემები აქვს (ამ პრობლემების დემონსტრირება გუშინდელი ხელმოწერების დროსაც მოხდა).

სხვათა შორის, ეს "მესიჯი" აშკარად ამოიცნო ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც ჯერ კიდევ გუშინწინ დავით გამყრელიძეს მსგავსი ხელშეკრულებების დადებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა, გუშინ კი, "ლეიბორისტებსა" და "ნაციონალებთან" შეთანხმების ფაქტის წინაშე დამდგარმა, შეთანხმებაზე ხელის მოწერისთვის მზადყოფნა გამოხატა და ბევრი ისაუბრა იმაზე, რომ ოპოზიციური ერთობის მიღწევა მისი ყველაზე სანუკვარი მიზანია.

საინტერესოა, რომ ოპოზიციის არც ერთი წარმომადგენელი გუშინ გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკვე ყბადაღებული ოპოზიციური ერთობის ალტერნატივად არ განიხილავს და არც ამ მიმართულებით წარმოებული მოლაპარაკებების პროცესს თვლის დამთავრებულად.

საკოორდინაციო ცენტრიც – რომელიც, მოვლენათა უკეთესი სცენარით განვითარების შემთხვევაში, მინიმუმ ოთხ ძირითად ოპოზიციურ ძალას, ანუ "ახლებს", "ლეიბორისტებს", "ნაციონალებს" და "დემოკრატებს" გააერთიანებს - არ იქნება დიდი ოპოზიციური ერთობის, ანუ ერთიანი სიის მქონე ოპოზიციური გაერთიანების შექმნაზე საბოლოოდ უარის თქმის ნიშანი.

თუ ოპოზიციის დიდი ნაწილის ("ლეიბორისტების" გამოკლებით და "ტრადიციონალისტებისა" და სხვების დამატებით) საერთო აზრს გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ მოლაპარაკებები ამ მიმართულებით კიდევ გაგრძელდება და პარალელურად, ყველა ძალა განსაკუთრებული მონდომებით შეეცდება საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებას, რაც მომავალ ოპოზიციურ ერთობაში მის ადგილს განაპირობებს.

გასაგებია - რამდენადაც ხარისხობრივად მაღალია ოპოზიციის რიგების შემადგენლობა და რამდენადაც ბევრი და მნიშვნელოვანი ლიდერი ჰყავს მას, იმდენად რთულია მათი მოქცევა საერთო-ოპოზიციურ ჩარჩოებში, თუნდაც ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ...

არჩევნების დღე დანიშნულია. ოპოზიციას წინ ორგანიზებული, სახელისუფლებო ბერკეტებმომარჯვებული და "მეგზევეებ-მშენებლებ-გაერთიანებული", ანუ ის ძალა უდგას, ვისაც აქვს დასაკარგი – სკამები და დაუმსახურებელი ფინანსური წარმატება. ეს საკმარისი არგუმენტია იმისათვის, რომ სახელისუფლებო ძალამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართოს ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდით.

ოპოზიციის "სადემონსტრაციო აქტების" მიმდინარეობა კი დროში ძალიან გაიწელა. ოპოზიციური პარტიებიც ძალიან დაემსგავსნენ კრილოვის იმ იგავ-არაკის გმირებს, რომელშიც ტვირთს ყველა თავის მხარეს ქაჩავს.

ამ იგავ-არაკის ფინალი კი ყველამ კარგად იცის.

## ინფორმაცია

### გივი თარგამაძე საბურთალოს დეპუტატობისთვის იბრძვის

საბურთალოს მაჟორიტარული არჩევნების მონაწილე გივი თარგამაძე უზენაეს სასამართლოში ჩივის. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით, ამ ოლქში არჩევნებზე მისული ამომრჩევლის რაოდენობა არასაკმარისად შეფასდა და არჩევნებიც ჩაშლილად ჩაითვალა. თავად თარგამაძეს, მისი შტაბის წევრებს და დამკვირვებლებს ეჭვი ჰქონდათ, რომ ამომრჩეველთა სიები ხელოვნურად იყო გაბერილი. ერთი და იგივე ხალხი სიაში რამდენიმეჯერ ეწერა. ამას გარდა, სიაში "მკვდარი სულებიც" იყვნენ. რეალური ამომრჩევლისათვის კი, თარგამაძის მხარდამჭერთა მტკიცებით, ბარიერები იყო შექმნილი. საბურთალოს რაიონულ სასამართლოში თარგამაძემ საქმე მოიგო. საბურთალოს საოლქო კომისიას ხმების ხელახლა გადათვლა დაევალა. კომისიის საქმიანობა ამ მხრივ უკვე დასასრულს უახლოვდება. ამის შემდეგ გივი თარგამაძე უკვე უზენაეს სასამართლოში ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების გაუქმებას ითხოვს. გუშინდელი პროცესი ერთი კვირით, მესამე მხარის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. თარგამაძის გარდა, მას მაჟორიტარი დეპუტატობის ხუთი კანდიდატი უნდა დასწრებოდა. *"24 საათი"*

### ურთიერთგაგების მემორანდუმი

გუშინ სასტუმრო "მერიოტში" საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის განვითარებას ითვალისწინებს.

მემორანდუმის თანახმად, სამივე ქვეყნის პარლამენტების ათ-ათი წევრისგან შეიქმნება დელეგაციები, რომლებიც ექვს თვეში ერთხელ რეგულარულად შეიკრიბება და ამავე ქვეყნების სამ-სამი პარლამენტარისგან შემდგარი პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით იმუშავებს. მემორანდუმი ასევე ორ დამატებით პროტოკოლს ითვალისწინებს, რომელთაგან ერთი უზრუნველყოფს ინიციატივის ტექნიკურ-ადმინისტრაციული საკითხების გადაჭრას, მეორე კი მომდევნო ოცი თვის მუშაობის პროგრამას განსაზღვრავს. **მედია-ნიუსი**

### აფხაზები შეშფოთდნენ

სოხუმში შიშობენ, რომ ნატო-ს გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის თბილისში ვიზიტს, შეიძლება, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გააქტიურება მოჰყვეს.

**"საქართველოს დასავლეთის სამხედრო სტრუქტურებთან აქტიურმა დაახლოებამ, თბილისის სურვილმა, ჩართოს ისინი აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში, არ შეიძლება სოხუმის შეშფოთება არ გამოიწვიოს",** - განაცხადა აფხაზთა თავდაცვის სამინისტროს პრეს-მდივანმა ლევონ გალუსტოვმა. **პრაიმ-ნიუსი**

### მამალაძე ოპოზიციის წინააღმდეგ

გუშინ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში საარჩევნო ბლოკის "ერთიანი საქართველოსათვის" რეგიონული შტაბის გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელსაც პრეზიდენტის რწმუნებული ლევან მამალაძე და სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული მართვის სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე ესწრებოდნენ.

განხილვის ერთ-ერთი თემას ქვემო ქართლში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის თაობაზე ოპოზიციის ბოლოდროინდელი განცხადებები წარმოადგენდა. ბლოკის წევრთა განცხადებით, ისინი რეგიონში მსგავს ქმედებებს არ დაუშვებენ. რწმუნებულმა ბოლო დროს რეგიონში ძარცვისა და ყაჩაღობის ფაქტების მატებაზე გაამახვილა ყურადღება და არჩევნების წინ დაქირავებული ჯგუფების მიერ ვითარების ხელოვნური გამწვავების შესაძლებლობა არ გამორიცხა. მამალაძე პოლიციას, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად, მაქსიმალურ მობილიზება სთხოვს. **ინტერ-პრესი**

### "აღორძინება" შეთანხმებას სკეპტიკურად უყურებს

"აღორძინების კავშირში" ეჭვი ეპარებათ, რომ ოპოზიციური პარტიები, რომელთაც სამშაბათს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე გაყალბების წინააღმდეგ კოორდინირებული მოქმედების შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს, 2 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად წარმართვას რეალურად შეუწყობენ ხელს.

როგორც ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე აცხადებს, ეს ის ხალხია, რომელიც "გუშინ არჩევნებს აყალბებდა" და, შესაბამისად, მათი ამგვარი ინიციატივა გაურკვევლობას იწვევს. მისი თქმით, დღეს არჩევნების გაუყალბებლობის ინიციატივით ყველა გამოდის, მათ შორის - სახელისუფლებო ბლოკიც. **პრაიმ-ნიუსი**

### "ოგბაიძის დაკავება დაგეგმილი იყო"

„გაერთიანებული დემოკრატის" შალვა ოგბაიძის დაკავებას თბილისის საკრებულო პოლიტიკურ შეფასებას აძლევს და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირებს. გუშინ ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა განაცხადა, რომ შალვა ოგბაიძის დაკავება ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური დევნის, დაშინების დაშანტაჟების მცდელობაა. მისივე თქმით, ეს იყო ძალოვანი სტრუქტურების ზოგიერთი მაღალჩინოსნის კარგად გამიზნული ოპერაცია.

ამ საკითხთან დაკავშირებით, დედაქალაქის საკრებულომ სპეციალური განცხადება მიიღო. ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე დავით ხუციშვილი პოლიციასა და საკრებულოს შორის ხელშეკრულების გაფორმების ინიციატივით გამოვიდა. როგორც "ნაციონალი" კობა ბექაური აცხადებს, იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია დედაქალაქის საკრებულოსთან ხელშეკრულებას არ გააფორმებს, შესაძლოა, მას ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუმცირდეს. **მედია-ნიუსი**

### ლინ პასკოს რჩევები

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპული და ევრაზიული ბიუროს დირექტორის მოადგილის ლინ პასკოს განცხადებით, ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაცია საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს მოუწოდებს, ურთიერთთანამშრომლობის გზით უზრუნველყონ უსაფრთხოება კავკასიის რეგიონში. მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის არსებული სხვადასხვა გაუგებრობა მთავრობებს შორის პოლიტიკური დიალოგით უნდა გადაწყდეს. მისი აზრით, გუდაუთის ბაზიდან რუსეთის სამხედრო ტექნიკის გაყვანასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებიც უახლოეს ხანებში უნდა განახლდეს. პასკო რუსეთის მხარეს დაჟინებით მოუწოდებს, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება დაარწმუნონ, რომ "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" გაერო-ს დოკუმენტის განხილვა დაიწყოს. **მედია-ნიუსი**

### ხაჯიმბა მოსკოვში ჩავიდა

სეპარატისტული აფხაზეთის ახალი პრემიერი რაულ ხაჯიმბა მოსკოვში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვთან შესახვედრად გაემგზავრა.

მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტის ოფიციალური მიზანია სოჭში რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაცია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, ხაჯიმბას შეხვედრები რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიც ექნება. გარდა ამისა, იგი სოჭის შეთანხმების დეტალებს პირადად გაეცნობა. **მედია-ნიუსი**

# „ჩვენ მომავალი უნდა გვაერთიანებდეს„

პირველი გვერდიდან

რომელმაც საქართველოში საფუძველი ჩაუყარა არჩევნების გაყალბების ტრადიციას. **"ჟვანია და სააკაშვილი სულით არ შეცვლილან. ჩემი აზრით, მათ შევარდნაძესთან ერთად სურთ ისეთი საარჩევნო კანონის მიღება, რომელიც ამომრჩეველთა ხმებს გააყალბებს. ისინი ამ ხმებს თანაბრად გაინაწილებენ."**

ნაციონალური მოძრაობის ლიდერს მიხეილ სააკაშვილს კი პირიქით - ნათელაშვილის ჭეშმარიტ ოპოზიციონერობაში ეპარება ეჭვი: **"იგი ოპოზიციონერი გახდა მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ გამოაგდო. ნათელაშვილს პარლამენტში კომიტეტის თავმჯდომარეობაზე უთხრეს უარი. მე მინისტრი ვიყავი და ნებაყოფლობით დავტოვე თანამდებობა... ჩვენ - ოპოზიციონერებს უნდა გვაერთიანებდეს მომავალი და არა წარსული. ვინც გამუდმებით წარსულზე ლაპარაკობს, ის სამუდამოდ დარჩება წარსულში."**

"მემარჯვენე" დავით გამყრელიძემაც მსგავსი პოზიცია დააფიქსირა: **"ახლა ძველი ცოდვების გახსენების დრო არ არის. ოპოზიციამ კინკლაობა უნდა დაივიწყოს."**

**"სახელისუფლებო პარტიის მხრიდან რომელიმე ჩვენთაგანის მისამართით ნებისმიერი ძალადობის გამოყენების დროს ერთად ვიმოქმედებთ ჩვენი და ჩვენს უკან მდგომი ათიათასობით ამომრჩევლის უფლების დასაცავად,"** - აცხადებენ ოპოზიციური პარტიები და კიდევ ერთხელ აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარდეს.

სააკაშვილს პრეზიდენტის რეაქცია აოცებს: **"მეგონა, ფორმალობისთვის მოჩვენებით ჟესტს მაინც მიმართავდა. მან ღიად დაიწყო საუბარი კარგ და ცუდ დასავლეთზე. ადამიანი, რომელიც ერთ დროს საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარ პლაცდარმს წარმოადგენდა საქართველოში, დღეს საერთაშორისო ორგანიზაციებს მტრად მიიჩნევს."**

"მემარჯვენეებსა" და "ახლებს" შორის გუშინდელი შეთანხმების გაფორმება თითქმის ყველასთვის მოულოდნელი იყო. შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ იგი მზად არის, ყველა კონსტრუქციულ ძალასთან ითანამშრომლოს, თუმცა ეს რომელიმე პარტიასთან ერთად ბლოკში გაწევრიანებას არ ნიშნავს: **"ლეიბორისტები დამოუკიდებლად გამოვალთ საპარლამენტო არჩევნებში".** "მემარჯვენეებს" ამ მხრივ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. თუმცა კულუარებში საუბრობენ, რომ "ახლებს" სურვილი აქვთ "ლეიბორისტებთან" დამეგობრებისა. მათი ბლოკში გაერთიანება ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ამომრჩეველს შეკრებს, რაც, საბოლოო ჯამში, ხმათა სერიოზული რაოდენობის შეგროვებით დასრულდება.

შეთანხმების დოკუმენტის ხელმომწერი პარტიები აცხადებენ, რომ ისინი მომავალშიც გააგრძელებენ თანამშრომლობას ყველა იმ ძალასთან, რომელსაც ხელს აძლევს საქართველოში თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. **"ჩვენ სათანამშრომლოდ ვიწვევთ ყველას, ვისაც ქვეყნის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობა აქვს გაცნობიერებული,"** - "დემოკრატ" ჟვანიას ამ თვალსაზრისს დანარჩენი ოპოზიციური ძალებიც იზიარებენ.



"ახლები" "გაერთიანებულ დემოკრატებთან".



"ახლები" "ნაციონალებთან".



"ახლები" "ლეიბორისტებთან".

# რუსთავში "მაჟორიტართცვენა" იწყება

მაია მოსიაშვილი

საპარლამენტო არჩევნებისათვის რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატის მომხიბლავ სკამს ბევრი მუშტარი ეყოლება. ჩვენი ინფორმაციით, ამჟამინდელი მაჟორიტარი როლანდ მგალობლიშვილი, რომლის პარლამენტარობა ჯერაც არ დაკანონებულა, კვლავაც აპირებს კენჭისყრას, თუ, რა თქმა უნდა, არჩევნები არ გადაიდო. "24 საათისათვის" სანდო წყაროზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ მგალობლიშვილს არჩევნების ჩაშლის დიდი იმედი აქვს. ამასთან, მგალობლიშვილი სახელმწიფო კანცელარიაში მიმდინარე პოლიტიკურ თავყრილობებზე არაერთხელ ნახეს, თუმცა ოფიციალური განცხადება, კვლავ კენჭისყრასთან დაკავშირებით, მას ჯერ არ გაუკეთებია.

"ნაციონალურმა მოძრაობამ" რამდენიმე თვის წინ საჯაროდ განაცხადა, რომ მათ და "დემოკრატებს" აუცილებლად ეყოლებათ მაჟორიტარობის მსურველი საერთო კანდიდატი. მისი ვინაობა ჯერ-ჯერობით უცნობია. გავრცელებული ხმების თანახმად, ეს ადამიანი შესაძლებელია რუსთაველი "დემოკრატების" ლიდერის, ზაზა იმედაშვილის მეგობარი და ამავდროულად "ნაციონალი" თამაზ გველუკაშვილი იყოს, რომელიც სავაჭრო ბიზნესით არის დაკავებული და საარჩევნო ფინანსებიც მოეპოვება.

რუსთაველთა ნდობის მანდატის მოპოვებას "დათვებთან" ერთად თემურ ხაჩიშვილიც შეეცდება. "დათვების" რუსთავის ოფისში, რომლის კედლებს რუსეთის პრეზიდენტის პორტრეტი ალამაზებს, უკვე გაცხარებული საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს - ხაჩიშვილი რუსთაველ პენსიონერებს ხელშეკრულებებს უფორმებს, რომელშიც წერია: "ჩვენი პარტია იღებს ვალდებულებას საქართველოს თითოეული მოქალაქის წინაშე, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, 6 თვის განმავლობაში, არა მარტო საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში მომუშავე პენსიონერთა, არამედ ყველა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთა საპენსიო მინიმუმი გაუტოლდეს 50 აშშ დოლარს, ხოლო სახელფასო მინიმუმი - 100 აშშ დოლარს." ხელშეკრულებას ცენტრისტი "დათვების" ბეჭედი და ხაჩიშვილის ხელმოწერა ამშვენებს. ქვემო ქართლის "დათვების" ლიდერის გელა ღუნწკიძის განმარტებით, მათი დაპირება რეალურია, რადგან მხარდაჭერა თავად პუტინის პარტიიდან აქვთ. "ისინი არჩევნების დროსაც დაგვეხმარებიან," - არ მალავს ღუნწკიძე.

კიდევ ერთი სავარაუდო კანდიდატი გენერალი სოსო ალავიძეა. თავად ის ამ ინფორმაციას ჯერ-ჯერობით არ ადასტურებს, თუმცა მისმა მეგობარმა მერაბ ტყეშელაშვილმა უკვე გატეხა ნავსი და განაცხადა - ძალიან მინდა, ალავიძე მაჟორიტარი დეპუტატი გახდესო. ტყეშელაშვილი თითქმის ყოველთვის ალავიძესთან ერთად ჩნდება ხალხში და იმის საშუალებასაც მრავლად აძლევს, რომ მან რუსთაველებს თავი კარგი საქმეებით დაამახსოვროს.

გუშინ ცნობილი გახდა კიდევ ერთი მოსალოდნელი კანდიდატურის ვინაობა - ის ჟიული შარტავას ვაჟი კახა შარტავაა, რომელმაც დიდი ხანი არ არის, საზოგადოებრივი მოძრაობა "ფესვები" დააარსა. "ფესვების" ერთ-ერთი დამფუძნებლის მამუკა გაჩეჩილაძის ინფორმაციით, ორგანიზაცია არჩევნებამდე საზოგადოებრივის ნაცვლად პოლიტიკურ სახეს მიიღებს და კახა შარტავა ან სენაკიდან, ან რუსთავიდან კენჭს იყრის. თავად "ფესვები" კი ერთ-ერთ ბლოკში გაერთიანდება. იქნება თუ არა ეს ბლოკი "გაერთიანება ახალი საქართველოსათვის" და გაამაგრებს თუ არა "ფესვები" პრეზიდენტ შევარდნაძის ფესვებს? ამ კითხვაზე გაჩეჩილაძე პირდაპირ არ პასუხობს. "შევარდნაძისათვის ჩვენ არასოდეს წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, რადგან ამისი პოლიტიკური ბერკეტები არ გვქონია," - აცხადებს ის.

ჯერ-ჯერობთ უცნობია, ექნება თუ არა პრეტენზია ლევან მამალაძის ფრთას, "მოქალაქეთა კავშირის" სახით, საკუთარი მაჟორიტარი შეიყვანოს პარლამენტში. ამ გადაწყვეტილებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული, გაიზრდება თუ შემცირდება "მაჟორიტართცვენა" რუსთავში.

# არჩევნები და ქართველ მწვანეთა ლიდერის აპოკალიფსური ხილვანი

*სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლის, მწვანეთა პარტიის თავმჯდომარის გიორგი გაჩეჩილაძის მტკიცებით, იგი დაინტერესებულია, რომ 2 ნოემბრისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარდეს. ასეთი განწყობის საილუსტრაციოდ გაჩეჩილაძეს საქართველოს მწვანეთა პარტიის დელეგაციის მიერ ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის სხდომაზე (2-7 მაისი, მალტა) გაკეთებული განცხადება მოჰყავს. როგორც ირკვევა, ქართველმა მწვანეებმა ევროპელ "კოლეგებს" თხოვნით მიმართეს, 2 ნოემბრის არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მიიღონ მონაწილეობა.*

გიორგი ასანიშვილი

**"შეთავაზებულ წინადადებაზე თანხმობა უკვე მიღებულია. უახლოეს პერიოდში დაიწყება მოლაპარაკებები იმის თაობაზე, ევროპის რომელი ქვეყნების მწვანეები ჩამოვლენ დამკვირვებლებად. გარდა ამისა, დამკვირვებლებად სტუმრობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ მწვანეთა პარტიასთანაც ვაწარმოებთ. გვინდა, რომ რაც შეიძლება მეტნი ჩამოვიდნენ, რადგან, დარწმუნებული ვარ, რომ მათი დასკვნები მიუკერძოებელი იქნება",** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი გაჩეჩილაძემ. მისივე თქმით, ქართველი მწვანეების ინიციატივას სახელისუფლებო ბლოკი და, პირადად, პრეზიდენტი შევარდნაძე მიესალმებიან და მხარს უჭერენ.

ჟურნალისტებთან საუბრისას, გიორგი გაჩეჩილაძე ისეთ აქტუალურ თემებსაც შეეხო, როგორიც ცესკოს დაკომპლექტება და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაა.

აღნიშნულ საკითხებზე მწვანეთა პარტიის თავმჯდომარის მოსაზრებები სახელისუფლებო ბლოკის სხვა წარმომადგენელთა თვალთახედვას მთლიანად ემთხვევა. გაჩეჩილაძე ოპოზიციის შეთავაზებას, ევროსტრუქტურების წარმომადგენლებით ცესკოს დაკომპლექტების შესახებ, **"საქართველოსთვის შეურაცხმყოფელად"** მიიჩნევს.

**"ასეთი რამ ისეთ ქვეყნებში ხდება, სადაც სამხედრო კონფლიქტი ახალი დასრულებულია ან ახალი სახელმწიფოს ფორმირების პროცესი მიმდინარეობს,"** - აღნიშნავს ქართველი მწვანეების ლიდერი.

რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს, გაჩეჩილაძე მას **"ანეკდოტურს"** უწოდებს და ამტკიცებს, რომ **"ეს ძალიან საშიში თამაშია".**

**"ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ სომხეთის ატომურ ელექტროსადგურში სერიოზული ავარიის შემთხვევაში, თბილისიდან მოსახლეობის ევაკუაცია რვა საათის განმავლობაში უნდა მოხდეს. სად ველოდოთ ასეთ დროს პარლამენტის გადაწყვეტილებას,"** - ოღონდ პრეზიდენტის უფლებამოსილება არ შეიზღუდოს და პარლამენტში შესვლას მონატრებული გიორგი გაჩეჩილაძე აპოკალიფსური სურათის დახატვასაც არ გაურბის.

# შვედეთის ხელისუფლება საქართველოში არსებული კორუფციის მაღალ დონეზე საუბრობს

*"შვედეთი მზადაა, საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწიოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე... საქართველო-შვედეთის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას კი საქართველოში კორუფციის მაღალი მაჩვენებლები აფერხებს", - ამის თაობაზე შვედეთში ვიზიტით მყოფ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შვედეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განუცხადეს.*

გუშინ დასრულდა საქართველოს პარლამენტის დელეგაციის პირველი ვიზიტი შვედეთში, რომელიც შვედეთის პარლამენტის თავმჯდომარის ბიორნ ფონ სიუდოვის ინიციატივით შედგა.

ვიზიტის პირველ დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თავის შვედ კოლეგას შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განსაკუთრებით აღნიშნა ის მხარდაჭერა, რომელსაც საქართველო ევროკავშირის, ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში შვედეთისგან იღებს. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ევროპის კავშირში შვედეთის თავმჯდომარეობა 2001 წელს. ბატონი ფონ სიუდოვის თქმით, ევროპის კავშირი აღარ დაუშვებს ევროპაში ახალი დამყოფი ხაზების არსებობას და კავშირის პოტენციურ წევრებთან ურთიერთობას თანდათან გააღრმავებს.

ვიზიტის განმავლობაში ნინო ბურჯანაძე შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ საკითხთა გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელს, ბატონ ანდერს ლიდენს შეხვდა. საგარეო უწყების წარმომადგენლის განცხადებით, შვედეთი მზადაა, განავითაროს თანამშრომლობა საქართველოსთან ეკონომიკურ საკითხებშიც, თუმცა ამას სერიოზულად აფერხებს საქართველოში არსებული კორუფციის მაღალი მაჩვენებლები. "ეს ხელს უშლის ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებას," - აღნიშნა ანდერს ლიდენმა.

ამავე დღეს გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრა შვედეთის იუსტიციის მინისტრთან, ბატონ ტომას ბოდსტრომთან და საერთაშორისო ორგანიზაცია დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების ინსტიტუტის (IDEA) გენერალურ მდივანთან, ქალბატონ კარენ ფოგსთან. შეხვედრა საქართველოში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს შეეხო.

გუშინ ნინო ბურჯანაძე შვედეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა, თავდაცვისა და საკონსტიტუციო საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეებს, ვაჭრობის მინისტრს და შვედეთის მეფე კარლ-გუსტავს შეხვდა.

*"24 საათი"*

# დივერსიულ აქტთა სიკეთე ქართულ პოლიტიკაში

მერაბ მეტრეველი

საქართველოში ყველაზე კარგი წინასაარჩევნო რეკლამა ტერორისტული ან დივერსიული აქტის მოწყობაა. ოღონდ, ეს ყველაფერი შენ უნდა მოგიწყონ და, რა თქმა უნდა, არაფერი არ უნდა დაგიშავდეს. რადგან გაფეთქებენ (ან გცემენ), ე. ი. რაღაცას წარმოადგენ.

ასე დაემართა "ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსაც". რეგიონული ლიდერის, ნატო იმნაძის სახლში მომხდარმა დივერსიამ ლორთქიფანიძის პარტიას რომ დიდი სამსახური გაუწია, ფაქტია. აქამდე პარტიის არსებობას მხოლოდ ყოფილი სახელმწიფო მინისტრის ფიგურა თუ გვახსენებდა. ბოლო დროს კი, მათი სახელი უფრო ხმამაღლა გაისმა და ეს ყველაფერი სულ დივერსიული აქტების "დამსახურებაა". ჯერ იყო და, ქარელში რეგიონული ორგანიზაციის დასაფუძნებლად ჩასულებს დარბაზი გადამწვარი დახვდათ. მერე კი ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ფაქტი მოხდა. ამან პარტიას საშუალება მისცა, არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო არენაზეც აქტიურად დაფიქსირებულიყო. გუშინ პარტიის ლიდერებმა პრესკონფერენცია გამართეს და გვამცნეს, რომ "2003 წლის 5-6 მაისს ევროპის ხალხთა პარტიის პოლიტბიუროს სხდომა (ევროპის ხალხთა პარტია ევროპარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს) ჩატარდა, რომელზეც ორი რეზოლუცია იქნა მიღებული: პირველი რეზოლუცია კუბაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს ეხებოდა, მეორეში კი ევროპის ხალხთა პარტია საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ტერორს გმობს" (ეს არის ამონარიდი პრესკონფერენციაზე დარიგებული პრესრელიზიდან).

ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით, კომუნისტური კუბისა და საქართველოს ერთ სიბრტყეში დაყენებას თავი რომ დავანებოთ, თავისთავად არასასიამოვნო ფაქტია, როცა ევროპარლამენტის მმართველი პარტია შენს ქვეყანაში არსებულ განუკითხაობაზე მსჯელობს. პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა, გია ბურჯანაძემ გვითხრა: თუ ასეთი ტერორი კიდევ გაგრძელდა, მაშინ ევროპის ხალხთა პარტიას ამ საკითხის ევროპარლამენტის სხდომაზე გატანას ვთხოვთ და ამან, შეიძლება, საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე პრობლემები შეუქმნასო. როგორც ჩანს, ამ ერთი აფეთქებით მათ თავიანთი ევროპელი პარტნიორების თვალში (ასე გვითხრეს: ევროპის ხალხთა პარტია ჩვენი ოფიციალური პარტნიორიაო) იმაზე მეტი წონა შეიძინეს, ვიდრე სინამდვილეში აქვთ. ევროპის ხალხთა პარტიის რეზოლუციაში ისინი "მზარდი რეიტინგის მქონე პარტიად" არიან მოხსენიებულნი. საკუთარ თავზე თავადაც არცთუ ისე მოკრძალებული შეხედულება გააჩნიათ. დემურ გიორხელიძემ გუშინ პირდაპირ განაცხადა: "არც ევროპა და არც ლათინური ამერიკა "ქრისტიან-დემოკრატების" გარეშე არ აშენებულა და საქართველოშიც ასე იქნება".

ასე გახდა საქართველოში ნაკლებად რეიტინგული პარტია ევროპული მასშტაბით ანგარიშგასაწევი ორგანიზაცია. იმისათვის კი, რომ საქართველოშიც დააფასონ, მათ წინასაარჩევნოდ პარტნიორების მოძებნა აუცილებლად მოუწევთ. ჯერჯერობით, ამ კუთხით პარტიის ლიდერებს რაიმე კონკრეტულის თქმა უჭირთ. ვებებთო –ასეთია მათი პასუხი. საქმე კი იმიტომ გაჭიანურდა, რომ, თურმე, არც ხელისუფლებასთან და არც "ფსევდოოპოზიციასთან" გაერთიანება არ სურთ.

## მოკლედ

**კოდორი.** კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ემზარ კვიციანმა კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სვანეთში სახალხო ლაშქარი იქმნებოდეს. მისი თქმით, იქმნება თავდაცვის სამინისტროს 200-კაციანი ბატალიონი, რომელიც ზემო სვანეთის რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონაკვეთზე განთავსდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი ზესაშვილს, ოპოზიციის გარკვეული ნაწილის ინიციატივის განხორციელება და ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ ცესკო-ს დაკომპლექტება შეუძლებლად მიაჩნია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადებით, პანკისის ხეობაში გასული წლის აგვისტოდან მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაცია ამიერიდან ქვეეტაპებად დაიყოფა. მისი თქმით, ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით გარკვეული ფინანსური სირთულეები არსებობს და ამ მხრივ ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი მოიძებნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების და დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ერთობლივმა პატრულმა სამშაბათს კოდორის ხეობის მორიგი ინსპექტირება დაიწყო, რომელიც 16 მაისამდე გასტანს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ახალი მემარჯვენეები" 2 ნოემბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე, გურჯაანის რაიონში მაჟორიტარულ არჩევნებში ამავე რაიონიდან არჩეულ დეპუტატს ნიკოლოზ კვეზერელს დაუჭერს მხარს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა 14 მაისს გორში გაიმართება. შეხვედრაზე ეკონომიკური საკითხები და კონფლიქტის ზონაში შექმნილი რთული კრიმინოგენული სიტუაცია განიხილება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისი აცხადებს, რომ მზად არის მოსკოვთან ერთად ჩეჩენი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების პრობლემის განსახილველად. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის თქმით, რამდენიმე კვირის წინ მან ეს პრობლემა თავის რუს კოლეგასთან ვლადიმირ რუშაილოსთან განიხილა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი პარლამენტარი მამუკა არეშიძე, რომელიც კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტს თავმჯდომარეობდა, აცხადებს, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლება მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას. მაგალითისთვის არეშიძე ასახელებს აპოლიტიკურ მოძრაობას „კავკასიელი". **"ამჟამად ეს ორგანიზაცია გააქტიურებას აპირებს და საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას",** - აცხადებს არეშიძე. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ვუდროფის საქმე

პირველი გვერდიდან

ანზორ შარმაიძე და მისი ორი მეგობარი – ჩუღურეთის მილიციის თანამშრომელი გენადი ბერბიჭაშვილი და გელა ბედოიძე სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ვუდროფის მკვლელობის ადგილიდან სულ რაღაც ხუთასიოდე მეტრში, ნატახტრის საგუშაგოზე მდგარ ვაგონში დააკავეს. ბერბიჭაშვილს "აკს"-ის სისტემის ავტომატი ეკავა ხელში.

მოგვიანებით, ანზორ შარმაიძე გამომძიებელს ეტყვის, რომ საგუშაგოსთან მდგარ ვაგონთან მისულმა პირებმა ის და მისი მეგობრები ცემა-ტყეპით ჩასვეს მანქანაში. თუმცა, პირველ ახსნა-განმარტებაში, რომელიც მას საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თბილისის განყოფილებაში ჩამოართვეს, მას ფიზიკურ შეხებაზე არაფერი უთქვამს.

ნატახტრის საგუშაგოსთან დაკავებული სამი მეგობრის მიერ მკვლელობის მეორე დღეს, 9 აგვისტოს, გამომძიებელ თემურ მეტრეველისთვის ჩაბარებული ახსნა-განმარტებები, რომლებიც მათ ცალ-ცალკე ოთახებში დააწერინეს და რომლებშიც მათი 8 აგვისტოს თავგადასავალია მოთხრობილი, თითქმის, ფოტოგრაფიული სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს.

8 აგვისტოს, დილით, თბილისში, კუკიის სასაფლაოზე ანზორ შარმაიძის მეგობრის, აფხაზეთის ომში დაღუპული მეომრის საფლავზე დაწყებული ქეიფი გელა ბედოიძემ, გენადი ბერბიჭაშვილმა და შარმაიძემ, ამ უკანასკნელის წინადადებით, გადაწყვიტეს, დუშეთში, შარმაიძის ოჯახში გაეგრძელებინათ. თუმცა, მანამდე ომში დაღუპული მეგობრის ოჯახში მივიდნენ, მისი შესანდობარი შესვეს. მერე თემქაზე მეგობრებს გაუარეს, ცოტა იქაც წაიქეიფეს. ერთადერთი, რაშიც სამეულის თავდაპირველი ახსნა-განმარტებები ერთმანეთისგან განსხვავდება, თბილისიდან დუშეთისკენ გამგზავრების დროა. ბედოიძის თქმით, "თბილისიდან რომ გავედით, უკვე დაღამებული იყო". ბერბიჭაშვილი კი აჩვენებს, რომ მზე ჯერ არ იყო ჩასული.

დუშეთისკენ მიმავალმა მეგობრებმა გზაშიც გააგრძელეს სმა. ნატახტრის პოლიციის საგუშაგოსთან მისული სამეული უკვე კარგად შეზარხოშებული გახლდათ. საგუშაგოსთან კი იმიტომ გაჩერდნენ, რომ ბენზინი გაუთავდათ. **"საგუშაგოზე პოლიციელები დაგვეხმარნენ. თბილისისკენ მიმავალი აზერბაიჯანელები გააჩერეს და ხუთი ლიტრი ბენზინი ჩაგვისხეს. იქ დაგვხვდნენ სამხედრო პოლიციელებიც, რომლებთანაც შეკამათება მოგვიხდა. მე მათ ჩემი საბუთი ვუჩვენე. ამ დროს მოვიდა სამი მანქანა, გადმოვიდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცები და ცემით, ცალ-ცალკე ჩაგვსხეს მანქანებში. ჯერ მცხეთის პოლიციაში მიგვიყვანეს, მერე თბილისში წამოგვიყვანეს. გზაში გავიგე, რომ იმ ღამით საგუშაგოსთან ახლოს მოუკლავთ ვიღაც ამერიკელი, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი..."** – ასეთი შინაარსისა გახლდათ ანზორ შარმაიძის მიერ დაწერილი ახსნა-განმარტება, რომლისგანაც, როგორც გითხარით, თუ ცალკეულ უმნიშვნელო დეტალებს არ ჩავთვლით, გელა ბედოიძისა და გენადი ბერბიჭაშვილის ახსნა-განმარტებები არ განსხვავდება.

იმავე ღამეს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს ფრედ ვუდროფის მკვლელობის უშუალო თვითმხილველებს, ადამიანებს, რომლებიც ამერიკელ დიპლომატს ახლდნენ. ესენი იყვნენ ედუარდ შევარდნაძის დაცვის სამსახურის უფროსი ელდარ გოგოლაძე, მარინე კაპანაძე და ელენე დარჩიაშვილი. მათი განმარტებებიც ფოტოგრაფიული სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს.

საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურისა და შევარდნაძის დაცვის თანამშრომლების მიერ მოკვლეული მასალები – დაკავებულთა და მკვლელობის თვითმხილველთა ახსნა-განმარტებები ანზორ შარმაიძის "აკს"-ის სისტემის ავტომატთან ერთად (რომელიც დაკავების მომენტში გენადი ბერბიჭაშვილს ჩამოართვეს) რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

იმავე დღეს, ანუ 9 აგვისტოს, გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ვახტანგ გვარამიამ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილეს ოპერატიული მითითება მისცა: **"მიუხედავად იმისა, რომ შარმაიძე არის სამხედრო მოსამსახურე, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და კვალიფიციური გამოძიების ჩატარების მიზნით, გავალებთ, მიიღოთ ეს საქმე წარმოებაში..."** – ამ მითითებით გენერალურმა პროკურორმა ანზორ შარმაიძეს მკვლელობაში დასდო ბრალი. ეს იმ დროს, როცა ანზორ შარმაიძე ეჭვმიტანილის სტატუსითაც კი არ სარგებლობდა.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილემ ოთარ ჯაფარიძემ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მიერ მოკვლეული მასალები იმავე დღეს შეისწავლა და გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის მითითებაც დაუყოვნებლივ სისრულეში მოიყვანა: ამერიკელი დიპლომატის ფრედ ვუდროფის განზრახ მკვლელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე იშუამდგომლა. ვახტანგ გვარამიამ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

გენერალური პროკურატურის მორიგი დადგენილებით, ნატახტრის საგუშაგოზე აყვანილი ანზორ შარმაიძე, გენადი ბერბიჭაშვილი და გელა ბედოიძე კი ფრედ ვუდროფის მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოცხადდნენ. დაკავებულები სპეციალური ბადრაგით თბილისის მილიციის სამმართველოს საკანში გადაიგზავნენ და ცსს-ს მაღალჩინოსნის მკვლელობის ფაქტზე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაც გაჩაღდა.


გელა ბედოიძე, ანზორ შარმაიძე, გენადი ბერბიჭაშვილი.


გენადი გვარამია

## მოარული ვერსიები

ათი წლის წინანდელი საქართველოს პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის მკვლელობამ თავიდანვე ათასნაირი ეჭვი აღძრა. ვუდროფის მკვლელობიდან რამდენიმე დღეში ამერიკული პრესა, მართალია, ცდილობდა, მხოლოდ მკვლელობის კონსტატირება მოეხდინა, მაგრამ, თითქმის ყველა პუბლიკაციაში გამოთქმულია ეჭვი – ჟურნალისტებს ძნელად დასაჯერებლად მიაჩნდათ ის, რომ **"რუსეთის საზღვართან ახლოს მდებარე სოფლიდან მომავალ ცსს-ს აგენტს, სადღაც საქართველოს შუაგულში, ყოველგვარი მიზეზისა და მოტივის გარეშე ესროლეს და შუბლში ჩაუსვეს ტყვია."** თუ ზოგიერთი დასავლური გაზეთი, ქართველი სამართალდამცველების მტკიცების მიუხედავად, ვუდროფის მკვლელობას მხოლოდ ბნელით მოცულს უწოდებს და დეტალების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს, "დეილი ტელეგრაფი" ვერსიების განხილვას ცდილობს და ვუდროფთან ერთად მანქანაში მსხდომებზე მიაქვს ეჭვი. როგორც ცნობილია, ყაზბეგიდან ვუდროფი შევარდნაძის დაცვის უფროსის ელდარ გოგოლაძის მანქანით მოდიოდა, მანქანას თავად გოგოლაძე მართავდა და მათთან ორი ქალი ახლდა. **"გამოძიებასთან დაახლოებულმა წყაროებმა თქვეს, რომ გასროლა მოხდა მანქანის შიგნით. საქართველოს შს სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ინკოგნიტოდ ისიც განაცხადა, რომ მანქანაზე ნატყვიარი არ აღინიშნებოდა. ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა დაამატა, რომ გოგოლაძე ნასვამი იყო, როდესაც თბილისში ვუდროფის გვამით ჩამოვიდა და დაცვის უფროსმა "იცოდა, როდის უნდა დაელია,"** - წერს 1993 წლის 11 აგვისტოს "დეილი ტელეგრაფი" და გამოთქვამს ვარაუდს, რომ აგენტის მკვლელობა შეიძლებოდა, ორმაგი თამაშის შედეგი ყოფილიყო.

მსგავსი ვერსიების არსებობის მიუხედავად, აშშ-ს საქართველოში აკრედიტებული მაშინდელი ელჩი კენტ ბრაუნი სპეცაგენტის მკვლელობას **"ძალადობის უაზრო გამოვლინება"**-ს უწოდებს. სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე კი 16 მაისს, ვუდროფის ამერიკაში გადასასვენებლად თბილისის აეროპორტში ჩამოსულ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფთან ჯეიმს ვულსთან შეხვედრისას ასეთ სიტყვას წარმოთქვამს: **"არ მინდა დავიჯერო, რომ ჩვენს ქვეყანაში არის თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც ჩვენსა და თქვენს კოლეგაზე აღმართავდა ხელს. დიდად სამწუხაროა, რომ ტრაგიკულმა შემთხვევითობამ იმსხვერპლა ჩვენთან სამეგობროდ და დასახმარებლად ჩამოსული ადამიანი."**

ახლა ძნელი სათქმელია, სჯეროდა თუ არა მაშინ გამოძიებას, რომელიც 21 წლის გვარდიელის წინააღმდეგ ნელ-ნელა აგროვებდა ბრალეულობის დამადასტურებელ საბუთებს, რომ ნამდვილ მკვლელს მიაგნო. სამაგიეროდ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვერსიას შემთხვევითი მკვლელობის შესახებ არ იზიარებდა მაშინდელი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის შეფი ირაკლი ბათიაშვილი. მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, უცხოური ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში, ფრედ ვუდროფის მკვლელობა მან პოლიტიკურ აქტად მონათლა.

საქართველოში იმ დროს, არაოფიციალურად, მკვლელობის სხვადასხვა ვერსიაზე საუბრობდნენ. ამასთან, ეს ვერსიები ხელისუფლების საკმაოდ მაღალ ეშელონებში გამოითქმოდა – საქართველოს უბრალო მოქალაქეებს იმჟამად ამ მკვლელობის მნიშვნელობა იმდენად არ გაუცნობიერებიათ, რამდენადაც ვუდროფის და, საერთოდ, ამერიკული სპეცსამსახურების საქართველოში მოღვაწეობის თემა, მაშინ, ფაქტობრივად, დახურული იყო. თუმცა, ბრმა ტყვიის შესახებ ვერსია სარწმუნოდ, თითქმის, არავის მიაჩნდა.

10 წლის წინათ, გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მანქანაში მსხდომი ნასვამი ოთხეულიდან ერთ-ერთს, ქალს, ფრედ ვუდროფი იარაღის ხმარებას ასწავლიდა და "მოსწავლეს" იარაღი გაუვარდა...

მეორე ვერსიით, მეგობარი ამერიკელი სამთავრობო დაცვის უფროსის მიერ მანქანაში გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა.

სხვა ვერსიის თანახმად, ფრედ ვუდროფი სნაიპერმა მოკლა, მკვლელობა პრორუსულმა ძალებმა დაგეგმეს და განახორციელეს კიდეც - საქართველო-ამერიკის შორის დამყარებული ურთიერთთანამშრომლობის ჩასაშლელად.

გენერალურ პროკურატურაში მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებისა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებისგან შემდგარ საგამოძიებო ჯგუფს არც ერთი ზემოთ მოყვანილი ვერსია არ უარუყვია – უბრალოდ, ეს ვერსიები არც განუხილავს.

**"ვერსიები იმ დროისთვის არც გვქონდა. ისეთი ნათელი იყო ყველაფერი, რომ სხვა ვერსიების ძიება არც გვიცდია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ფრედ ვუდროფის საქმის გამოძიების კურატორმა, იმ დროს საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ, ამჟამად საპარლამენტო ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" წევრმა ვახტანგ გვარამიამ, რომელიც კატეგორიულად უარყოფს გამოძიების პროცესზე პოლიტიკური ზეწოლის არსებობას. მისივე თქმით, **"სხვადასხვა საეჭვო ვერსია მოგვიანებით გაჩნდა და მათი ავტორი შოთა კვირაიაა. ჯერ ერთი, რომ ის სხვის წარმატებას ვერასოდეს იტანდა, მეორეც – ამ საქმის გახსნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა დავით ზეიკიძემ, რომელსაც კვირაია დაუძინებელ მტრად მიიჩნევდა. იმაზე მეტი რა გითხრათ, რომ მკვლელობის შემდეგ საქართველოში ჩამოსული ფედერალური საგამოძიებო ბიუროს უმაღლესი დონის ექსპერტები ჩვენი გამომძიებლების პროფესიონალიზმით აღფრთოვანებულები იყვნენ. მეტიც, ამერიკის მაშინდელმა ელჩმა კენტ ბრაუნმა ჩვენს პატივსაცემად მიღებაც კი მოაწყო, რომელზეც მადლობა გადაგვიხადა ამერიკის მოქალაქის მკვლელობის კვალიფიციურად და ოპერატიულად გამოძიებისთვის."**

მიუხედავად ამისა, FBI-მ ამერიკის მოქალაქის მკვლელობის გამოძიება ქართველი გამომძიებლების გარეშე გააგრძელა და გამოძიების პროცესს მათ ქართველ კოლეგებზე ბევრად მეტი დრო მოანდომეს. საქართველოს გენერალური პროკურატურის გამომძიებლებმა კი, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის მკვლელობის ძიების საქმე, მართლაც გასაკვირი ოპერატიულობით დაასრულეს.

## სარეკორდო დროში გამოძიებული საქმე

დაკავებულები, რომლებიც თავდაპირველად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გამოძიებას ერთი და იმავე შინაარსის ჩვენებას აძლევდნენ და, ფაქტობრივად, ვუდროფის მკვლელობასთან ყოველგვარ კავშირს უარყოფდნენ, მას შემდეგ, რაც თბილისის მილიციის სამმართველოს საკანში რამდენიმე დღე გაატარეს, სხვაგვარად ალაპარაკდნენ.

სხვათა შორის, ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის თბილისის მილიციის სამმართველოს მაშინდელი უფროსის დავით ზეიკიძის სამხრეებს ერთი ვარსკვლავი "დააჯდა" – გენერალ-მაიორისა. თუმცა, დღეს, მკვლელობიდან 10 წლის შემდეგ, საქმის მთავარი გამხსნელი მილიციის გენერალ-მაიორი მკვლელობის დეტალებს ვერ იხსენებს.

**"კი, კი, როგორ არა, მახსოვს, ამერიკელი ნატახტრის გზაზე მოკლეს, მკვლელობაში ეჭვმიტანილები რამდენიმე საათის შემდეგ შემთხვევის ადგილთან ახლოს დააკავეს... ამ საქმეს პროკურატურა იძიებდა, იმათ მიმართეთ, უფრო დეტალურად იქ გაგცემენ პასუხს... ეჭვმიტანილები სამმართველოში იმიტომ გადმოიყვანეს, რომ ოპერატიული სამუშაო იყო ჩასატარებელი. იცით, რაშია საქმე? არის ასეთი მეთოდი - აგენტურული დამუშავება... ისე, თავიდან ეჭვი მეპარებოდა რაღაცეებში. ამ საქმის გახსნისთვის მივიღე გენერალ-მაიორის წოდება? არ მახსოვს, არა მგონია. რომელ წელს მოხდა ეს მკვლელობა? როგორც მახსოვს, 1993 წლამდე მივიღე წოდება... საერთოდ, ეს საქმე ძალიან ჩახლართული იყო, ამიტომ არ დავინტერესებულვარ და, შესაბამისად, არც დეტალები მახსოვს,"** – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა თბილისის მილიციის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა დავით ზეიკიძემ.

თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, "კაპეზეში" გადაყვანილი სამეულის შესახებ სწორედ დავით ზეიკიძემ მისწერა მაშინდელ გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს ვახტანგ გვარამიას საიდუმლო შეტყობინება, რომელიც აგენტურული მონაცემებით იყო გამაგრებული. თბილისის მილიციის სამმართველოში გადაყვანილი მეგობრები ოპერატიულად "დაამუშავეს", ანუ საკანში აგენტი "ჩაუსვეს" და საქმეც აქედან გაიხსნა. სწორედ ამიტომ ეჭვმიტანილები საკანში გადაყვანიდან 4 დღის შემდეგ ოფიციალურად პირველად დაიკითხნენ.

დაკავებიდან ოთხი დღის შემდეგ, ანუ 14 აგვისტოს, "კაპეზეში", პირველად, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჩუღურეთის რაიონის მილიციის თანამშრომელი გენადი ბერბიჭაშვილი დაიკითხა.

**"ნატახტრის საგუშაგოდან დაახლოებით 500 მეტრის მოშორებით ვიდექით. ანზორ შარმაიძემ ავტომატიდან ისროლა ავტომანქანა "ნივის" მიმართულებით, იმ დროს, როცა მანქანამ გვერდით ჩაგვიარა. ანზორ შარმაიძემ, რომელმაც მანქანას ესროლა, ჩემს კითხვაზე, თუ რატომ ესროლა, მიპასუხა, გათავხედებული შოფრები შუქს არ აქრობენო... მე გარკვევით დავინახე და გავიგონე, რომ ანზორ შარმაიძემ ნატახტრის გზაზე უცნობ პირთა მანქანის მიმართულებით მხოლოდ ერთხელ ისროლა..."** – აი, ასეთი აღიარებითი ჩვენება მისცა გენადი ბერბიჭაშვილმა გამოძიებას. თანაც, ბერბიჭაშვილი გამოძიებამ ზედიზედ 5-ჯერ დაკითხა.

ყოველი დაკითხვისას გენადი ბერბიჭაშვილი შემთხვევის ახალ დეტალებს იხსენებდა და ჩვენებებს ამდიდრებდა.

მისი აღიარების შემდეგ, ჩვენება ჩამოართვეს მეორე ეჭვმიტანილს – გელა ბედოიძეს. **"არ მახსოვს, მანქანა თუ მოძრაობდა, ანზორმა საგუშაგომდე ერთხელ ისროლა. არ დამინახავს, რა მიმართულებით,"** – განაცხადა ბედოიძემ.

მეგობრების მიერ დასახელებული ვუდროფის მკვლელობის მთავარი გმირი, ანზორ შარმაიძე, კარგა ხნის დაგვიანებით – 16 აგვისტოს დაკითხეს. თუმცა, მანამდე მისი ფსიქიკური მდგომარეობა შეამოწმეს. სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ იგი შერაცხადად ჩათვალა და პროკურატურას საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება მისცა. დაკითხვისას ანზორ შარმაიძემ დაწვრილებით გაიხსენა 8 აგვისტოს ღამით მომხდარი შემთხვევა და დანაშაულიც აღიარა: **"ბენზინი გაგვითავდა და მანქანებს ვაჩერებდით. ამ დროს გამოიარა დუშეთიდან თბილისისკენ მიმავალმა თეთრმა "ნივამ" ანთებული ფარებით, რომელსაც მე და გელა ბედოიძემ, გაჩერების მიზნით, ხელი დავუქნიეთ, მაგრამ არ გააჩერა, მარჯვენა ხელში მეკავა ჩემი ავტომატი "აკს"-ი 5,45 კალიბრის და ერთჯერ გავისროლე ჩავლილი "ნივის" მიმართულებით, უფრო ზუსტად, ჩავლილ "ნივას" ერთი ტყვია მივაყოლე უკან. "ნივის" მძღოლს მანქანა არ გაუჩერებია. პირიქით, მოუმატა სიჩქარეს და წავიდა თბილისისკენ,"** – განაცხადა ანზორ შარმაიძემ.

მოგვიანებით, გელა ბედოიძემაც გაიხსენა, რომ ნატახტართან გასროლის მომენტში გზაზე მანქანა მოძრაობდა - თეთრი "ნივა". ეს შარმაიძესთან დაპირისპირების შემდეგ მოხდა.

სხვათა შორის, წინასწარი დაკავების საკანში გამომწყვდეულ ტუსაღებს ადვოკატი არ ჰყოლიათ, გამოძიებას მათ აღიარებითი ჩვენებები დამცველის გარეშე ჩააბარეს და საქმისთვის საჭირო სხვა მტკიცებულებების შექმნაც ადვოკატების მონაწილეობის გარეშე მოხდა. საქმის მასალებში არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, დაკავებულებმა ადვოკატის აყვანაზე უარი თავად განაცხადეს. ეჭვის გამოთქმა, რომ ეჭვმიტანილებს ადვოკატზე უარი ძალით ათქმევინეს, თავისუფლად შეიძლება. რადგან, ძნელად თუ მოიძებნება ეჭვმიტანილი, რომელიც დამცველზე უარს თავის ნებით იტყოდეს. მით უმეტეს, ისეთ უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულებს, როგორიც ცსს-ს ოფიცრის მკვლელობაა, ლოგიკურად არ უნდა ეთქვათ ადვოკატის დაცვაზე უარი. ისე ერთიცაა, თუ იმ პერიოდის სამართალწარმოებას გადავხედავთ, საქმეების, თანაც, ასეთი რეზონანსული საქმეების უმეტესობა სწორედ ადვოკატების გარეშეა შექმნილი. იმდროინდელი, ჯერ კიდევ კომუნისტური ხარვეზებით სავსე "სამართლებრივი სივრცე" საბჭოთა გამოძიების მამის ვიშინსკის დევიზით მოქმედებდა – აღიარება მტკიცებულებათა დედოფალია.

უკვე 18 აგვისტოს "საქმის გამხსნელებს", გენადი ბერბიჭაშვილს და გელა ბედოიძეს, განზრახ მკვლელობის ბრალდება მოუხსნეს და ახალი წაუყენეს – დამნაშავისა და დანაშაულის დაფარვაში დაადანაშაულეს.

20 აგვისტოს კი გამომძიებელმა ოთარ ჯაფარიძემ ანზორ შარმაიძეს მყარი ბრალდება წაუყენა - ფრედ ვუდროფის განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა და უკვე, როგორც ბრალდებული, ისე დაკითხა. ეს კი უკვე იმას ნიშნავდა, რომ ვაშინგტონელი ოფიცრის მკვლელობის რეზონანსული საქმე მკვლელობიდან 2 კვირის თავზე გახსნილი იყო. პროკურატურამ საქმე გააკეთა და მოკლევადიანი – ერთკვირიანი შესვენება გამოაცხადა.

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, 27 აგვისტოს, გამომძიებელმა ოთარ ჯაფარიძემ ახალი დადგენილება დაწერა: **"ანზორ შარმაიძემ ფრედ ვუდროფის მკვლელობა ჩაიდინა სხვებისგან დამოუკიდებლად, არ ჰქონია წინასწარი შეთანხმება ბედოიძესა და ბერბიჭაშვილთან."** პროკურორის მიერ დამტკიცებული დადგენილება იმის მაუწყებელი იყო, რომ ბედოიძე-ბერბიჭაშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები შეწყდა – მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და 27 აგვისტოს ორივე გაათავისუფლეს პატიმრობიდან. თუმცა, გათავისუფლებისას კიდევ ერთხელ დაკითხეს, ადრე მიცემული ჩვენებები გაამეორებინეს და თანაც ვიდეოფირზე ჩაიწერეს.

13 ოქტომბერს ანზორ შარმაიძემ გამოძიებას საბოლოო სიტყვა უთხრა: **"არ მქონია ვუდროფის მკვლელობის განზრახვა, რის გამოც თავს დამნაშავედ არ ვცნობ. მე თავს დამნაშავედ ვცნობ ვუდროფის გაუფრთხილებელ მკვლელობაში, რის გამოც მოვითხოვ, ჩემი დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდეს 108-ე მუხლით."** ანუ, ტუსაღმა გამოძიების მიერ წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ მხოლოდ ნაწილობრივ ცნო, მკვლელობა გაუფრთხილებლობით ჩავიდინეო, - განაცხადა.

რა თქმა უნდა, გამოძიებამ შარმაიძის ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ანზორ შარმაიძე ბოლოს საგამოძიებო ჯგუფის წევრების თანდასწრებით დაიკითხა და მის მიერ ჩვენების მიცემის პროცესიც მისი თანხმობით ვიდეოკამერით გადაიღეს.

გამოძიებამ დაკითხა მკვლელობის თვითმხილველებიც, მანქანაში მყოფი სამეული. მათ ჩვენებები არ შეუცვლიათ, ფაქტობრივად, მკვლელობის დღეს მიცემული ახსნა-განმარტებები გაიმეორეს. დაიკითხნენ, ასევე, ნატახტრის საგუშაგო "კავკასიონის" მორიგე მილიციელები, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების თანამშრომლები და ის ადამიანებიც, რომლებმაც სროლის მომენტში ან მანამდე გაიარეს ნატახტრის გზაზე და რომელთაც შარმაიძემ და მისმა მეგობრებმა ბენზინი მოსთხოვეს. გარდა ჩვენებებისა, გენერალურ პროკურატურაში შექმნილმა სპეცჯგუფმა სხვა მტკიცებულებებიც მოიპოვა.



შარმაიძის ავტომატი.

### შემდეგ ნომერში წაიკითხავთ:

- ირაკლი ბათიაშვილი ამტკიცებს, რომ ვუდროფის მკვლელობა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შეკვეთილი ტერაქტი იყო.
- მკვლელობაში ბრალდებული ჩვენებას ცვლის და ამბობს, რომ იგი აწამეს.
- FBI-ის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ გამოუსადეგრად ჩათვალა ვუდროფის თავიდან ამოღებული მეტალის ფრაგმენტი, რომლიც ქართველმა სამართალდამცველებმა და ექსპერტებმა ტყვიის გარსის ფრაგმენტად მიიჩნიეს და ერთადერთ მყარ მტკიცებულებად გამოაცხადეს.
- FBI-ის საგამოძიებო მასალებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სპეცაგენტის სასიკვდილო ჭრილობის შესახებ ქართველმა ექსპერტებმა არასწორი დასკვნა დაწერეს.

# 15 მილიონი ამერიკული დოლარი იმერეთის ჰესებისთვის

პირველი გვერდიდან

ამჯერად საქართველოს ენერგეტიკა ფინანსურ დახმარებას ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან ელის, რომელიც 35 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტის გამოყოფას გეგმავს. ამ თანხის ნაწილი – 20 მილიონი დოლარი – გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას უნდა მოხმარდეს, 15 მილიონი დოლარით კი საქართველოს ხუთი მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია იგეგმება.

"იმერეთის ხუთი ჰესი" – სამთავრობო წრეები, უკვე დიდი ხანია, რაც მდინარე რიონზე მდებარე საქართველოს უმნიშვნელოვანეს ჰიდროელექტროსადგურებს: რიონჰესს, შაორჰესს, ძევრულაჰესს, გუმათჰესსა და ტყიბულჰესს ასე მოიხსენიებენ. ამ ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 250 მეგავატს აღწევს, რაც სავსებით საკმარისი სიმძლავრეა, რომ იმერეთის რეგიონში ენერგოდეფიციტი არ იგრძნობოდეს.

დღეს ეს სადგურები შეზღუდული სიმძლავრით მუშაობენ. თანაც, მათი ტექნიკური მდგომარეობა ავარიებისა და ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროებას წარმოშობს (მაგალითად, რიონჰესთან რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრის სახლი წყალმა წაიღო).

"ენერგოგენერაციას", რომელიც ამ ელექტროსადგურებს განაგებს, უკვე შედგენილი აქვს იმ აუცილებელი სამუშაოების ნუსხა, რაც სადგურებზე სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს. რიონჰესზე სასწრაფოდ უნდა გარემონტდეს წყალგამყვანი მილი, გუმათჰესზე ჩასატარებელია ელექტრომექანიკური სამუშაოები, შაორჰესზე კი სასწრაფოდ არის აღსადგენი კაშხალი, რომლის ნაწილიც ამჟამად ჩამონგრეულია და ამდენად, ძალიან საშიშია.



საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი აჭარბებს დიდი ბრიტანეთის, შვეიცარიისა და გერმანიის პოტენციალს.

**"USAID-ის მიერ გამოყოფილი 15 მილიონი დოლარი ამ ჰესების სრულფასოვან რეაბილიტაციას არ ეყოფა. ამის გამო, მხოლოდ ძირითადი, გადაუდებელი რემონტი ჩატარდება. სამუშაოების ნუსხას, რომელიც პირველ ეტაპზე უნდა განხორციელდეს, წინასწარი სამუშაოებისთვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული "პი-ეი კონსალტინგის" ქვეკონტრაქტორი სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფი "გეოინჟინერინგი" ადგენს,"** – განუცხადა "24 საათს" სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ.

სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფი "გეოინჟინერინგი", რომელიც ჰესების სარეაბილიტაციო პროექტში 2003 წლის თებერვლიდან ჩაერთო, ქართული საკონსულტაციო კომპანიაა. ამ კომპანიას მისი ხელმძღვანელის - "თემურ გოჩიტაშვილის ჯგუფის" სახელითაც იცნობენ. "გეოინჟინერინგის" სახელს სოციალისტურ პარტიას უკავშირებენ, რადგან ეს კომპანია "სოციალისტ" ზაქარია ქუცნაშვილის მამას, ივერი ქუცნაშვილს ეკუთვნის. ჯგუფი წლების მანძილზე მჭიდროდ თანამშრომლობს "პი-ეი კონსალტინგთან", რომელთანაც "სოციალისტები", აგრეთვე, თბილ ურთიერთობაში არიან. **"ჩვენ ერთადერთი ფირმა ვართ, ვისაც საერთაშორისო სერტიფიკატი აქვს საქართველოში,"** – აცხადებს "გეოინჟინერინგის" ხელმძღვანელი თემურ გოჩიტაშვილი. მისი თქმით, მათთან ერთად, ჰესების სარეაბილიტაციო პროექტში მონაწილეობს ამერიკული ფირმა "მონტგომერი ჰარზა".

"გეოინჟინერინგი" **"თავიდან იგონებს ველოსიპედს"** - აცხადებს "ენერგოგენერაციის" გენერალური დირექტორი გიგა ჩოგოვაძე: **"ჩვენ სპეციალისტებს ამ ელექტროსადგურების მდგომარეობა ნიუანსებამდე აქვთ შესწავლილი, თან, არაერთხელ. ვფლობთ სრულყოფილ მასალას იმის თაობაზე, თუ რა ხდება ამ სადგურებზე. ჩვენი დოკუმენტაცია ღიაა და, თანაც, უფასო. ვერ ვხედავ ლოგიკას, თუ რატომ უნდა აწარმოოს ამ მასალების თავიდან შესწავლა "გეოინჟინერინგმა."** მისი თქმით, "გეოინჟინერინგის" სპეციალისტები ამ ჰესების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას სწორედ "ენერგოგენერაციაში" აგროვებენ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სულ რაღაც სამიოდე თვის წინ იმერეთის ჰესების გაყიდვა გარდაუვალად მიაჩნდათ. **"მაქვს წინასწარი ინფორმაცია, რომ ამ ჰესებზე დიდი მოთხოვნილება იქნება,"** – აცხადებდა მაშინ ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პრივატიზაციის წინ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, ტრადიციულად, ამ ელექტროსადგურებში შექმნილ უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობასა და დიდი დავალიანებების იმ "მძიმე ტვირთზე" ალაპარაკდა, რაც ხელისუფლებას სადგურებისთვის თან უნდა გაეყოლებინა. არსებობდა ინფორმაცია, რომ მათი შესყიდვით რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემა იყო დაინტერესებული. საბოლოოდ, ქონების მართვის მინისტრმა სოლომონ პავლიაშვილმა ჰესების გაყიდვა ვერ მოასწრო. აუქციონამდე ცოტა ხნით ადრე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება იმერეთის ჰესების პრივატიზაციის საკითხთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ამის შემდეგ ჰესების პრივატიზაციის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

**"ჩვენმა დონორებმა ამ ჰესების პრივატიზებაზე უფრო მისაღებად მათი რეაბლიტაცია მიიჩნიეს. მოგვიანებით, როცა სადგურები უფრო მიმზიდველი გახდება, თუ სახელმწიფო საჭიროდ ჩათვლის, შესაძლოა, მათი პრივატიზების საკითხმა კვლავ წამოიწიოს. თუმცა, 4 წლის განმავლობაში, სანამ ჰესები რეაბილიტაციის პროცესში იქნება, ეს არ მოხდება,"** – აცხადებს ამჟამად სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლაიშვილი. მისი ინფორმაციით, წლის ბოლომდე კონკრეტულად დაფიქსირდება სამოქმედო გეგმა, წლის ბოლოს კი ტენდერი გამოცხადდება. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ვარაუდობს, რომ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო თავად ჩაატარებს ამ ტენდერს და გამოავლენს, თუ ვინ უნდა ჩაატაროს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სავარაუდოდ, ტენდერში რუსული ფირმები ჭარბად იქნებიან წარმოდგენილნი. საქმე ისაა, რომ იმერეთის ჰესების სარეაბილიტაციოდ აუცილებელი მარაგნაწილების უმეტესობა სწორედ რუსული წარმოებისაა.

# ჟორბენაძემ კონტრაბანდასთან ბრძოლა პირად კონტროლზე აიყვანა

სოფო კვინტრაძე

გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში, დახურული თათბირი გაიმართა, რომელზეც კონტრაბანდასთან ბრძოლის სტრატეგიაზე იმსჯელეს. როგორც ჩვენთან საუბრისას სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ განაცხადა, პირველ რიგში მოხდება იმ რამდენიმე ნორმატიული აქტისა და განკარგულების ერთ საკანონმდებლო დოკუმენტად ჩამოყალიბება, რომელიც კონტრაბანდული საქონლის წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს. ასევე მოხდება ყველა საფინანსო თუ ძალოვანი უწყებისათვის კონკრეტული ვალდებულებების დაკისრება, რომლის შესრულებასაც გააკონტროლებს სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჟორბენაძის თავმჯდომარეობით შექმნილი სპეციალური კომისია. გიორგი ისაკაძის განცხადებით, კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს კონტრაბანდასთან ბრძოლას, **"რადგან აქ საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების გაზრდის ყველაზე დიდი რეზერვებია."**

ამას გარდა, კომისია მოამზადებს საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც საგადასახადო შემოსავლების ოპტიმიზაციისათვის არის აუცილებელი. გიორგი ისაკაძე დღეს შეხვდება თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს გელა კობეშავიძესაც. "24 საათი" უკვე წერდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფმა საქართველოში სიგარეტის კონტრაბანდის მონიტორინგი ჩაატარა და მთავრობისათვის გარკვეული რეკომენდაციებიც მოამზადა. არასამთავრობოებმა სახელმწიფო მინისტრს მოსთხოვეს ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებისა და საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. ჯერჯერობით, კონტრაბანდასთან ბრძოლის მთავრობისეულ სტრატეგიაში აღნიშნული საკითხი შეტანილი არ გახლავთ. თუმცა, როგორც გიორგი ისაკაძე აღნიშნავს, ახლად შექმნილ კომისიაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შევლენ, რადგან სახელმწიფო მინისტრის დიდი სურვილია, მათაც გაუწიონ მონიტორინგი კონტრაბანდასთან ბრძოლას.

# ქონების მართვის სამინისტრო დაქუცმაცდა

ქონების მართვის სამინისტროს ბაზაზე დღეიდან სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო ამოქმედდება. სააგენტოს თავმჯდომარედ საინვესტიციო სააგენტოს ამჟამინდელი დირექტორი ვაჟა კაპანაძე დაინიშნება. პრივატიზების, სახელშეკრულებო ვალდებულებების კონტროლისა და იურიდიული დეპარტამენტები უკვე გადავიდნენ ეკონომიკის სამინისტროში. დეპარტამენტების ხელმძღვანელობა არ შეცვლილა. ძირითადად, ახალ სტრუქტურაში ძველი თანამშრომლები გააგრძელებენ მუშაობას.

სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს, სამართავად გადაეცემა, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 1500-მდე საწარმო. ლიკვიდური საწარმოების მართვას თავად სააგენტო განახორციელებს, ხოლო საპრივატიზაციო საწარმოებს კი ეკონომიკის სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტს გადასცემს.

ქონების მართვის ყოფილი მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი ეკონომიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს. პრივატიზების სფეროს კურატორის ფუნქცია, რასაც დღემდე პავლიაშვილი ასრულებდა, მინისტრის სხვა მოადგილეს – გოჩა მეგრელაძეს დაევალება. სააგენტო უშუალოდ ეკონიმიკის მინისტრს დაექვემდებარება.

ქონების მართვის სამინისტრო 1993 წელს შეიქმნა. მოგვიანებით, მას საწარმოთა მართვის ფუნქციები ჩამოერთვა და მხოლოდ პრივატიზების ფუნქცია დარჩა. პავლიაშვილის მინისტრად მოსვლის შემდეგ, 2002 წლის თებერვალში, საწარმოთა მართვის ფუნქცია დარგობრივ სამინისტროებს ჩამოერთვა და ისევ ქონების მართვის სამინისტროს დაუბრუნდა პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე.

გასული წლის მეორე ნახევარში, ქონების მართვის სამინისტროს გაუქმების შესახებ კანონპროექტი პარლამენტში პრეზიდენტის ინიციატივით შევიდა. ხანგრძლივი განხილვების შემდეგ, სამინისტროს გაუქმების გადაწყვეტილება პარლამენტმა ერთი თვის წინ მიიღო. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**ქუთაისი.** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის შიდა საყარებზე არსებული მეორადი ნარჩენების (სილიკომანგანუმი) მოპოვება-გადამუშავების ლიცენზიაზე ტენდერი გამოაცხადა. ლიცენზიის მოპოვების მსურველებმა სამინისტროში განაცხადები 15 მაისამდე უნდა შეიტანონ. შედეგები, სავარუდოდ, ხვალვე გახდება ცნობილი. შიდა საყარების ტერიტორიაზე კერძო პირების სავაჭრო ობიექტებია განთავსებული. ამის გამო, ზესტაფონის საკრებულოს წევრები, კერძო მესაკუთრეებსა და ლიცენზიის მომავალ მფლობელს შორის დაპირისპირებას არ გამორიცხავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, საქართველოში ჩამოვიდა "იტერას" ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ სობოლევი. იგი სააქციო საზოგადოება "აზოტის" აქციონერთა კრებას დაესწრება. "იტერას" წარმომადგენელმა თამაზ პატარიძემ განაცხადა, რომ 16 მაისს დაგეგმილ კრებაზე სობოლევი სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენებას მოისმენს და მომავალი გეგმების შესახებ ისაუბრებს. გარდა ამისა, სტუმარი "აზოტის" პრობლემატიკას საქართველოს ეკონომიკის მინისტრთან განიხილავს. დაგეგმილია მოლაპარაკებები "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობასთან. მხარეები განიხილავენ "იტერას" მიერ "აზოტის" პროდუქციის რკინიგზით დაუბრკოლებლად გადაზიდვის უზრუნველყოფის საკითხებს. **ინტერ-პრესი**

სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

www.dvnk.ge

office@dvnk.ge

მონიტორინგი

# ჩვენი გადასახადებით გასასტუმრებელი სახელმწიფო ვალები

## უკრაინული ხორბალი

1994 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციასა და სახელმწიფო სააქციო საზოგადოება "ხლებ უკრაინი"-ს შორის დაიდო N1 ხელშეკრულება უკრაინიდან 915 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ექვსი ათას 850 ტონა ხორბლის საქართველოში მოწოდების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულება ეყრდნობოდა საქართველოს მთავრობის 1994 წლის 18 ოქტომბრის N473/5 საგარანტიო წერილს.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს პურპროდუქტების კორპორაციის მიერ შესაბამისი თანხის აუნაზღაურებლობის გამო წარმოიშვა დავალიანება, რომელიც საქართველომ, კიევის 1997 წლის 14 თებერვლის შეთანხმებით, სახელმწიფო საგარეო ვალად აღიარა.

საბოლოოდ, 1997 წლის 14 თებერვლის შეთანხმებით განისაზღვრა:

- საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი უკრაინის ("ხლებ უკრაინი"-ს) მიმართ – 915 ათას 29 აშშ დოლარი;
- კრედიტის დაფარვის ვადა – 10 წელი (01.02.95 – 01.01.05);
- კრედიტის დაფარვის შეღავათიანი პერიოდი – 5 წელი (01.02.95 – 01.01.00);
- კრედიტის მომსახურების წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 პროცენტი;
- წლიური საჯარიმო განაკვეთი ვადაგადაცილებულ თანხაზე – Libor + 1 პროცენტი;

შეთანხმება გაფორმდა 1997 წლის 14 თებერვალს, ამიტომ კრედიტის დაფარვის ვადა პრაქტიკულად განისაზღვრა 8 წლით, ხოლო შეღავათიანი პერიოდი 3 წლით.

2000 წელს საქართველომ დაფარა ამ ვალის ძირითადი თანხის ნაწილი 183 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

2001 წლის 5-6 მარტს პარიზის კლუბში მოხდა საქართველოს საგარეო ვალების 2001 და 2002 წლების გადასახდელების (ე.წ. კონსოლიდირებული თანხის) რესტრუქტურიზაცია, რომელიც ასევე შეეხო საქართველოს საგარეო ვალს უკრაინის მიმართ.

ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ ხელმოწერილია საქართველოს უკრაინის მიმართ საგარეო ვალის ახალი შეთანხმება და დაფარვის ახალი გრაფიკი. მოლაპარაკებებზე უკრაინა დათანხმდა ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე 4 პროცენტიდან 3 პროცენტამდე და ძირითადი თანხის დაფარვაზე პარიზის კლუბის პირობის მიხედვით.

2003 წლის პირველ კვარტალში დაიფარა სესხის ძირითადი თანხის ნაწილი 45.8 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

2003 წლის 1 მაისისათვის საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი უკრაინის მიმართ შეადგენს 686 ათას 272 აშშ დოლარს და ვალის დაფარვის გრაფიკი მოცემულია ცხრილში.

## უგერგილო ვაჭრობა უზბეკეთთან

1996 წლის 28 მაისს, თბილისში, საქართველოსა და უზბეკეთის მთავრობებს შორის გაფორმდა საკრედიტო შეთანხმება. შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ სახელმწიფო საგარეო ვალად აღიარა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შედეგად წარმოქმნილი დავალიანება.

საბოლოოდ, 1996 წლის 28 მაისის საკრედიტო შეთანხმებით განისაზღვრა:

- საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი უზბეკეთის მიმართ არის მილიონ ორი ათასი აშშ დოლარი. **უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს თანხა წარმოშობილია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებით.**
- კრედიტის დაფარვის ვადა – 10 წელი (01.01.96 – 01.01.06);
- კრედიტის დაფარვის შეღავათიანი პერიოდი – 5 წელი (01.01.96 – 01.01.01);
- კრედიტის მომსახურების წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 პროცენტი;
- წლიური საჯარიმო განაკვეთი ვადაგადაცილებულ თანხაზე – 4.5 პროცენტი.

2001 წლის 5-6 მარტს პარიზის კლუბში მოხდა საქართველოს საგარეო ვალების 2001 და 2002 წლების გადასახდელების (ე.წ. კონსოლიდირებული თანხის) რესტრუქტურიზაცია, რომელიც ასევე შეეხო საქართველოს საგარეო ვალს უზბეკეთის მიმართ.

ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ ხელმოწერილია საქართველოს უზბეკეთის მიმართ საგარეო ვალის ახალი შეთანხმება და დაფარვის ახალი გრაფიკი. მოლაპარაკებებზე უზბეკეთი დათანხმდა კონსოლიდირებულ თანხებზე ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთის შემცირებას 4 პროცენტიდან 3 პროცენტამდე და ძირითადი თანხის დაფარვას პარიზის კლუბის პირობების მიხედვით.

2003 წლის პირველ კვარტალში დაიფარა სესხის ძირითადი თანხა 50.1 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

2003 წლის 1 მაისისათვის საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი უზბეკეთის მიმართ შეადგენს 951 ათას 100 აშშ დოლარს და ვალის დაფარვის გრაფიკი მოცემულია ცხრილში.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

### უკრაინის კრედიტი

| № | პერიოდი | ბალანსი | საამორტიზაციო გადასახადები | საპროცენტო გადასახადები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 31.03.03 | 732,023.20 | 45,751.45 | 8,235.26 | 53,986.71 |
| 2 | 30.06.03 | 686,271.75 | 45,751.45 | 7,892.12 | 53,643.57 |
| 3 | 30.09.03 | 640,520.30 | 45,751.45 | 7,548.99 | 53,300.44 |
| 4 | 31.12.03 | 594,768.85 | 45,751.45 | 7,205.85 | 52,957.30 |
| 5 | 31.03.04 | 549,017.40 | 45,751.45 | 6,862.71 | 52,614.16 |
| 6 | 30.06.04 | 503,265.95 | 45,751.45 | 6,519.58 | 52,271.03 |
| 7 | 30.09.04 | 457,514.50 | 45,751.45 | 6,176.44 | 51,927.89 |
| 8 | 31.12.04 | 411,763.05 | 45,751.45 | 5,833.31 | 51,584.76 |
| 10 | 30.06.05 | 366,011.60 | 1,976.46 | 5,490.17 | 7,466.63 |
| 12 | 31.12.05 | 364,035.14 | 2,305.87 | 5,460.53 | 7,766.40 |
| 13 | 30.06.06 | 361,729.27 | 2,635.28 | 5,425.94 | 8,061.22 |
| 14 | 31.12.06 | 359,093.99 | 3,001.30 | 5,386.41 | 8,387.71 |
| 15 | 30.06.07 | 356,092.69 | 3,367.31 | 5,341.39 | 8,708.70 |
| 16 | 31.12.07 | 352,725.38 | 3,733.32 | 5,290.88 | 9,024.20 |
| 17 | 30.06.08 | 348,992.06 | 4,135.93 | 5,234.88 | 9,370.81 |
| 18 | 31.12.08 | 344,856.13 | 4,538.54 | 5,172.84 | 9,711.38 |
| 19 | 30.06.09 | 340,317.59 | 4,977.76 | 5,104.76 | 10,082.52 |
| 20 | 31.12.09 | 335,339.83 | 5,416.97 | 5,030.10 | 10,447.07 |
| 21 | 30.06.10 | 329,922.86 | 5,892.79 | 4,948.84 | 10,841.63 |
| 22 | 31.12.10 | 324,030.07 | 6,405.20 | 4,860.45 | 11,265.65 |
| 23 | 30.06.11 | 317,624.87 | 6,917.62 | 4,764.37 | 11,681.99 |
| 24 | 31.12.11 | 310,707.25 | 7,466.64 | 4,660.61 | 12,127.25 |
| 25 | 30.06.12 | 303,240.61 | 8,015.65 | 4,548.61 | 12,564.26 |
| 26 | 31.12.12 | 295,224.96 | 8,601.27 | 4,428.37 | 13,029.64 |
| 27 | 30.06.13 | 286,623.69 | 9,186.89 | 4,299.36 | 13,486.25 |
| 28 | 31.12.13 | 277,436.80 | 9,845.71 | 4,161.55 | 14,007.26 |
| 29 | 30.06.14 | 267,591.09 | 10,504.53 | 4,013.87 | 14,518.40 |
| 30 | 31.12.14 | 257,086.56 | 11,163.35 | 3,856.30 | 15,019.65 |
| 31 | 30.06.15 | 245,923.21 | 11,895.38 | 3,688.85 | 15,584.23 |
| 32 | 31.12.15 | 234,027.83 | 12,627.40 | 3,510.42 | 16,137.82 |
| 33 | 30.06.16 | 221,400.43 | 13,396.02 | 3,321.01 | 16,717.03 |
| 34 | 31.12.16 | 208,004.41 | 14,201.25 | 3,120.07 | 17,321.32 |
| 35 | 30.06.17 | 193,803.16 | 15,043.08 | 2,907.05 | 17,950.13 |
| 36 | 31.12.17 | 178,760.08 | 15,921.50 | 2,681.40 | 18,602.90 |
| 37 | 30.06.18 | 162,838.58 | 16,799.93 | 2,442.58 | 19,242.51 |
| 38 | 31.12.18 | 146,038.65 | 17,751.56 | 2,190.58 | 19,942.14 |
| 39 | 30.06.19 | 128,287.09 | 18,739.79 | 1,924.31 | 20,664.10 |
| 40 | 31.12.19 | 109,547.30 | 19,728.03 | 1,643.21 | 21,371.24 |
| 41 | 30.06.20 | 89,819.27 | 20,789.46 | 1,347.29 | 22,136.75 |
| 42 | 31.12.20 | 69,029.81 | 21,887.49 | 1,035.45 | 22,922.94 |
| 43 | 30.06.21 | 47,142.32 | 23,022.13 | 707.13 | 23,729.26 |
| 44 | 31.12.21 | 24,120.19 | 24,120.16 | 361.80 | 24,481.96 |

### უზბეკეთის კრედიტი

| № | პერიოდი | ბალანსი | საამორტიზაციო გადასახადები | საპროცენტო გადასახადები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 31.03.03 | 1,002,000.00 | 50,100.00 | 5,929.64 | 56,029.64 |
| 2 | 30.06.03 | 951,900.00 | 50,100.00 | 5,495.90 | 55,595.90 |
| 3 | 30.09.03 | 901,800.00 | 50,100.00 | 5,051.18 | 55,151.18 |
| 4 | 31.12.03 | 851,700.00 | 50,100.00 | 4,546.06 | 54,646.06 |
| 5 | 31.03.04 | 801,600.00 | 50,100.00 | 3,997.02 | 54,097.02 |
| 6 | 30.06.04 | 751,500.00 | 50,100.00 | 34,497.39 | 84,597.39 |
| 7 | 30.09.04 | 701,400.00 | 50,100.00 | 3,030.71 | 53,130.71 |
| 8 | 31.12.04 | 651,300.00 | 50,100.00 | 2,525.59 | 52,625.59 |
| 9 | 31.03.05 | 601,200.00 | 50,100.00 | 1,976.55 | 52,076.55 |
| 10 | 30.06.05 | 551,100.00 | 52,264.32 | 7,461.47 | 59,725.79 |
| 11 | 30.09.05 | 501,000.00 | 50,100.00 | 1,010.24 | 51,110.24 |
| 12 | 31.12.05 | 448,735.68 | 52,625.04 | 6,533.80 | 59,158.84 |
| 13 | 30.06.06 | 396,110.64 | 2,885.76 | 5,892.82 | 8,778.58 |
| 14 | 31.12.06 | 393,224.88 | 3,286.56 | 5,946.85 | 9,233.41 |
| 15 | 30.06.07 | 389,938.32 | 3,687.36 | 5,801.00 | 9,488.36 |
| 16 | 31.12.07 | 386,250.96 | 4,088.16 | 5,841.38 | 9,929.54 |
| 17 | 30.06.08 | 382,162.80 | 4,529.04 | 5,716.74 | 10,245.78 |
| 18 | 31.12.08 | 377,633.76 | 4,969.92 | 5,711.06 | 10,680.98 |
| 19 | 30.06.09 | 372,663.84 | 5,450.88 | 5,544.01 | 10,994.89 |
| 20 | 31.12.09 | 367,212.96 | 5,931.84 | 5,553.47 | 11,485.31 |
| 21 | 30.06.10 | 361,281.12 | 6,452.88 | 5,374.68 | 11,827.56 |
| 22 | 31.12.10 | 354,828.24 | 7,014.00 | 5,366.17 | 12,380.17 |
| 23 | 30.06.11 | 347,814.24 | 7,575.12 | 5,174.33 | 12,749.45 |
| 24 | 31.12.11 | 340,239.12 | 8,176.32 | 5,145.53 | 13,321.85 |
| 25 | 30.06.12 | 332,062.80 | 8,777.52 | 4,967.30 | 13,744.82 |
| 26 | 31.12.12 | 323,285.28 | 9,418.80 | 4,889.14 | 14,307.94 |
| 27 | 30.06.13 | 313,866.48 | 10,060.08 | 4,669.30 | 14,729.38 |
| 28 | 31.12.13 | 303,806.40 | 10,781.52 | 4,594.55 | 15,376.07 |
| 29 | 30.06.14 | 293,024.88 | 11,502.96 | 4,359.25 | 15,862.21 |
| 30 | 31.12.14 | 281,521.92 | 12,224.40 | 4,257.54 | 16,481.94 |
| 31 | 30.06.15 | 269,297.52 | 13,026.00 | 4,006.26 | 17,032.26 |
| 32 | 31.12.15 | 256,271.52 | 13,827.60 | 3,875.67 | 17,703.27 |
| 33 | 30.06.16 | 242,443.92 | 14,669.28 | 3,626.70 | 18,295.98 |
| 34 | 31.12.16 | 227,774.64 | 15,551.04 | 3,444.70 | 18,995.74 |
| 35 | 30.06.17 | 212,223.60 | 16,472.88 | 3,157.19 | 19,630.07 |
| 36 | 31.12.17 | 195,750.72 | 17,434.80 | 2,960.39 | 20,395.19 |
| 37 | 30.06.18 | 178,315.92 | 18,396.72 | 2,652.75 | 21,049.47 |
| 38 | 31.12.18 | 159,919.20 | 19,438.80 | 2,418.50 | 21,857.30 |
| 39 | 30.06.19 | 140,480.40 | 20,520.96 | 2,089.89 | 22,610.85 |
| 40 | 31.12.19 | 119,959.44 | 21,603.12 | 1,814.18 | 23,417.30 |
| 41 | 30.06.20 | 98,356.32 | 22,765.44 | 1,471.30 | 24,236.74 |
| 42 | 31.12.20 | 75,590.88 | 23,967.84 | 1,143.18 | 25,111.02 |
| 43 | 30.06.21 | 51,623.04 | 25,210.32 | 767.98 | 25,978.30 |
| 44 | 31.12.21 | 26,412.72 | 26,412.72 | 399.45 | 26,812.17 |

# ერ-რიადში ამერიკელები მოკლეს

პირველი გვერდიდან

ტერაქტის შემდეგ, საუდის პოლიციამ იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების დიდი მარაგი აღმოაჩინა, რომელიც ბოროტმზრახველებს, სავარაუდოდ, მომდევნო დღეებში ტერორისტული აქტების სერიისათვის უნდა გამოეყენებინათ.

საუდის არაბეთში გამგზავრების წინ, იორდანიაში მყოფმა პაუელმა, ტერორისტულ აქტებში ალ-ქაიდა დაადანაშაულა. "ამ აფეთქებებში ალ-ქაიდას ხელწერა იკითხება, რომელიც მხოლოდ უდანაშაულოთა განადგურებას ცდილობს", - განაცხადა პაუელმა.

"ალ-ქაიდა დასუსტდა, მაგრამ არ განადგურებულა", - აღნიშნა პაუელმა. "ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ".

"ჩვენს წინაშე არსებული ამოცანების განხორციელებისას უკან არ დავიხევთ", - დასძინა მან.

"სამი აფეთქება, რომელიც ერ-რიადის აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა, კამიკაძეებმა განახორციელეს", - განაცხადა საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პრინცმა ნაიფ იბნ აბდულაზიზმა არაბული პრესისათვის გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, "ისინი (ტერორისტები) სამიზნედ შერჩეული სახლების ტერიტორიაზე ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილი მანქანებით შეიჭრნენ".

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ეჭვმიტანილებზე ინფორმაციის შეგროვება უკვე დაიწყო. მათი თქმით, ცსს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ალ-ქაიდა საუდის არაბეთში ამერიკელებზე აპირებდა თავდასხმას.

სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სახელმწიფო დეპარტამენტმა 1 მაისს გააკეთა განცხადება, რომლის თანახმად, "ტერორისტები ამერიკის მოქალაქეებზე თავდასხმებს უახლოეს დღეებში აპირებდნენ".

ვაშინგტონში გამოძიების ფედერალური ბიუროს მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ მათ ერ-რიადში აგენტთა ჯგუფი გააგზავნეს, რომლებიც აფეთქებებს გამოიძიებენ და ამავდროულად შეეცდებიან, რომ, ამჟამად, საუდის არაბეთში მყოფ სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელზე



პრინცი აბდულა და კოლინ პაუელი

შესაძლო თავდასხმა გამორიცხონ.

ერ-რიადში სამ დასახლებაზე მიიტანეს იერიში: ალ-ჰამრი, იადაველი და ვინელი. "ალ-ჰამრის ოაზისის სოფელიც" და იადაველიც ფეშენებელური დასახლებებია ერ-რიადში, სადაც, ძირითადად, ამერიკული კორპორაციების მენეჯერები და აღმასრულებელი დირექტორები თავიანთი ოჯახებით ცხოვრობენ. ვინელში კი განლაგებულია უმსხვილესი ამერიკული კორპორაციების "ვინელ კორპორეიშნისა" და "ნორთროპ გრუმანის" ფილიალები, რომლებიც საუდის არაბეთის სამხედრო ძალებს კონსულტაციას უწევენ და იარაღს აწვდიან. საუდის არაბეთში არსებულ ფილიალებში 1000 კაცზე მეტია დასაქმებული, რომელთაგან 300 ამერიკელია.

ამ დასახლებებში შესვლამდე მანქანებს ამოწმებენ. მცველები უკანასკნელ ხანებში სარკეებსაც იყენებდნენ, რათა მანქანის ძარაზე დაკრული ბომბები არ გამოჰპარვოდათ.

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მოქალაქეებს, თვეების განმავლობაში, მოსალოდნელი ტერორისტული აქტების თაობაზე აფრთხილებდნენ. ძალიან ბევრმა საკუთარი ოჯახები შეერთებულ შტატებსა და ევროპაში დააბრუნა მას შემდეგ, რაც კომპანიების სათავო ოფისებმა განაცხადეს, რომ თავიანთი თანამშრომლების უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლეოდნენ. ამჟამად, ერ-რიადში დაახლოებით 12 000 ამერიკელი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა ამერიკული კორპორაციებისათვის მუშაობს.

პაუელი ერ-რიადში ყოფნისას ტახტის მემკიდრეს პრინც აბდულასა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს შეხვდა, რომლებთანაც საუბრის ძირითადი თემა ამერიკელების წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების გარდა, ერაყის მომავალი და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმა იყო.

**აფეთქება საუდის არაბეთში**

ერ-რიადში მომხდარმა სამმა აფეთქებამ ამერიკელთა დასახლებები დააზიანა. აფეთქების შედეგად 29 ადამიანი დაიღუპა და 40 დაიჭრა. ტერაქტში ეჭვმიტანილია ალ-ქაიდა.




**ალ-ქაიდას მიერ ცოტა ხნის წინ განხორციელებული ტერაქტები**

**20 მარტი:** პოლიციის შეფი მოკლეს საკაკაში. ეს მეოთხე მკვლელობაა რვა თვის განმავლობაში. სხვადასხვა ინფორმაციით, ალ-ქაიდას იარაღის მარაგები ვადი რუმში აქვს.

**18 მარტი:** ალ-ქაიდას წევრი ბომბის დამზადებისას მოკვდა ერ-რიადში.

**9 მარტი:** სამხედროებმა იედას სავაჭრო ცენტრში 16 ბომბი გააუვნებელყვეს.

**20 თებერვალი:** ბრიტანული კომპანიის თანამშრომელი მოკლეს.

# მოსკოვში ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა გაიმართა

გუშინ მოსკოვში ნატო-რუსეთის საბჭოს მორიგი, მეხუთე სხდომა გაიმართა. მასში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ჯორჯ რობერტსონმაც მიიღო მონაწილეობა.

საბჭო, დაახლოებით, ერთი წლის წინ, ალიანსსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. მან შეცვალა "მუდმივი ერთობლივი საბჭო", რომელმაც რამდენიმე წელი სრულიად უშედეგოდ იარსება.

რობერტსონის თქმით, ახალი საბჭო წინამორბედზე უფრო წარმატებული აღმოჩნდა. მის ფარგლებში ნატო-სა და რუსეთს შორის რამდენიმე, თუმცა - არცთუ ისე მნიშვნელოვან, შეთანხმებას მოეწერა ხელი.

როგორც რობერტსონმა საბჭოს მუშაობის დასრულების შემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სხდომაზე საუბარი სარაკეტო დაცვის ახალი სისტემის შექმნას შეეხებოდა, რომელშიც როგორც რუსეთი, ისე ნატო-ს ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას. თუმცა, რობერტსონმა დასძინა, რომ წარმატებულ მოლაპარაკებას წარმატებული დაფინანსებაც უნდა მოჰყვეს.

ამ მხრივ კი რუსეთს პრობლემები აქვს. თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ 1 აგვისტომდე რუსეთი ბოსნიიდან და კოსოვოდან მთელ თავის სამშვიდობო კონტინგენტს გამოიყვანს. ექსპერტების აზრით, ეს ბალკანეთზე რუსეთის პოზიციების მნიშვნელოვან შესუსტებას მოწმობს. რუსი სამხედრო დამკვირვებლების შეფასებით, ეს იძულებითი ნაბიჯია, რომელიც, პირველ რიგში, სახსრების ნაკლებობით არის გამოწვეული.

# ჩეჩნეთში რუს სამხედროებზე თავდასხმები არ წყდება

გუშინ, ჩეჩნეთში მომხდარი თავდასხმის დროს, სამი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა და სამი დაიჭრა. ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, რუსეთის შინაგანი ჯარების ჯავშანტრანსპორტიორს, რომელიც ტრასის განაპირას იდგა, მიუახლოვდა "უაზ"-ი, რომელშიც სამხედრო ფორმაში ჩაცმული ხალხი ისხდა. მათ ჯერ ავტომატებიდან გახსნეს ცეცხლი, შემდეგ კი ჯარისკაცებს ხელყუმბარები ესროლეს.

იმავე საღამოს მომხდარი კიდევ ერთი ინციდენტის დროს ერთი რუსი სამხედრო დაიღუპა და სამი დაიჭრა. ადგილობრივი შსს-ის ცნობით, ფედერალური შინაგანი ჯარების მანქანა ნაღმზე აფეთქდა.

პარალელურად, თითქმის დასრულდა საძიებო სამუშაოები, რომელიც კვირას აფეთქებული "ეფ-ეს-ბესა" და მიმდებარე შენობების ადგილას მიმდინარეობდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაიღუპა 56 კაცი, დაიჭრა სამასზე მეტი. მსხვერპლთა შორის არიან როგორც რუსი ჯარისკაცები და უშიშროების თანამშრომლები, ისე ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა.

კადიროვის ხელისუფლება ტერაქტში მასხადოვს ადანაშაულებს. ამ უკანასკნელის წარმომადგენელი კი აცხადებს, რომ მასხადოვი არაფერ შუაშია. გამომძიებელთა თქმით, ტერაქტის გამო პასუხი უნდა აგონ უსაფრთხოების სამსახურებმაც, რომელთაც ერთი ტონა ტროტილი "გამოეპარათ".

რუსული ოპოზიცია (მათ შორის - მემარჯვენე ძალთა გაერთიანება) ამბოხებულებთან მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვს.

# კორეის სანაპიროებთან ორი ტანკერი ერთმანეთს შეეჯახა

სამხრეთ კორეის ნაპირებთან ნავთობით დატვირთული ორი ტანკერის შეჯახებამ ზღვაში 200 ათასი ტონა საწვავის ჩაღვრა გამოიწვია. ორივე ტანკერი სამხრეთ კორეულ კომპანიებს ეკუთვნოდა. შეჯახება ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ პუსანის ნავსადგურში მოხდა. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ არის.

ადგილობრივი საზღვაო პოლიციის განცხადებით, ტალღები ნავთობის ლაქას დიდ ფართობზე ავრცელებს. ამის თავიდან აცილება უკვე შეუძლებელია.

პუსანში ნავთობის დიდი გაჟონვა ერთხელ უკვე მოხდა, 1997 წელს. მაშინ ადგილობრივმა მეთევზეებმა უზარმაზარი ზარალი განიცადეს.

# ომი დემოკრატიას ხელს ვერ შეუწყობს

პრეზიდენტ ბუშის კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დაცემამ ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის გავრცელებას უნდა შეუწყოს ხელი, სავარაუდოდ, მცდარია – ჩატარებული კვლევის შედეგად, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბრიტანული ანალიტიკური ცენტრი "სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტი" ასეთ დასკვნამდე მივიდა.

"ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიამ ერაყის ომის შედეგად, შესაძლოა, მცირეოდენი პროგრესი განიცადოს, მაგრამ კიდევ დიდი დრო გავა, სანამ იგი ამ რეგიონში საბოლოოდ დამკვიდრდება," – ნათქვამია ინსტიტუტის მიერ გამოცემულ მიმოხილვაში.

ავტორების აზრით, სპარსეთის ყურის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის, საუდის არაბეთსა და ირანში შესაძლებელი იქნებოდა დემოკრატიის სტიმულირება, მაგრამ ამერიკის მოსახლეობას რეგიონში დემოკრატიის დასამყარებლად საჭირო სახსრების გაღება არ სურს.

მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ ვაშინგტონმა "აშშ-ახლო აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის" მხარდასაჭერად სულ რაღაც 29 მილიონი დოლარი გამოყო. ინიციატივის მიზანი ისლამურ ქვეყნებში ზომიერი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაა.

"რეგიონში ღრმად გამჯდარი პოლიტიკური ჩამორჩენილობის ფონზე, ასეთ სიმბოლურ დახმარებას მნიშვნელოვანი ეფექტი არ მოჰყვება," – ნათქვამია გამოკვლევაში.

იორდანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მარვან მუაშერმა ახლახან განაცხადა, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების რეფორმა არაბული სამყაროსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დიპლომატის აზრით, არაბებმა თუ თავად ვერ მოახერხეს რეფორმირება, მაშინ მათ "თავსმოხვეული დემოკრატიის" პირობებში მოუწევთ ცხოვრება.

იორდანიაში, რომელშიც პრო-ამერიკულად განწყობილი მეფე ანტიამერიკული განწყობილების მქონე მოსახლეობას მართავს, ომის შედეგად იძულებული გახდა, პარლამენტი დაეთხოვა და დეკრეტებით მართვაზე გადასულიყო. საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნა მისთვის სახალხო პროტესტებთან გამკლავების ერთადერთი საშუალება იყო.

ინსტიტუტის გამოკვლევის თანახმად, ერაყის ომმა უახლოეს მომავალში შეიძლება ტერორიზმის ალმავლობა გამოიწვიოს, რაც ისეთი ქვეყნების მთავრობებს, როგორიცაა ეგვიპტე, იორდანია და იემენი, აიძულებს, ქვეყნის მართვაში უფრო მეტად რკინის მუშტს დაეყრდნონ, რაც ავტორიტარიზმს შეუქმნის ნოყიერ ნიადაგს და არა დემოკრატიას.

გარდა ამისა, რადგან ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის ადგილიდან დასაძრავად, აშშ-სათვის აუცილებელია არაბულ ქვეყნებთან თანამშრომლობა, მკვლევარების აზრით, ვაშინგტონს მოუწევს, ეს რეჟიმები ისეთი მიიღოს, როგორებიც არიან და მათზე ზეწოლისაგან თავი შეიკავოს. ზეწოლის გარეშე კი კაირო, ამანი და ერ-რიადი ბევრს არაფერს გააკეთებენ.

ამერიკის ხელისუფლებამ, რომელიც რეგიონში როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ცვლილებების სტიმულირებას ცდილობს, განაცხადა, რომ ვაშინგტონი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შემოღებას მხარს დაუჭერს.

მაგრამ, ინსტიტუტის ექსპერტების აზრით, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მთავრობებს ამერიკის მიერ შემოთავაზებული რეფორმების მხარდაჭერაში თავიანთი მოსახლეობის დარწმუნება გაუჭირდებათ, განსაკუთრებით, თუ ერაყში საქმეები ცუდად წავიდა.

*როიტერი*

# ირანმა აშშ-სთან კონტაქტები დაადასტურა

თეირანმა დაადასტურა, რომ ირანელი მაღალჩინოსნები ამერიკელებს ერაყისა და ავღანეთის შესახებ სასაუბროდ ჟენევაში შეხვდნენ.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჰამიდ რეზა ასეფის თქმით, თეირანისა და ვაშინგტონის მოლაპარაკებებისას ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა დღის წესრიგში არ დამდგარა.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული განცხადება დასავლურ პრესაში რამდენიმე დღის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების შემდეგ გააკეთა. ამერიკული გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ ირანელი და ამერიკელი დიპლომატები ორ ქვეყანას შორის არსებული მწვავე საკითხებისა და რეგიონული უშიშროების განსახილველად ერთმანეთს უკვე სამჯერ შეხვდნენ.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ორმა ქვეყანამ მხოლოდ ავღანეთში არსებული ვითარებისა და ერაყში მყოფი ირანის ოპოზიციური ჯგუფების შესახებ ისაუბრა.

ირანის ხელისუფლებამ გადაჭრით უარყო ცნობა, თითქოს, ვაშინგტონი და თეირანი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობას განიხილავდნენ. შეერთებულმა შტატებმა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობები მას შემდეგ გაწყვიტა, რაც 1980 წელს თეირანში ირანელმა სტუდენტებმა ამერიკელი დიპლომატები მძევლად აიყვანეს.

ჟენევაში გამართულ მოლაპარაკებებს, თეთრი სახლის სახელით, ავღანეთსა და ერაყში ჯორჯ ბუშის საგანგებო დესპანი ზალმაი ხალილზადი აწარმოებდა.

გასული კვირის ბოლოს ამერიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ერაყში არსებულ ირანის ოპოზიციურ ჯგუფებს განაიარაღებს. მიმომხილველების აზრით, ეს თეირანის გულისმოსაგებად გაკეთებული დიპლომატიური ჟესტი იყო.

თავის მხრივ, ამერიკელებმა ირანელებს მოთხოვეს, რომ ერაყიდან გაქცეული ალ-ქაიდას წევრები ვაშინგტონს გადასცენ.

მოლაპარაკებების დროს, სავარაუდოდ, ირანის მიერ ტერორიზმში ეჭვმიტანილი ორგანიზაციების დაფინანსება და თეირანის ბირთვული იარაღის პროგრამებიც განიხილებოდა.

დასავლური საინფორმაციო წყაროების თქმით, ცნობილი არ არის, აღნიშნული შეხვედრები შეთანხმებული იყო თუ არა ირანის უზენაეს სასულიერო ლიდერთან აიათოლა ალი ხამენეისთან, რომელიც ამერიკელებთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობას ეწინააღმდეგება.

# ფრანგები საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ

თორნიკე შარაშენიძე

2003 წლის 13 მაისი თანამედროვე საფრანგეთის ისტორიაში უნიკალურ თარიღად შევა. ამ დღეს უპრეცედენტო, 24-საათიანი გაფიცვა მოეწყო, რომელშიც, პრაქტიკულად, მთელი სახელმწიფო სექტორის მუშაკებმა მიიღეს მონაწილეობა. გაფიცვა პრემიერ-მინისტრ ჟან-პიერ რაფარენის გეგმების საპასუხოდ მოეწყო, რომელიც ქვეყანაში საპენსიო რეფორმის განხორციელებას აპირებს.

მთელი დღის განმავლობაში საფრანგეთის მსხვილი ქალაქები (უპირველესად კი, პარიზი) პარალიზებული იყო. გაჩერდა ავტობუსები, მეტრო, არ მუშაობდა სკოლები, დახლებზე გაზეთები არ გამოჩენილა, მუშაობა შეწყვიტა საავადმყოფოების ნაწილმა, ნაწილობრივ პარალიზებული იყო ფოსტა, შეფერხდა საერთაშორისო ავიარეისების უმრავლესობა, პრობლემები გაჩნდა ელექტრომომარაგებაშიც. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საფრანგეთის ეკონომიკის დიდი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია და კერძო კომპანიებზე ეკონომიკის არც ისე დიდი სექტორი მოდის. საჯარო მოხელეები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროტესტის ნიშნად, სამუშაოზე არ გასულან, რის გამოც კერძო სექტორში დასაქმებულთა დიდ ნაწილს თავიანთ სამუშაო ადგილებზე ველოსიპედებითა და ფეხით მოუხდათ მისვლა. ეს კიდევ ყველაფერი არ არის - ახლო მომავალში საჯარო სექტორის მუშაკები გრანდიოზულ საპროტესტო გამოსვლებს გეგმავენ, რათა რაფარენს განზრახვაზე ხელი აღებინონ. ასე რომ, საფრანგეთს მალე კიდევ უფრო გრანდიოზული დემონსტრაციები ელის, ვიდრე ეს შარშან, "ფრანს ტელეკომის" მუშაკთა გაფიცვის დროს იყო.

პრემიერის რეფორმა საჯარო სექტორში პენსიაზე გასვლისათვის საჭირო სტაჟის გახანგრძლივებას გულისხმობს. ახლო მომავალში საფრანგეთში პენსიონერთა რიცხვის მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი, რომელთა რჩენაც სახელმწიფოს დიდ ტვირთად დააწვება. ეს პენსიონერები ე.წ. "ბეიბი ბუმერების" თაობაა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შობადობის მკვეთრი ზრდის პერიოდში დაიბადნენ. მსგავსი პრობლემები სხვა ქვეყნებსაც აქვთ – თუნდაც, იგივე აშშ-ს, მაგრამ ყველაზე უფრო მწვავედ იგი მაინც საფრანგეთში იგრძნობა, რომელიც ლამის სოციალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენს და სადაც თითქმის ყველაფერზე პასუხს სახელმწიფო აგებს.

სპეციალისტთა გათვლებით, "ბეიბი ბუმერების" თაობის გამოისობით 2020 წელს საფრანგეთის ბიუჯეტში 50 მილიარდი ევროს გარღვევა გაჩნდება. პროფკავშირები ამ პრობლემას აღიარებენ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს სხვა გამოსავალის პოვნა შეუძლია. თუმცა, გამოსავალი როგორი შეიძლება იყოს, ამაზე თავად ნაკლებად აქვთ წარმოდგენა.

აღსანიშნავია, რომ საპენსიო რეფორმის განხორციელება პარიზს 1995 წელსაც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მაშინ მთელ ქვეყანას ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვების ისეთმა ტალღამ გადაუარა, რომ მთავრობა იძულებული გახდა, უკან დაეხია. ახლა რაფარენი ირწმუნება, რომ მას ვერანაირი პროტესტი ვერ შეაშინებს და რეფორმა მაინც გატარდება. მისი თქმით, თუკი ეს არ გაკეთდა, 20 წელიწადში მთავრობას პენსიების განახევრება მოუწევს.

რაფარენის საპენსიო რეფორმა ითვალისწინებს:

2008 წლიდან საჯარო მოხელეების პენსიაზე გასვლისათვის საჭირო სტაჟის 40 წლამდე გაზრდას (კერძო სექტორის სტაჟისათვის გატოლება);

2020 წლიდან სტაჟის 42 წლამდე გაზრდას;

2008 წლიდან საპენსიო გადასახადის აწევას;

მუშაკთათვის საპენსიო ასაკის შესრულების შემდეგ სამსახურში დარჩენის უფლების მიცემას.



# საქველმოქმედო აქცია


ჩიტუნიას სიკვდილმა პატარები ააფორიაქა.

თამარ დვალი

*დავით საყვარელიძის მიერ დადგმულ სპექტაკლ "ჰიპ"-ს, ალბათ, არასდროს ისეთი ემოციური მაყურებელი არ ჰყოლია, როგორც გუშინ. თბილისის სამეფო უბნის თეატრი დამხმარე სკოლა-ინტერნატისა და ლოგოპედიური სკოლის მოსწავლეებს უფასოდ მასპინძლობდა.*

სავსე დარბაზში ბავშვების ემოციები არ ცხრებოდა. სპექტაკლის ბოლოს ჩიტუნიას სიკვდილმა პატარები ააფორიაქა. რამდენიმე ბავშვი ჩუმად იწმენდდა ცრემლს. "დედა, რატომ მოკლეს ჩიტუნია, მერე ხომ მაინც გააცოცხლებდნენ?" - ამ და კიდევ სხვა უამრავ კითხვას სვამდა პატარა ბიჭი, რომელიც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზს არ ტოვებდა და გულმოდგინედ უკრავდა ტაშს. 15 წლის ნონამ გვითხრა, - "ნოლ კლასში დავდიოდით ხოლმე ასეთ სპექტაკლებზე, მაგრამ ახლა აღარც კი მახსოვს, ბოლოს რა ვნახე. დღეს რასაც ვუყურე, ძალიან მომეწონა. ზოგს შეეშინდა, მაგრამ მე არ შემშინებია. ძალიან მინდა, რომ კიდევ წამოგვიყვანონ".

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტის, ნანა ყეინიშვილის თქმით, ასეთი დადებითი ემოციები მოზარდების ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს. "ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებს ყურადღება არ მოვაკლოთ. წითელი ჯვრის საზოგადოებამ და სამეფო უბნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ბატონმა მერაბ თავაძემ ერთობლივად დავგეგმეთ, უნარშეზღუდული ბავშვებისთვის ერთი ლამაზი დღე გვეჩუქებინა. მათ გაბრწყინებულ სახეებს რომ ვხედავ, ვთვლი, რომ ჩვენმა აქციამ გაამართლა. 1 ივნისი ახლოვდება და ამ დღესთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე ღონისძიებას ვგეგმავთ. ალბათ, გრანდიოზულ კონცერტსაც მოვაწყობთ. საქველმოქმედო კონცერტების მოწყობაში ჯემალ სეფიაშვილის ოჯახი მუდამ გვეხმარება. ისინი ამგვარ აქციებში ყოველთვის უსასყიდლოდ იღებენ მონაწილეობას და ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა ნანამ.

დამხმარე სკოლა-ინტერნატისა და ლოგოპედიური სკოლის მოსწავლეები დღეს თოჯინების თეატრს ესტუმრებიან. ხვალ ისინი ზოოპარკს დაათვალიერებენ.

# სომხური „მიმინო" ქართულ პოლიტიკაში

ბელა მახარაძე

*"ვინც თავის გვარს სხვაში გაცვლის,*
*ეროვნებით სხვა გახდება,*
*სიკვდილისას სომხის ცრემლი*
*მას არ ეღირსება".*

*გუშინ ეს ლექსი, კულტურის სახლ "იმედში", სომეხთა და ქართველთა საზოგადოების - "მიმინოს" ყრილობაზე ავთანდილ მარგიანმა სომხურ და ქართულ ენებზე წაუკითხა პუბლიკას. აღფრთოვანებულმა სომხებმა ოვაციები მქუხარე ტაშით გამოხატეს, მაგრამ შეხვედრა მანამდე უფრო საინტერესოდ და ორიგინალურად დაიწყო. დარბაზში აჟღერდა საბჭოთა საქართველოს დროინდელი ჰიმნი, რომელიც ამჟამად ამ საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენს.*

სომხურ-ქართული საზოგადოება "მიმინოს" გუშინდელი ყრილობა, სხვა დანარჩენი ყრილობებისაგან განსხვავებით, საინტერესო და მიმზიდველი იმით იყო, რომ აქ მოისმენდით ლექსებს, რომლებიც აქამდე არ მოგისმენიათ. დიდი ნოსტალგია და აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრე სომხებში ძველი საბჭოთა ჰიმნის აჟღერებამაც. მოკლედ, გუშინდელი ყრილობა ემოციებით იყო დატვირთული, თუმცა ეს ემოციები მხოლოდ დადებითად არ გამოუხატავთ საზოგადოების ლიდერებს.


"Я здесь живу..."

ჟორა არუთინიანმა, ამ საზოგადოების ერთ-ერთმა ლიდერმა, ვრცლად ისაუბრა სომეხთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე, მისი სურვილია, აღდგეს საქართველოსა და სომხეთს შორის კულტურული ურთიერთობები. ის შეეხო პოლიტიკურ ურთიერთობასაც ამ ორ ქვეყანას შორის. არუთინიანი არ უკარგავს ქართველებს იმ ამაგს, რომელიც სომხების მიმართ მიგვიძღვის და ამბობს: **"საქართველო არის და იყო ის ქვეყანა, რომელმაც სომხებს მისცა გაქანების ყველა საშუალება."**

"მიმინო" და "ერთიანი საქართველო" არჩევნებში მონაწილეობას ერთად აპირებენ და არ არის გამორიცხული, ისინი "აღორძინებასთან" ბლოკში გაერთიანდნენ. ყრილობაზე საზოგადოების საპატიო ლიდერად ასლან აბაშიძე აირჩიეს.

არუთინიანმა გააპროტესტა რჩეულიშვილის განცხადება. ეს ყრილობაც სწორედ იმისათვის მოუწვევიათ, რომ სომეხი მოსახლეობა გაურკვევლობაში არ ყოფილიყო და მათთვის ყველაფერი აეხსნათ. **"კაცისგან, რომელიც ერთ დროს შევარდნაძეს სანაგვეში აგდებდა, დღეს კი მისი მარჯვენა ხელია, გასაკვირი არაფერია",** - აცხადებს არუთინიანი.

ავთანდილ მარგიანი შეხვედრით ძალზე კმაყოფილი იყო. მან განაცხადა, რომ ყოველთვის მზად არის, გვერდში დაუდგეს საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენელს. რჩეულიშვილის განცხადებაზე ის ასეთ კომენტარს აკეთებს: **"მე რჩეულიშვილმა ბოდიში უკვე მომიხადა ამ საკითხთან დაკავშირებით, იმედი მაქვს, მან მოინანია ეს ცოდვა"**.

წინასაარჩევნოდ მარგიანი "სტრატეგიულ თანამშრომლობას" აწარმოებს "აღორძინებასთან", მაგრამ გაერთიანებაზე საუბარს ჯერ ნაადრევად მიიჩნევს.

# განძის მოგზაურობის პირობებს სასამართლო დაადგენს

*კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს პროცესი, რომელიც საქართველოში, 1999-2000 წლებში ეროვნული განძის გატანასთან დაკავშირებულ, გახმაურებულ მოვლენებს ეხება. მოსარჩელე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ პროცესზე შუამდგომლობა დააყენა, იგი მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქვეყნის პრეზიდენტის სასამართლო პროცესში მხარეებად ჩართვას ითხოვს.მოგეხსენებათ, საზოგადოების ნაწილი და აღნიშნული ორგანიზაციის წევრები ეროვნული განძის გატანის წინააღმდეგნი იყვნენ. გუშინ გამართულ სასამართლო პროცესზე მოსამართლე თამაზ ჯალიაშვილმა მოსარჩელის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მართლმადიდებლური ეკლესია, მისივე თანხმობით, პროცესში მესამე პირად ცნო.*

თეა ხოფერია

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენლებს განძის საზღვარგარეთ გამოფენებზე გატანასთან დაკავშირებით ოთხი ძირითადი მოთხოვნა აქვთ.

**"კომპეტენტური სპეციალისტებისგან შეიქმნას კომისია, რომელიც შეადგენს იმ ნივთთა ნუსხას, რომელთა გატანაც, მათი ამჟამინდელი მდგომარეობის თუ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, არ შეიძლება და საფრთხეს უქმნის საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას; ამ ნუსხის შედგენამდე შეწყდეს საქართველოს მუზეუმებში დაცული ექსპონატების მოგზაურობა; შეიქმნას ასლები და რეპროდუქციები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება კულტურული გაცვლა-გამოცვლისა და პოპულარიზაციისათვის; გამოფენების მოწყობისას დაცული იქნას საერთაშორისო სტანდარტები ექსპონანტების მოგზაურობის სიხშირისა და ხანგრძლივობის შესახებ",** - განმარტავს პოლიტიკური ორგანიზაცის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ადვოკატი დავით კიკალეიშვილი.

როგორც ორგანიზაციის ლიდერი, თამარ ჩხეიძე აცხადებს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეში მხარედ ჩართვას არა მარტო მორალური, არამედ იურიდიული აუცილებლობაც მოითხოვდა.

**"კონკორდატის თანახმად, (კონკორდატი ანუ ხელშეკრულება, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს მთავრობას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს ორივე მხარის ხელმოწერით შედგა) ეკლესია სამუზეუმო ექსპონატების ნაწილის მფლობელია. ეკლესიას სრული უფლებამოსილება აქვს, განძის საზღვარგარეთ გატანა-არგატანის საკითხი დააყენოს",** - აცხადებს თამარ ჩხეიძე. რაც შეეხება საქმეში ერთ-ერთ მხარედ პრეზიდენტის ჩართვას, მოსარჩელეთა აზრით, ესეც კონკორდატის თანახმად უნდა მომხდარიყო. ერთ-ერთი მოპასუხე მხარე ასეთ შუამდგომლობას აბსურდულს უწოდებს.

**"მთელი სარჩელი სიცრუეა და ცილისწამება. ეკლესიის ამ პროცესში ჩართვა, უბრალოდ, მკრეხელობაა. მათი არც ერთი ბრალდება დასაბუთებული არ არის",** - აცხადებს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ნოდარ ლომოური.

როგორც ცნობილია, აღნიშნული დავის პრეისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში გრეგ გუროვის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე საქართველოს ეროვნული განძის, ოქროს ფონდის გატანას უკავშირდება, რომელიც 1999-2001 წლებისათვის იყო დაგეგმილი. ოქროს ფონდის გატანას გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ასევე - მოწინააღმდეგენიც. განძის გატანის მოწინააღმდეგე ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში განძის გატანის მომხრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ.

ოთხი წლის წინ, მართლმადიდებლური ეკლესიისა და ფართო საზოგადოების გამოხმაურებამ დაგეგმილი გამოფენა აშშ-ში საერთოდ ჩაშალა - სასამართლოს საქმის განხილვა აღარ დასჭირდა.

კრწანისი-მთაწმინის სასამართლოში მიმდინარე საქმე კი პოლიტიკური ორგანიზაციის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ განძის გატანასთან დაკავშირებით, ძველი და ახალი მოთხოვნების თანახმად იმართება.

გუშინ გამართული სასამართლო პროცესი 2 ივნისს განახლდება და მას უკვე მესამე მხარე - მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელიც დაესწრება.

# დანაგვიანებული ფიქრის გორა

ირინე სანებლიძე

*ახლანდელი ფიქრის გორა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, თურმე, ფეიქრების სახელოსნოებით იყო სავსე. ამიტომ, ხალხმა ამ ადგილს ფეიქრების გორა შეარქვა. დროთა განმავლობაში ფეიქრის გორას სახელწოდება შეეცვალა და მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს - ფიქრის გორა ეწოდება. დღეს ეს ადგილი ერთ დიდ სანაგვეს წარმოადგენს.*

წლების განმავლობაში ფიქრის გორაზე მაცხოვრებლებს არაფერი აწუხებდათ: ცხოვრობდნენ გამწვანებულ ადგილას, ნაძვებზე ციყვები დახტოდნენ და ზაფხულობით, როცა ქალაქი სიცხით იწვოდა ხოლმე, ვერის ხევიდან გრილი ნიავი უბერავდა.

დაახლოებით სამი წელია, სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა.

ვარაზის ხევში, ფიქრის გორის ფერდობის ძირში ერთი მიგდებული კაფეა, რომელსაც მუსიკის და ნაბახუსევი კაცების ხმაურით მეზობლები, თურმე, არასოდეს შეუწუხებია. დღეს კაფე გაცილებით მეტ პრობლემას ქმნის. საქმე ის გახლავთ, რომ მიტოვებული შენობა გამვლელ-გამომვლელთათვის საზოგადოებრივ ტუალეტადაა გადაქცეული. ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, რა ანტისანიტარიის ბუდედაა ეს ადგილი ქცეული. ბუზებმა იქაურობა საერთოდ წალეკეს და ფიქრის გორის მაცხოვრებლები საშინლად შეაწუხეს.

მთაწმინდა-კრწანისის გამგებელი, დავით ღვინიაშვილი აცხადებს, - კაფე კერძო საკუთრებაა და პასუხისმგებლობაც მის მფლობელს უნდა დაეკისროს. **"პატრონის გარეშე, თუნდაც ანტისანიტარიის გამო, რაიმე ღონეს რომ მივმართოთ, შესაძლოა, ამბავი ატეხონ, სასამართლოში გვიჩივლონ",** - აცხადებს გამგებელი.

მრავალჯერ გასხვისებული კაფეს პატრონი ჯერ "ყაზბეგი" იყო, დღეს კი მტკვრის სანაპიროზე მდებარე კაფე "სოხუმის" დაქვემდებარებაშია. ჩვენგან ინფორმირებულმა სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ჯულული ახვლედიანმა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის კეთილმოწყობის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად ადგილი გუშინვე მოინახულა. კაფეს "კარის ამოჭედვა" უახლოეს გეგმად დასახეს.

სურათს კიდევ უფრო ამძაფრებს იქვე, ფერდობზე მოფენილი ნაგავი. საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან და ნივთებთან ერთად, რა არ ყრია აქ: ერთჯერადი ნემსები, შუშისა და პლასტიკატის ბოთლები, სიგარეტისა და მუყაოს დიდი კოლოფები, საღებავის ქილები, ნაჭრისა და ნაქსოვის ნაგლეჯები, ძველი ლოგინის ნაწილები და კარებები.

ადვილი მისახვედრია, რომ ახლად აშენებული საცხოვრებელი კორპუსის ბინებში რემონტია გაჩაღებული. როგორც ჩანს, ნაგავს პირდაპირ ფანჯრიდან, მარტივად და მოკლე გზით, ისვრიან - მაღალი სართულებიდან ნასროლი ტილოები ალაგ-ალაგ ხეებზეცაა შერჩენილი.

**"ეს ნაგავი იმან უნდა გაიტანოს, ვინც ააშენა",** - აცხადებს სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ჯულული ახვლედიანი.

კორპუსი "ცენტრ პოინტს" აუშენებია. როგორც "ცენტრ პოინტის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, რუსუდან კერვალიშვილმა გვითხრა, "ცენტრ პოინტის" მოვალეობაში არ შედის მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ეს სულ ბინებში ინდივიდუალურად წარმოებული რემონტის ნაგავია და მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს ევალებათ. "ცენტრ პოინტი", თურმე, თავად ელოდება ამ ადგილის დასუფთავებას, რომ ბაღი გააშენოს.

აღსანიშნავია, რომ ფერდობი მარტო ახლად აშენებული კორპუსის ბინების რემონტისგან არ ნაგვიანდება. ფერდობს ანაგვიანებს მოსახლეობაც, რომელიც ახლადაშენებულ კორპუსში არ ცხოვრობს და საყოფაცხოვრებო ნაგავს ამ ადგილას ყრის: შიო მღვიმელისა და სუმბათაშვილის ქუჩებზე (ეს ორი ქუჩა ფერდობს ყველაზე მეტად ემიჯნება) სანაგვე ყუთების დეფიციტია. უფრო სწორად, შიო მღვიმელის ქუჩაზე ერთადერთი სანაგვე დგას. ზემოთ აღნიშნულ ადგილს ფიქრის გორის სხვა მაცხოვრებლებიც ნაგავსაყრელად იყენებენ და კიდევ უფრო ანაგვიანებენ ფერდობს. ასეა თუ ისე, ვიდრე ნაგავს ვინმე გაიტანს და "ცენტრ პოინტი" ბაღს გააშენებს, ფერდობზე, შესაძლოა, არც ერთი ხე აღარ დარჩეს. საქმე ისაა, რომ ნაგავმა ძირი უკვე გამოუთხარა ხეებს და ფერდობზე ახლა რამდენიმე ფესვებამოყრილი ხეა. ერთი ნიაღვარიც და, შეიძლება, ეს ხეები ძირ-ფესვიანად ამოიძირკვოს.

# ზოდელავა სახურავზე უჩაფხუტოდ ავიდა

*გუშინდელ სამშაბათს, ანუ მერიის აღმშენებლობითი მოღვაწეობის ჩვენების დღეს, ზოდელავამ ჟურნალისტებს წინა სამშაბათებიდან შემონახული სამი ობიექტი დაათვალიერებინა. ვაჟა-ფშაველას ძეგლთან ერთი თვის წინათ გახსნილი სკვერი, კაკლის ხეებით დამშვენებული დავით აღმაშენებლის სახელობის ხეივანი და ვარკეთილის ზემო პლატოს მე-2 მკრ-ში მდებარე ერთი სახურავშესაკეთებლი კორპუსი. "მე ყველაფერს გაგიკეთებთ, თქვენ კი ნათელაშვილს მიეცით ხმა", - გაეხუმრა მერი კორპუსის წინ შეკრებილ მობინადრეებს.*

ნანა ქადაგიშვილი

მერიის ამალამ ტრადიციული შემოვლა გამწვანებული ობიექტებიდან დაიწყო. ვაჟა-ფშაველას ძეგლთან მდებარე პაწაწინა სკვერში საქანელების დათვალიერების შემდეგ დავით აღმაშენებლის სახელობის ხეივნისკენ გადაინაცვლეს. ხეივანში, ერთი თვის წინათ დაწყებული ნგრევის პროცესი - გუშინწინ დასრულებულა. სულ 1500 კაკლის ხე დარგეს. ნერგების შემხედვარე ქალაქის მერს იდეები მოეძალა, - ხეივნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე რესტორნების მეპატრონეებს ხეივანში ქოლგების მოწყობის ნება დავრთოთ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი მიშენება-მოშენების გარეშე და, სამაგიეროდ, აქაურობის მოვლა მოვთხოვოთო. "დიდ დიღომში მცხოვრებლებს პარკი არ აქვთ და ეს ხეივანი მათ დასასვენებელ ადგილად უნდა ვაქციოთ", - განაცხადა ზოდელავამ.

ვარკეთილის ზემო პლატოს მე-2 მკრის 30-ე კორპუსში სახურავის შეკეთება გუშინ დაიწყო და ერთ თვეში დასრულდება. ამ კორპუსის სახურავზე ზოდელავა, სააკაშვილისგან განსხვავებით, უჩაფხუტოდ აძვრა. "მე და სააკაშვილმა სახურავები დავინაწილეთ - გუშინ იმან მოინახულა, დღეს - მე", - მორიგად იხუმრა ზოდელავამ და უკომენტაროდ არც საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გუშინწინ გაკეთებული განცხადებები დაუტოვებია. "სააკაშვილმა დამისახელოს ერთი კორპუსის მისამართიც კი, სადაც გადახურვის ღირებულება ხელოვნურად იყო გაზრდილი და მაშინვე სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას ერთი ასეთი ფაქტიც კი არ ექნება. ყველა კორპუსის გადახურვა სხვადასხვა თანხა ჯდება. ზოგან ყველაფერი გამოსაცვლელია, ზოგან უფრო ძვირადღირებული მასალაა საჭირო. შარშან თბილისში 300-მდე კორპუსი გადავხურეთ. ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში კი ამისთვის 2,5 მლნ. ლარია გათვალისწინებული", - განმარტა მერმა.

კორპუსების სახურავებისა და ლიფტების შეკეთების პროგრამა მოსახლეობისთვის თავის მოსაწონებლად ერთ-ერთი პროგრამათაგანია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე კორპუსების ავარიულ სახურავებზე მზრუნველობას ცალცალკე იჩემებენ.

# მწვრთნელები პედაგოგებისთვის

განათლების მუშაკთა პროფესიული განვითარების ქვეკომპონენტის ფარგლებში, 9-დან 14 მაისამდე ტაბახმელაში მიმდინარეობს ხუთდღიანი ტრეინინგი მწვრთნელებისთვის. განათლების სისტემის რეფორმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობა და მათი პროფესიული გადამზადება. ჩატარებული სამუშაოების შედეგად საქართველოს მასშტაბით უკვე მომზადდა 100 მწვრთნელი, ჩატარდა 69 სიმპოზიუმი, განხორციელდა სასკოლო გრანტების პროგრამა, სადაც მონაწილეობა მიიღო ყველა სკოლამ, სურვილის მიხედვით.

აღნიშნულ სემინარზე მწვრთნელებს გააცნეს ახალი სახელმძღვანელო სახელწოდებით - "როგორ უნდა მოვამზადოთ და ჩავატაროთ ტრეინინგი". სახელმძღვანელოში მოცემულია წარმატებული ტრეინინგის განმსაზღვრელი ფაქტორები, მითითებები პროგრამის აგების თაობაზე, ტრეინინგის ტექნიკა, სტრატეგიები და საჭირო რესურსები, რეკომენდებული საკითხავი მასალა, თამაშები როლების მიხედვით და ინდივიდუალური აქტივობები, რომელთა დანერგვა შემდგომში სკოლების ბაზაზე მოხდება.

სახელმძღვანელო დაეხმარება მწვრთნელებს ეფექტურად დაგეგმონ და ჩაატარონ ტრეინინგები გრანტების პროგრამაში გამარჯვებული სკოლების მასწავლებლებისთვის, რომლებიც 2003 წლის სექტემბრიდან დაიწყება.

*"24 საათი"*

# 100 გრამი და ჯანმრთელობა

მაშინ, როცა მთელი მსოფლიო "თავს იკლავს" ატიპური პნევმონიის პრობლემის მოგვარებისთვის, რუსი მეცნიერები სენსაციურ განცხადებას აკეთებენ.

გუშინ ერთობლივი პრესკონფერენცია მოაწყვეს რუსეთის ორმა დიდმა მეცნიერმა - რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, მოსკოვის სამედიცინო აკადემიის მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრის გამგემ ანატოლი ვორობიოვმა და ანჯაფარიძის სახელობის ვირუსული პრეპარატების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ვიტალი ზვერევმა.

**"სპირტიანი სასმელები ამ დაავადების პროფილაქტიკისათვის ძალიან კარგი საშუალებაა. 100 გრამის ზემოქმედების შედეგად ვირუსები ტყაპატყუპით იღუპებიან",** - განაცხადა ზვერევმა. ვორობიოვმა კი დაამატა, რომ ჩვეულებრივი გრიპისგან, სხვა ინფექციურ დაავადებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრად უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ატიპური პნევმონიისგან. ეს პრობლემა პანიკამ შექმნა და არა სალმა აზრმაო, დაამშვიდა ხალხი ვორობიოვმა.

*"24 საათი"*

# რამდენიმე რჩევა თბილისის მერს

*ამ ორი დღის წინათ, თბილისის მერი, დედაქალაქის ძლივს დამტკიცებული ბიუჯეტის კორექტირებაზე ალაპარაკდა. მისი განცხადებით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს გზების შესაკეთებლად აუცილებლად დაემატება 4 მილიონი ლარი - საიდან, ჯერ არ დაკონკრეტებულა, თუმცა, ვანო ზოდელავამ პირდაპირ მინიშნება გააკეთა ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის პროგრამებზე, რომლისთვისაც, მისი განცხადებით, თანხები, "ზოგიერთი ლობისტის წყალობით," გაითვალისწინეს.*

მაკა ჭაიანი

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, იოსებ შატბერაშვილი ერთი წუთითაც არ უშვებს, რომ საუბარი შეიძლება თბილისელებისათვის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ყბადაღებულ პროგრამას შეეხებოდეს. **"ბიუჯეტის პროექტში მთავრობამ უამრავი პოპულისტური პროგრამა ჩასვა, კი, ბატონო, შეამცირონ! საერთოდ გააუქმონ, თუ უნდათ! საქართველოში ძუძუთი კვების შესახებ კანონი მოქმედებს, ქალაქი კი 0-დან 12 თვემდე ბავშვების ხელოვნური საკვებით უზრუნველყოფას აფინანსებს. "ინვალიდთა ლიგაში" სპეციალურად ვიკითხე, - უფასო სტომატოლოგიური მომსახურებით თუ სარგებლობენ დედაქალაქელი ინვალიდები-მეთქი და გაიკვირვეს, არადა ქალაქის ბიუჯეტში ასეთი პროგრამაც არსებობს. საინტერესოა, ასევე, მოსახლეობის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა რას აკეთებს?.. მოკლედ, ასარჩევი ბევრია. კარგი იქნება, თუ ზოდელავა სწორედ ამ მიმართულებით განაწილებულ ფულს მიაქცევს ყურადღებას",** - ასეთია იოსებ შატბერაშვილის რჩევა. დაახლოებით, იგივე რჩევებს იძლევიან საკრებულოს განათლების კომისიაშიც.

თბილისის მერისა და ქალაქის მთავრობისთვის რჩევის მიცემა არც ლეიბორისტული პარტიის ახალგაზრდულმა ფრთამ დაიზარა. ეს გუშინ საკრებულოს სხდომათა დარბაზში მოხდა. **"გეყოთ მინაცვლობა! სტუდენტები და ახალგაზრდები თქვენი გერები არ არიან!"** - ასეთი გახლდათ გიორგი სიგუას მიერ გახმოვანებული მათი განცხადება. ახალგაზრდა ლეიბორისტებმა თბილისელი სტუდენტების, თუ შეიძლება ასე ითქვას, სოციალური რეაბილიტაცია გადაწყვიტეს. **"როგორ უნდა დაფაროს იმ ელემენტარული საჭიროების საფასური, რასაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჰქვია, სტუდენტმა, რომელსაც დაფინანსების არანაირი წყარო არ გააჩნია? ან რა სახსრებით უნდა მიიღოს მან მისთვის აუცილებელი სულიერი საზრდო თეატრისა და კინოს სახით?"** - კითხულობენ ისინი და წყაროზეც მიუთითებენ. ეს, რა თქმა უნდა, ქალაქის ბიუჯეტია. უფრო სწორად, მისი ის პროგრამები, რომელიც, ყრმა ლეიბორისტების შეფასებით, ჩინოვნიკთა ჯიბეების გასქელებას ემსახურება. განსაკუთრებით სამივლინებო ხარჯები მოიხსენიეს, ამდენი ფული მთვარეზე ამერიკელი ასტრონავტების ექსპედიციასაც კი დააფინანსებდაო, თუმცა საოფისე ხარჯებს შემცირებით დაემუქრნენ.

ახალგაზრდა ლეიბორისტების პროექტით, "რემონტების, სავარძლების, სკრეპებისა და საქაღალდეებისთვის" გათვალისწინებულ 11 მილიონ ლარს მოაკლდება ერთი, რომლითაც 20 ათასი სოციალურად დაუცველი სტუდენტისთვის შეიძენენ ოთხი თვის (იგულისხმება სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერი) მეტროს ტალონებსა და თითო-თითო ბილეთს - "კულტურულ ღონისძიებაზე დასასწრებად". საინტერესოა, რომ ამ ბილეთების გზა - სტუდენტებამდე ჯერ გამოკვეთილი არ არის. პროგრამის ავტორები ამბობენ, რომ, შეიძლება, ეს სტუდკავშირებმა ან სტუდენტთა დამოუკიდებელმა ორგანიზაციებმა გააკეთონ; როგორ - გარკვეული არ გახლავთ. არადა, კონკრეტიკა ამ ინიციატივას ნამდვილად არ აწყენდა - თბილისის მხოლოდ საბიუჯეტო უმაღლეს სასწავლებლებში 69 ათას 152 სტუდენტი სწავლობს. მათ შორის 20 ათასი სოციალურად დაუცველის ამორჩევა უმადური სამუშაოა, მითუმეტეს, რომ ასეთი "სტატუსის" მიღება სტუდენტის შესახებ არსებულ ზეპირ ინფორმაციაზე იქნება დამოკიდებული. ადვილი შესაძლებელია, ამ ყველაფრის უკან ვინმე ახალგაზრდების მოსყიდვის იაფფასიანი, წინასაარჩევნო ფანდი დაინახოს.

# „დღევანდელი კვერცხი" დაზარალებულთათვის

ეთერ მამულაშვილი

*დიდი ხმაურის შემდეგ გუშინ, საკრებულომ ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად, ბიუჯეტით გათვალისწინებული ოთხი მილიონი ლარის ფარგლებში, საკომპენსაციო თანხები გაიცემა. თუ ვინ და რამდენი ლარი უნდა მიიღოს, ამის იურიდიული დოკუმენტი ადგილობრივმა ხელისუფლებამ თვითმმართველობის ორგანოს უახლოესი ათი დღის ვადაში უნდა წარუდგინოს.*

სკრებულოში ოცდაათამდე მიწისძვრით დაზარალებული დარბაზის გარეთ იდგა და მოვლენებს თვალყურს იქიდან ადევნებდა. დადგენილების პროექტი, რომლის მიღებას მიწისძვრით დაზარალებულები უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში მოუთმენლად ელოდნენ, "ნაციონალებმა" ჯერ კიდევ გასულ კვირას წარადგინეს.

გუშინ საკრებულოს წევრებმა დადგენილების პროექტი ერთხმად მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრამდე ფრაქციებსა და მერიის საქალაქო სამსახურებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა.

"ნაციონალებისგან" განსხვავებით, "ლეიბორისტების" დადგენილების პროექტი, საკომპენსაციო თანხების გარდა, დაზარალებულებისთვის ნაკვეთების გამოყოფას და ახალი მუნიციპალური ბინათმშენებლობის დაწყებასაც ითვალისწინებდა. **"კიოებადაც რომ გადავიქცეთ, ამ ყველაფერს ოთხ მილიონად მაინც ვერ გავაკეთებთ",** - თქვა საკრებულოს თავმჯდომარემ და "ლეიბორისტების" ეს ინიციატივა გვერდზე გადადო.

"ახალ მემარჯვენეებს" დადგენილების საკუთარი პროექტი არ წარუდგენიათ, თუმცა ისინი საკომპენსაციო თანხების გაცემას თავიდან სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ. **"ამ ოთხი მილიონიდან თითოს, დიდი დიდი, 2000 ლარი შეხვდეს. რა უნდა გააკეთოს კაცმა ამ ფულით? - ვერც ვერაფერი. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემა მუდმივად იარსებებს. ამას სჯობს ნელ-ნელა დაიწყოს ბინათმშენებლობა, ან ახალი ბინების შესყიდვა და რაღაც პრინციპით შეირჩეს დასაკმაყოფილებელთა რიგითობა,"** - ამ რეკომენდაციას "მემარჯვენეებიდან" ნონა გაფრინდაშვილი და მზია თოთლაძე (ბადრი პატარკაციშვილის და) იძლეოდნენ.

"ახლებმა" პოზიცია მას შემდეგ შეცვალეს, რაც საკრებულოს თავმჯდომარემ საჯაროდ პირობა დადო, რომ მომავალ წელს ამ პრობლემის მოსაგვარებლად უფრო მეტს გააკეთებდა. **"მთავარია, ამ ხალხს დაურიგდეს ფული და ეს ზამთარი იმ იმედით გადაიტანონ, რომ მომავალ წელს მოვა ახალი ხელისუფლება, რომელიც უკეთესად იზრუნებს მათზე,"** - დააიმედა სააკაშვილმა დაზარალებულები, რომლებსაც დღევანდელი კვერცხი აშკარად ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს.

პრობლემა ისაა, რომ დღეს რეალურად ეს კვერცხიც არ არსებობს. ცენტრალური ბიუჯეტიდან 4-მილიონიანი ტრანსფერის დედაქალაქის ბიუჯეტში გადმორიცხვა მესამე კვარტლისთვის იგეგმება. დაზარალებულები საკომპენსაციო თანხების დარგების პროცესის დაწყებას, მაქსიმუმ, ერთი კვირის ვადაში ითხოვენ.

საკრებულო და მერია მზად არიან, ეროვნული ბანკიდან ოთხი მილიონის სესხი აიღონ თუკი ფინანსთა სამინისტრო პატიოსან სიტყვას დადებს და თან საგარანტიო წერილს დაურთავს, რომ დაპირებულ 4 მილიონს შემოდგომაზე აუცილებლად გადმორიცხავს.

საკრებულოს მიერ გუშინ მიღებული დადგენილება ქალაქის მთავრობას ავალდებულებს, მიწისძვრით დაზარალებულებისთვის იმ ბინების პირად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც გასულ წელს მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდმა შემოწირული თანხებით შეისყიდა და იქ მესამე კატეგორიის დაზარალებულები შეასახლა.

# გენერალური პროკურატურა პრეზიდენტთან აუდიენციის მოლოდინში

## ვახტანგ რჩეულიშვილმა პროკურატურას კონკრეტული პირები დაუსახელა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*რამდენიმე დღის წინ პარლამენტის შენობაში მომხდარი ინციდენტის გამოძიება, რომლის დროსაც სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელს ვახტანგ რჩეულიშვილს თავი გაუტყდა, გენერალურ პროკურატურას ჯერ არ დაუსრულებია. გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები დღეს პრეზიდენტს ეწვევიან და ხულიგნობის მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით აღძრული სისხლის სამართლის საქმეს წარუდგენენ.*

**"კონკრეტულ პირთა ბრალეულობა უკვე იკვეთება,"** - აცხადებს გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე რევაზ ზარანდია, თუმცა კონკრეტულ დამნაშავეებს, ჯერჯერობით, არ ასახელებს. **"გამოძიების დასრულებამდე, ბრალეულ პირთა ვინაობების დასახელება მიზანშეუწონლად მიმაჩნია,"** - ასეთია ზარანდიას პოზიცია.

ჩვენი ინფორმაციით, ინციდენტში მონაწილე პირთაგან და მოწმეთაგან თითქმის ყველა დაკითხულია. სხვათა შორის, მომხდარ ინციდენტს მოწმეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა. თუკი აქამდე, გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები, პარლამენტში ხშირ-ხშირად მომხდარი მუშტი-კრივის, ცემატყეპისა და თავ-პირის მტვრევის ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას, დეპუტატებს ჩვენებების არმიცემაში და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მიუღებლობაში ადანაშაულებდნენ, ვახტანგ რჩეულიშვილისთვის თავის გატეხვის ფაქტის გამოძიებისას, როგორც თავად აცხადებენ, ეს პრობლემა მოგვარდა – დეპუტატები უპრობლემოდ, ხვეწნისა და მუდარის გარეშე იძლევიან დეტალურ ჩვენებებს. დაზარალებულის სახით უკვე დაკითხულია თავად ვახტანგ რჩეულიშვილიც.



*ვახტანგ რჩეულიშვილი*

თუკი თავდაპირველად ტელეკამერების წინაშე რჩეულიშვილი საჯაროდ თავგამოდებით ირწმუნებოდა - არაფერი დამინახავს, არაფერი მახსოვს, არ ვიცი, კონკრეტულად ვინ გამიტეხა თავიო - საგამოძიებო მოქმედებისას, როგორც ჩანს, ყველაფერი გაიხსენა და კონკრეტული პირების დასახელებისგან უკან აღარ დაუხევია.

თუ ვინ არიან ისინი, ვისი ბრალეულობაც იკვეთება, და ვინც სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა გამოძიებას "დაუსახელა", ჯერჯერობით მკაცრად გასაიდუმლოებულია. "ხულიგანთა" ვინაობას ედუარდ შევარდნაძე დღეს პირველი შეიტყობს. ალბათ, სწორედ პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული, გახმაურდება თუ არა მათი ვინაობა და რა მიმართულებით გაგრძელდება გამოძიება.

გენერალური პროკურატურის გამომძიებელთა მსგავსად, თავად დაზარალებული რჩეულიშვილიც პრესასთან ჯერჯერობით დუმილს არჩევს, ალბათ მანამდე, სანამ მისი დამზარალებლების ვინაობა პრეზიდენტს არ წარედგინება და სანამ პრეზიდენტი თავის პოზიციას არ გაამჟღავნებს.

**"დიახაც, გამოძიებას მივეცი ჩვენება და კონკრეტული პირებიც დავასახელე. დანარჩენი ჩემი საქმე არ არის. გენერალურმა პროკურატურამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს. მე ჩემი უკვე გავაკეთე,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ვახტანგ რჩეულიშვილმა.

როგორი ჩვენება მისცა სოციალისტმა ვახტანგ რჩეულიშვილმა გენპროკურატურაში, "გაერთიანებულ დემოკრატებს" არ აინტერესებთ და ამ სამართალდამცველ უწყებას საკუთარ პრეტენზიებს უყენებენ.

**"ჩვენება მეც მივეცი. დასამალი არაფერი იყო. პროკურატურას ვურჩევთ, უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმეები გამოიძიოს, ის საქმეები, რომლებიც მილიონებსა და მილიარდებს უკავშირდება. პროკურატურას ვურჩევთ, სისხლის სამართლის საქმე ცოტა ხნის წინ, პარლამენტში მომხდარ შეურაცხმყოფელ ფაქტზე აღძრას, როცა იმავე ვახტანგ რჩეულიშვილმა ნოდარ გრიგალაშვილს გამეტებით დაარტყა. თუ არ აღძრავს, ესე იგი, შევარდნაძის მარიონეტია და მის დაკვეთებს ასრულებს. ნორმალურ სახელმწიფოში პროკურატურას სხვა დანიშნულება აქვს,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა იმდღევანდელი კონფლიქტის ერთ-ერთმა მონაწილემ, "გაერთიანებული დემოკრატების" წევრმა მიხეილ მაჭავარიანმა, რომელსაც პროკურატურის მიმართ პრეტენზიები და მოთხოვნები ჩვენების ბოლოს წერილობით დაუფიქსირებია.

გენერალურ პროკურატურას მოთხოვნებს უყენებს თავად ვახტანგ რჩეულიშვილიც და მასზე თავდასხმის ფაქტის დეტალურად და ობიექტურად გამოძიებას თხოვს. **"მომხდარი უპატიებელი საქმეა. თავდასხმა მოხდა სახელმწიფო მოხელეზე. სახელმწიფო თუ სახელმწიფოა, დანაშაულს სახელმწიფომვე უნდა სდიოს და მე არ დამაწყებინოს ქუჩაში დევნა და ვილაცეების თავის გატეხვაზე ზრუნვა,"** - ასეთია რჩეულიშვილის პოზიცია, რომელიც აცხადებს, რომ ძალიან არ უნდა და გული დასწყდება, თუკი ერთი კვირის წინ მის თავს დატრიალებული ამბის გამო ჯოხი "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთ წევრზე, ზაზა შერაზადაშვილზე გადატყდება, რადგან სოციალისტთა ლიდერი თვლის, რომ ის ჩხუბის დროს კაცურად მოიქცა.

ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით ერთ კვირაში გენერალური პროკურატურა პარლამენტს იმ დეპუტატთა იმუნიტეტის მოხსნას მოსთხოვს, რომელთა დამნაშავეობაც პარლამენტში ბოლოს მომხდარი ინციდენტისას საბოლოოდ დადასტურდება.

# საზარელი მკვლელობა ბოლნისში

პირველი გვერდიდან

ნანა მუშკუდიანი ადგილზევე გარდაიცვალა. სროლა და ხმაური მეზობლებმაც გაიგეს, თუმცა, სანამ ისინი მაზანაშვილების ეზოს კართან მივიდოდნენ, თავდამსხმელებმა მეორე კარის გამტვრევა და სახლის დატოვება მოასწრეს. წასვლის წინ მათ გოგი მაზანაშვილს 9-ჯერ ესროლეს და ცხრავე მოარტყეს, აქედან ხუთი გამჭოლი აღმოჩნდა. დაჭრილმა მაზანაშვილმა ეზოში გასვლა და მეზობლებისათვის კარის გაღება მაინც მოახერხა. სახლში შესულებს დიასახლისი უკვე გარდაცვლილი დახვდათ. მეხუთე კლასელი ტყუპი ბიჭები და პირველკლასელი გოგონა კი მათ საძინებელში საბნის ქვეშ დამალულები იპოვეს. ბავშვებმა მშობლების თავს დატრიალებული უბედურება საკუთარი თვალით ნახეს, თუმცა შეშინებულებმა გარეთ გამოსვლა ვერ შესძლეს.

9 მაისს დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ გუშინ გავრცელდა. ბოლნისის პროკურატურამ იმავე ღამეს დაკითხა დაჭრილი მაზანაშვილი, რომელმაც სამართალდამცველებს განუცხადა, რომ თავდამსხმელებს ნიღბები არ ეკეთათ და ისინი ბოლნისელები არ იყვნენ. დადგენილია მათი მიახლოებითი გარეგნული ნიშნები და ასაკი - 40-45 წლის ჭაღარა მამაკაცი და 25-ოდე წლის ახალგაზრდა. ქვემო ქართლის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის, ნოდარ ქინქლაძის განცხადებით, თავდამსხმელები პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულები. იარაღი პოლიციამ იმავე დილით ეზოში დაგდებული იპოვა. ქინქლაძის თქმით, მათ უკვე ჰყავთ კონკრეტული ეჭვმიტანილები, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე გვარების დასახელებას ერიდებიან. "ბოროტმოქმედების დაკავების მიზნით მუშაობა თბილისის ორ სამმართველოსთან ერთად მიმდინარეობს და საქმე ამ დღეებში გაიხსნება," - ამბობს ქინქლაძე.

# მორიგი აფეთქება ზუგდიდის ცენტრში

გუშინ, გვიან ღამით, ზუგდიდის ცენტრში, ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. ამჯერად, თვითნაკეთი მოწყობილობა თენგიზ ხარჩილავას სახლში შეაგდეს. მოწყობილობა სახლის აივანზე აფეთქდა. აფეთქებას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. ხარჩილავების ოჯახის წევრები, რომლებიც უკლებლივ იმყოფებოდნენ სახლში, საბედნიეროდ არ დაზიანებულან. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ზუგდიდელი სამართალდამცველები მტკიცებულებების შეგროვებაზე მუშაობდნენ; დაინიშნა ექსპერტიზა, რომელმაც უნდა გაარკვიოს, კონკრეტულად რა სახის ასაფეთქებელი მოწყობილობა შეაგდეს ხარჩილავების სახლში.

რაც შეეხება აფეთქების სავარაუდო ვერსიას, სამართალდამცველები მისი დასახელებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებენ. სამაგიეროდ, საკუთარი ვერსია გააჩნიათ თავად დაზარალებული ოჯახის წევრებს და მათ ახლობლებს. ისინი მომხდარს პოლიტიკურ ტერორს უკავშირებენ. ცოტა ხნის წინ ადგილი ჰქონდა თენგიზ ხარჩილავას შვილის გატაცების მცდელობასაც.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური ორგანიზაცია"პროფესიონალის" შტაბის ხელმძღვანელი თენგიზ ხარჩილავა კომპანია "უშბას" პრეზიდენტის გოჩა ფიფიას თანამოაზრე და მისი საარჩევნო შტაბის წევრია. მომხდართან დაკავშირებით გუშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის, ცეცხლსასროლი და ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენების მუხლით.

# ძველ არბატზე ქართული რესტორანი „კინტო„ აფეთქდა

მოსკოვში, ძველ არბატზე მდებარე ქართულ რესტორან "კინტოში" გვიან ღამით აფეთქება მოხდა. რესტორანი მოთავსებულია 2-სართულიანი, ძველი ხის სახლის პირველ სართულზე. ამავე შენობაშია მოსკოვში ცნობილი თამბაქოს მაღაზია "ტაბაკერია", სადაც საუკეთესო წარმოების სიგარეტი იყიდება. აფეთქებული შენობა მოსკოვში აშშ-ს ელჩის რეზიდენციის ახლოს მდებარეობს.

წინასწარი მონაცემებით, აფეთქება გამოიწვია ერთ-ერთი მობინადრის, პენსიონერი მოხუცი ქალის ბინაში გამოჟონილმა გაზმა.

თუმცა, მოგვიანებით მოსკოვის მთავარმა სახანძრო სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ აფეთქება გამოიწვია შენობის მეორე სართულზე მდებარე კაფეში გაზის გაჟონვამ. ბოლო, ტვბ –ს თანამშრომელთა ინფორმაციით, გაზის გაჟონვა მოხდა შენობაში მიმდინარე რემონტისას გამოყენებული 20-ლიტრიანი გაზის ბალონიდან.

მოსკოვის მილიციის მთავარი სამმართველოს განცხადებით კი, აფეთქების მიზეზი გახდა რესტორნის შენობაში პროპანის ბალონის აფეთქება, რომელსაც ჰერმეტიზაცია დაერღვა.

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ექსპერტები მთლიანად გამორიცხავენ ტერორისტული აქტის ვერსიას.

აფეთქების შედეგად ძირითადად დაზარალდნენ რესტორან "კინტოს" კლიენტები. სამედიცინო დახმარებას 18-მა ადამიანმა მიმართა, რომელთაგან 11 საავადმყოფოებშია მოთავსებული, .მათგან 6 უმძიმეს მდგომარეობაშია. "2 პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. მათ სხეულის 90 პროცენტის დამწვრობა მიიღეს," – აცხადებენ ექიმები და შიშობენ, რომ ავადმყოფთა სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

თითქმის მთლიანად განადგურდა რესტორანი "კინტო", რომლის გასუფთავებაზეც 6 ბრიგადა მუშაობს.

მოსკოვის პროკურატურამ მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. მოსკოვის პროკურორის ინფორმაციით, საქმე აღძრულია გაუფრთხილებელი ქმედებით ქონების დაზიანებისა და განადგურების მუხლით.

# აბაშიძეების ოჯახის სასამართლო პროცესი ერთი თვით გადაიდო

ცოტა ხნის წინ პრეზიდენტის წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ასლან აბაშიძე და მისი ვაჟი, ბათუმის მერი გიორგი აბაშიძე გაზეთმა "ტრიბუნამ" სეპარატისტებთან კავშირში დაადანაშაულა. ამის დასადასტურებლად გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ გიორგი აბაშიძე ქართველების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ბიზნესის დაწყებას აპირებს. კერძოდ, გალში იგი სასტუმროს აშენებას გეგმავსო. ამ ინფორმაციამ, როგორც ჩანს, აჭარის ლიდერი და მისი ვაჟი ისე აღაშფოთა (მათი თქმით, საქმიანი იმიჯი და პიროვნული ღირსება შეელახათ), რომ გადაწყვიტეს "ტრიბუნაზე" შური იძიონ და ამისათვის მზად არიან საკუთარი რეპუტაცია თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოსაც მიანდონ.

გუშინ დედაქალაქის რაიონის სასამართლოს მამა-შვილი აბაშიძეების სასარჩელო განცხადება უნდა განეხილა. შეურაცხყოფილნი რედაქციისგან მოითხოვენ ბოდიშის მოხდასა და გაზეთისთვის, მორალური კომპენსაციის სახით, 200 ათასი ლარის დაკისრებას. მაგრამ გუშინდელი პროცესი არ შედგა. ავადმყოფობის გამო სასამართლოში არ გამოცხადდა აბაშიძეების წარმომადგენელი ალექსი ბაქრაძე. მხარის გამოუცხადებლობის გამო მოსამართლე მილერ ხარებავამ პროცესი ერთი თვით გადადო.

გაზეთ "ტრიბუნასთვის" აბაშიძეების განრისხება გაუგებარი აღმოჩნდა. რედაქცია სარჩელს არ ცნობს და აჭარის მეთაურის ოჯახს იქით უჩივის. "ტრიბუნა" უახლოეს მომავალში კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში შესაგებებელ სარჩელს შეიტანს. რედაქციის განცხადებით, აბაშიძეების წარმომადგენელმა – ბაქრაძემ - ჟურნალისტები სახელმწიფო კანცელარიის შეკვეთის შესრულებაში დაადანაშაულა.

# ბერეზოვსკის პროცესი 6 ოქტომბრამდე გადაიდო

ინგა ალავიძე

*გუშინ ლონდონის სამაგისტრატო სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა ბორის ბერეზოვსკისა და იული დუბოვის დიდი ბრიტანეთიდან რუსეთში ექსტრადიციის საქმის არსებითი განხილვის თარიღი.*

ლონდონელი მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბერეზოვსკის საქმის სასამართლო განხილვა 6 ოქტომბერს შედგება.

სასამართლო პროცესზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბერეზოვსკის საქმეს განიხილავს მოსამართლე ტიმოთი უორკმენი. ეს ის მოსამართლეა, რომელსაც წარმოებაში აქვს ახმედ ზაკაევის ექსტრადიციის საქმე.

პროცესის დაწყებამდე სასამართლოს კანცელარიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროცესზე ბიზნესმენთა დასწრება გუშინ სავალდებულო არ იყო, რადგან სხდომა ტექნიკური ხასიათისა იყო და სრულიად საკმარისი გახლდათ მასში ადვოკატების მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ორივე ბრალდებული სასამართლო პროცესზე 15 წუთის დაგვიანებით მაინც გამოცხადდა.

ბორის ბერეზოვსკის ადვოკატი ენდრიუ სტივენსონი ირწმუნება, რომ რუსეთის პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდებები დაკავშირებულია "ლოგოვაზში" ბერეზოვსკის საქმიანობასთან და ბრალდებას პოლიტიკური "სარჩული" უდევს. ადვოკატმა გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოიპოვა უამრავი მყარი დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც საქმის პოლიტიკურ მოტივაციას ადასტურებს. სასამართლო სხდომაზე რუსეთიდან მიწვეული იქნება 10 მოწმე, **"ადამიანები, რომლებიც რუსეთში ძალიან ცნობილი ფიგურები არიან,"** – განაცხადა ბერეზოვსკის ადვოკატმა.

თავად ბორის ბერეზოვსკის განცხადებით, მოწმეთა შორის არიან მე-



*ბერეზოვსკი გაძლიერებული დაცვით დადის.*

ცნიერები, სპეციალისტები და რუსეთის პოლიტიკური წრეების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები. **"ისინი დაადასტურებენ, რომ ეს საქმე პოლიტიკურია და რომ რუსეთში სერიოზული საშიშროება მემუქრება,"** – განაცხადა ბრალდებულმა, რომელიც გუშინ, წინა სხდომისგან განსხვავებით, სასამართლოში ნიღბით სახედაფარული არ მისულა. ცნობილი ოლიგარქი და მისი ადვოკატები არ საუბრობენ იმ დეტალებზე, თუ როგორი შინაარსის ჩვენებების მიცემას აპირებენ რუსეთიდან ლონდონში ჩასული მოწმეები. **"ჩვენ ახლა არაფრის თქმას არ ვაპირებთ, რადგან რეალური დარტყმის საშიშროების წინაშე დავაყენებთ მოწმეთა უსაფრთხოებას,"** – განაცხადა ენდრიუ სტივენსონმა. ჟურნალისტებისთვის მოულოდნელი იყო, როცა ბორის ბერეზოვსკიმ მხოლოდ რამდენიმე წინადადებიანი განცხადება გააკეთა და წინასწარ არ შეაფასა პროცესის მოსალოდნელი შედეგი.

სამაგიეროდ, ბერეზოვსკისგან განსხვავებით, ენაწყლიანობით გამოირჩეოდა მეორე ბრალდებული იული დუბოვი. **"ძალიან დაინტერესებული ვარ იმით, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს ეს ყველაფერი, ლოდინით დავიღალე,"** – განაუცხადა მან ჟურნალისტებს და თანაც პირობა დადო, რომ მომავალ სასამართლო სხდომაზე, 6 ოქტომბერს, იგი თავისი ახალი წიგნით გამოცხადდება. დუბოვის ახალი რომანის მთავარი გმირი ბორის ბერეზოვსკის პროტოტიპია.

სასამართლოში რუსეთის პროკურატურის ინტერესებს იცავენ დიდი ბრიტანეთის პროკურატურის წარმომადგენლები. პროცესის პროკურორია ჯეიმს ლუისი. იგი რამდენიმე წლის წინათ პინოჩეტის პროცესზე ბრალმდებელი გახლდათ.

პროკურორის მოთხოვნით, 6 ოქტომბრამდე ვერც ბორის ბერეზოვსკი და ვერც იული დუბოვი ინგლისს ვერ დატოვებენ, მათი პასპორტები კვლავ სკოტლენდ იარდში ინახება და არ შეცვლილა არც გირაოს თანხა; ორივე ბრალდებულის დროებითი თავისუფლება 200 ათას ფუნტადაა შეფასებული.

## ინფორმაცია

### რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ჩეჩნეთში მომხდარი ტერაქტის საქმე გახსნა

ორი დღის წინ, ჩეჩნეთში, "ზნამენსკოეს" ცენტრში მომხდარი ტერაქტის საქმე გახსნილად გამოცხადდა. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის სერგეი ფრიდინსკის განცხადებით, პროკურატურამ დაადგინა ტერაქტში ეჭვმიტანილთა ვინაობა. "ეჭვმიტანილთა ვინაობა დადგენილია. მათ დასაკავებლად მიმდინარეობს სამძებრო-ოპერატიული სამუშაოები," – განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ფრიდინსკიმ ეჭვმიტანილთა ვინაობა არ დაასახელა. მან ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია - თითქოსდა, ტერაქტის შემკვეთები რამდენიმე თვის წინ ჩეჩნეთის მთავრობის სახლის აფეთქების ორგანიზებაში ბრალდებულები არიან. გენერალური პროკურორის მოადგილის ინფორმაციით, ტერაქტის შედეგად დაიღუპა 49 ადამიანი და შესაძლოა, დაღუპულთა რიცხვი გაიზარდოს.

### იტალიაში ახალშობილებს ტრანსპლანტაციისთვის ყიდდნენ

იტალიაში სკანდალური საქმის გამოძიება დაიწყო. იტალიელმა სამართალდამცველებმა "ჩაავლეს" უკრაინელი პროსტიტუტების ჯგუფს, რომელიც ახალშობილებით ვაჭრობდა.

ზოგჯერ ქალები ახალშობილებს მშობიარობამდე, წინასწარ ყიდდნენ, ხოლო ახალდაბადებულებს ადამიანის ორგანოებით მოვაჭრე შავი ბიზნესის წარმომადგენლები ყიდულობდნენ. თითოეული ახალშობილის ფასი 50 ათასი ევროდან 350 ათას ევრომდე აღწევდა.

იტალიის პოლიციამ ხსენებული ჯგუფის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გასული წლის დეკემბერში მოიპოვა და ბავშვებით მოვაჭრე დედების დასაპატიმრებლად ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა. იტალიის სპეცსამსახურის სამმა თანამშრომელმა ქალებთან დაკავშირება მოახერხა და მომავალი ახალშობილი სოლიდურ ფასად – დედის მიერ დასახელებულზე 6-ჯერ ძვირად იყიდა. როგორც კი ბავშვი გაჩნდა და კლიენტებს გადაეცა, ბანდის წევრები პოლიციამ დააპატიმრა. იტალიის პოლიციამ დააკავა უკრაინელი სამი ქალი და ერთი მამაკაცი. მათ უკვე წაუყენეს ახალშობილებით ვაჭრობის ბრალდება. ახალშობილი სპეცსამსახურის თანამშრომლებმა იშვილეს.

### რუსეთში, ყოველწლიურად, 30 მლნ ადამიანი კრიმინალთა მსხვერპლი ხდება

"კრიმინალური შემთხვევებისგან რუსეთში ყოველწლიურად 30 მილიონი ადამიანი ზარალდება," - ასეთი დასკვნა გააკეთა რუსეთის გენერალური პროკურატურის კვლევის სამმართველოს უფროსმა ალექსანდრ სუხარევმა.

ალექსანდრე სუხარევის განცხადებით, რუსეთში კატასტროფულად იზრდება საერთაშორისო ორგანიზებულ დამნაშავეობაში ჩაბმულ კრიმინალთა რიცხვი. დანაშაულის სახეობებში ლიდერობს იარაღით უკანონო ვაჭრობა და ნარკოტიკებით ვაჭრობა.

# მცირე ბიზნესს მხოლოდ აზერბაიჯანში ახალისებენ

## საშემოსავლო და მოგების საგადასახადო წესები სამხრეთ კავკასიაში

კახა დამენია

### მოგების გადასახადი

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის (აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი) საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს წინა წელს გადახდილი მოგების გადასახადის მიხედვით მიმდინარე გადასახდელების წლის განმავლობაში გარკვეული ოდენობებით შეტანას (იხ N1 ცხრილი).

მიმდინარე გადასახდელები ითვლება მოგების გადასახადის ანგარიშში. წლის დამთავრების შემდეგ ხდება მოგების გადასახადის გაანგარიშება და შესაბამისი ვალდებულების შესრულება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (იხ. N2 და N3 ცხრილები)

მიმდინარე გადასახდელების საქართველოს მოდელი - გადამხდელისათვის საკმაოდ მძიმე ტვირთია, რადგან საწარმოს უხდება 100 პროცენტის გადახდა მიმდინარე წელს. თუმცა სომხეთის მოდელიც საკმაოდ მძიმეა გადამხდელისათვის, რადგან ყოველთვიურად სავადო სავალდებულო გადახდები ძნელი განსახორციელებელია, განსაკუთრებით მცირე მეწარმეებისათვის, რომელთაც საბრუნავი საშუალებების პრობლემა აქვთ.

აზერბაიჯანის მოდელი გაცილებით მარტივი და ეფექტურია. ეს უკანასკნელი იმითაც არის მიმზიდველი, რომ მომდევნო წლის იანვარში გადაიხდება მოგების გადასახადის გარკვეული ნაწილი. კარგადაა ცნობილი, თუ რა სირთულეებით ხასიათდება იანვარში საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაცია.

### საშემოსავლო გადასახადი

სამივე ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს, წინა წელს გადახდილი საშემოსავლო გადასახადის მიხედვით, მიმდინარე გადასახდელების წლის განმავლობაში გარკვეული ოდენობებით შეტანას (იხ. ცხრილი N4).

საქართველოს და აზერბაიჯანის საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე გადასახდელების სისტემა მოგების გადასახადის ანალოგიურია, რაც უკვე განხილული გვაქვს.

სომხეთში აღნიშნული მოდელი განსხვავებულია მოგების გადასახადის შესაბამისი სისტემისაგან. კერძოდ, ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა ყოველთვიურ გადახდებს, ხოლო საშემოსავლო გადასახადში, კი მიმდინარე შენატანების მხოლოდ 4-ჯერ გადახდას.

მიმდინარე გადასახდელები ითვლება საშემოსავლო გადასახადის ანგარიშში. წლის დამთავრების შემდეგ ხდება საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება და შესაბამისი ვალდებულების შესრულება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (იხ. N5, N6 და N7 ცხრილები).

სამივე ქვეყანაში განსაზღვრულია საგადასახადო აგენტის ცნება, რომელიც ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში შემოსავლის გაცემის წყაროსთან დააკავოს გადასახადი და გადარიცხოს შესაბამის ბიუჯეტში (იხ. N8 ცხრილი).

აღნიშნული წესი მნიშვნელოვნად ამცირებს ადმინისტრირების ხარჯებს, რადგან მცირდება იმ გადამხდელთა რაოდენობა, ვინც უნდა წარადგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში წლიური შემოსავლების შესახებ.

ცხრილი N1

**მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახადები**

| აზერბაიჯანი | | საქართველო | | სომხეთი | |
|---|---|---|---|---|---|
| ვადა | ოდენობა (%-ში) | ვადა | ოდენობა (%-ში) | ვადა | ოდენობა (%-ში) |
| 15 აპრილი | 25 | 15 მაისი | 30 | 25 იანვარი | 6,25 |
| | | | | 25 თებერვალი | 6,25 |
| | | | | 25 მარტი | 6,25 |
| | | | | 25 აპრილი | 6,25 |
| 15 ივლისი | 25 | | | 25 მაისი | 6,25 |
| | | 15 აგვისტო | 30 | 25 ივნისი | 6,25 |
| | | | | 25 ივლისი | 6,25 |
| 15 ოქტომბერი | 25 | | | 25 აგვისტო | 6,25 |
| | | 15 ნოემბერი | 40 | 25 სექტემბერი | 6,25 |
| მომდევნო წლის 15 იანვარი | 25 | | | 25 ოქტომბერი | 6,25 |
| | | | | 25 ნოემბერი | 6,25 |
| | | | | 25 დეკემბერი | 6,25 |
| | | | | | |
| სულ | 100 | სულ | 100 | სულ | 75 |

ცხრილი N2

| ქვეყნის დასახელება | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი |
|---|---|---|---|
| მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადა | 1 აპრილი | 1 აპრილი | 15 აპრილი |

ცხრილი N3

| ქვეყნის დასახელება | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი |
|---|---|---|---|
| მოგების გადასახადის გადახდის ვადა | 1 აპრილი | 1 აპრილი | 25 აპრილი |

ცხრილი N4

**საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე გადასახდელები**

| აზერბაიჯანი | | საქართველო | | სომხეთი | |
|---|---|---|---|---|---|
| ვადა | ოდენობა (%-ში) | ვადა | ოდენობა (%-ში) | ვადა | ოდენობა (%-ში) |
| 15 აპრილი | 25 | 15 მაისი | 30 | 15 მარტი | 17 |
| 15 ივლისი | 25 | | | 15 ივნისი | 17 |
| | | 15 აგვისტო | 30 | | |
| 15 ოქტომბერი | 25 | | | 15 სექტემბერი | 17 |
| მომდევნო წლის 15 იანვარი | 25 | 15 ნოემბერი | 40 | 15 დეკემბერი | 17 |
| სულ | 100 | სულ | 100 | სულ | 68 |

ცხრილი N5

| ქვეყნის დასახელება | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი |
|---|---|---|---|
| საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადა ფიზიკურ პირ რეზიდენტზე | 15 აპრილი | 1 აპრილი | 1 მარტი |

ცხრილი N7

| ქვეყნის დასახელება | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი |
|---|---|---|---|
| საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადა | 15 აპრილი | 1 აპრილი | 1 მაისი |

ცხრილი N6

| ქვეყნის დასახელება | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი |
|---|---|---|---|
| საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადა ფიზიკურ პირ არარეზიდენტზე | 1 აპრილი | 1 აპრილი | 1 მარტი |

ცხრილი N8

**გაცემის წყაროსთან გადასახადის დაკავება**

| № | ქვეყანა / საგადასახადო აგენტი | აზერბაიჯანი | საქართველო | სომხეთი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფიზიკური პირი მეწარმეები და იურიდიული პირები, რომლებიც უხდიან ხელფასს [illegible] დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებს | + | + | + |
| 2 | იურიდიული პირები და ფიზიკური პირი მეწარმეები, რომლებიც უხდიან პირს ქირას, გარდა იმ შემთხვევისა გარდა იმ შემთხვევისა, რომლებიც გაიცემა [illegible] | + | + | + |
| 3 | ფიზიკური პირები (გარდა ამ ცხრილის მე-3 [illegible]), რომლებიც უხდიან პირს ქირას, გარდა იმ შემთხვევისა, რომლებიც გაიცემა [illegible] | – | + | + |
| 4 | რეზიდენტი იურიდიული პირი, რომელიც უხდის დივიდენდებს ფიზიკურ პირებს | + | + | + |
| 5 | რეზიდენტი იურიდიული პირი, რომელიც უხდის დივიდენდებს იურიდიულ პირებს | + | + | + |
| 6 | იურიდიული პირი და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც უხდიან პროცენტებს იურიდიულ პირებს | + | + | + |
| 7 | ფიზიკური პირი (გარდა მეწარმისა), რომელიც უხდის პროცენტებს იურიდიულ პირებს | – | + | + |
| 8 | იურიდიული პირი და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც უხდიან პროცენტებს ფიზიკურ პირებს | + | + | + |
| 9 | იურიდიული პირები და ფიზიკური პირი მეწარმეები, რომლებიც იხდიან როიალტებს და [illegible] თანხას | + | + | + |
| 10 | იურიდიული პირები და ფიზიკური პირი მეწარმეები, რომლებიც ამ ქვეყნის წყაროდან უხდიან არარეზიდენტებს (გარდა იმ არარეზიდენტებისა, რომლებიც ამ ქვეყანაში [illegible]) თანხებს | + | + | + |
| 11 | იურიდიული პირები და ფიზიკური პირი მეწარმეები, რომლებიც სამუშაოს და მომსახურების საზღაურს უხდიან იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ არიან საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული გადამხდელები | – | + | + |
| 12 | პირები, რომლებიც თანხას უხდიან ფიზიკურ პირებს გარდა იმ შემთხვევისა, როცა [illegible] | – | – | + |

**გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?**

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა,
- უფასო იურიდიული კონსულტაცია.

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

თქვენ სამსახურშია ასოციაციის ოფისები: თბილისში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში, ახალციხეში გურჯაანში და დედოფლისწყაროში.

დაგვიკავშირდით მისამართზე:

ქ. თბილისი, გაგარინის 1 შესახვევი, №8, ტელ: 93 12 76, 93 19 69, 93 16 81.



www.24hours.ge
24 B



# საქართველოს პრობლემების გადალახვა მარტოს არ მოუწევს

## ნატო დასახმარებლად მზადაა

ჯორჯ რობერტსონი
ნატო-ს გენერალური მდივანი

ნატო-ს გენერალური მდივნის რანგში საქართველოს პირველად ორწლინახევრის წინ ვეწვიე. მას შემდეგ, ზოგს შეიძლება ეჭვი გასჩენოდა - ამ ხნის განმავლობაში ხომ არ დაკარგა ნატო-მ ინტერესი საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის მიმართ. ასეთი ეჭვი უსაფუძვლოა. პირიქით, განვლილი პერიოდის მანძილზე, ჩვენი სურვილი, უსაფრთხოების საკითხებში უფრო აქტიურად ვითანამშრომლოთ ამ რეგიონის ქვეყნებთან, კიდევ უფრო გაიზარდა. 14 მაისს, როდესაც თქვენს ქვეყანას ვესტუმრები, ამას კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს.

საქართველოში ჩემი ბოლო ვიზიტის შემდეგ, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემამ უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განიცადა. 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ზე განხორციელებული ტერორისტული შეტევა სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში. ამ მოვლენამ უბიძგა გასული წლის ნოემბერში, პრაღაში ნატო-ს სამიტზე შეკრებილ ლიდერებს, გადამჭრელი ზომები მიეღოთ, რათა ალიანსი ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ეფექტურ საშუალებად ექციათ.

ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის ზონის შექმნა იყო და რჩება ნატო-ს გრძელვადიან, სტრატეგიულ მიზნად. ჩვენ გვსურს, ხელი შევუწყოთ ერთიანი, დემოკრატიული და თავისუფალი ევროპის მშენებლობას, სადაც აღარასოდეს იქნება ომი. ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.

პრაღაში, ალიანსში გასაწევრიანებლად შვიდი ქვეყანა მოვიწვიეთ. მომავალ წელს ისინი ნატო-ს წევრები გახდებიან. ალიანსის კარი ამის შემდეგაც ღია დარჩება. თუმცა, ყველამ კარგად უნდა გაიგოს, ნატო-ში გაწევრიანება რთულად დასაძლევი ამოცანაა. ის მოითხოვს პოლიტიკურ ნებას, სიმამაცესა და მტკიცე განზრახვას. და ის მოითხოვს მოთმინებასაც.

სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, ყურადღება თანამშრომლობის განმტკიცებაზე უნდა გავამახვილოთ. პრაღის სამიტის შემდეგ ახალი შესაძლებლობები გაჩნდა, გაჩნდა როგორც ალიანსსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ცალკეულ საკითხებზე თანამშრომლობის განვითარების, ისე რეგიონული კავშირების განმტკიცების თვალსაზრისით. მე მივესალმები საქართველოს სურვილს, გამოიყენოს ეს შესაძლებლობები.

საქართველო დადებითად გამოეხმაურა პარტნიორების ნატო-სთან ურთიერთობის ახალ საშუალებას: ნატო-სთან შეთანხმებული "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის" მიღებას. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს, ნათლად განსაზღვროს ის რეფორმები, რომელთა განხორციელებასაც იგი აპირებს და რომელთა გატარებაც აუცილებელია, თუ საქართველოს ნატოსთან დაახლოება სურს.

ამასთანავე, პარტნიორობის ჩვენეული პოლიტიკა რეგიონული თანამშრომლობის წახალისებასაც ითვალისწინებს. ამან საქართველოსა და მის მეზობლებს რეგიონის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში უნდა შეუწყოს ხელი.

აქცენტი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე პარტნიორებთან ნატო-ს ურთიერთობაში კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს. ახლადშემუშავებული "ტერორიზმის წინააღმდეგ პარტნიორობის სამოქმედო გეგმა" ნატო-ს წევრებისა და პარტნიორების მიერ ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში წარმატების მისაღწევად კონკრეტულ გზებს სახავს.

ნატო-ს არ შეუძლია, კავკასიაში არსებული პრობლემების გადაწყვეტას სათავეში ჩაუდგეს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა მხარეებმა პოლიტიკური ნება და პრობლემების გადაწყვეტის სურვილი თავად გამოავლინონ. აუცილებელია, აგრეთვე, რუსეთის კონსტრუქციული ჩარევაც.

ამავე დროს, ნატო ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას. ჩვენ გვსურს, დავეხმაროთ კავკასიის ქვეყნებს, გაიხედონ მომავლისაკენ და იმუშაონ ერთად. ჩვენ გვსურს, ამ პროცესში ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნები ჩავრთოთ. ჩვენ გვსურს, რომ რუსეთი ისევე კონსტრუქციულად მიუდგეს კავკასიის კონფლიქტების გადაწყვეტას, როგორც იგი ნატოსთან ურთიერთობას უდგება.

საქართველოს აქვს პოტენციალი, გახდეს სტაბილური და აყვავებული ქვეყანა, მიაღწიოს მშვიდობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობლებთან და მოიპოვოს ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. ამ პოტენციალის რეალიზაციას მტკიცე ნება და ყველას, არამხოლოდ პოლიტიკური ლიდერების, დაუღალავი შრომა სჭირდება. ქართველებს შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ყველა პრობლემის გადალახვა მარტოს არ მოუწევთ. საერთაშორისო საზოგადოება, და განსაკუთრებით ნატო, დასახმარებლად მზადაა.

*რედაქცია დახმარებისათვის მადლობას უხდის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს საქართველოში.*



ჯორჯ რობერტსონი

# რატომ ნატო?

A1 გვერდიდან

ალიანსი კი არა მარტო გადარჩა, არამედ ცივი ომის დასრულებიდან მოყოლებული, ყველა სერიოზული საერთაშორისო კრიზისის გადაჭრის აქტიური მონაწილე გახდა. ფაქტობრივად, ნატო დღეისათვის არის ერთადერთი მრავალეროვანი, მუდმივი და ქმედითუნარიანი სამხედრო ალიანსი, რომელმაც თავისი ძალა და ეფექტურობა საქმით დაანახა მსოფლიოს. ძალზე უსუსურად გამოიყურება კონტრ-ნატოს შექმნის მცდელობები - იქნება ეს დსთ-ს სივრცეში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციად გადაკეთება, თუ პაციფისტური ევროპის ნაწილის ლუქსემბურგში წმინდა ევროპული თავდაცვითი მექანიზმების შექმნის მცდელობები. თუკი ვინმეს ნატო ჯერ კიდევ ცივი ომის პეროდის გადმონაშთი ჰგონია, მათ ყურადღებას გაერო-ს უშიშროების საბჭოს მივაპყრობდი, რომელიც საერთოდ, დღემდე მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ფორმით არსებობს და, ნატო-საგან განსხვავებით, ბოლო ხანებში არც რაიმე სახეცვლილება განუცდია და არც განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა. ამდენად ნატო-ს გარდაცვალებაზე საუბრები, ალბათ, უფრო მავანთა სასურველი სიზმრებია, ვიდრე რეალობა.

ნატო არა მარტო გადარჩა, არამედ როგორც საკუთარი მასშტაბები, ისე მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა. ბალკანეთსა და ავღანეთის გარდა, უკვე აქტიურად გაისმის ხმები, რომ ნატო-ს ერაყშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევს.

### არჩევანი საქართველოსთვის

ათი წლის დამოუკიდებლობის შემდეგ, ალბათ, მოვიდა დრო, გავაცნობიეროთ, რომ გეოგრაფიული მდებარეობისა და მეზობლების გამო, საქართველო ვერასოდეს იქნება ნეიტრალური სახელმწიფო! ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც თუ გადავხედავთ, ამგვარი დასკვნის გაკეთება მით უფრო ლოგიკური გახდება. ამდენად, საინტერესოა შევაფასოთ, თუ რა არჩევანი გვაქვს და საქართველოს, როგორც სუვერენულ და განვითარებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას რომელი მათგანი შეუწყობს ხელს.

რუკაზე ერთი დახედვაც საკმარისია იმის გასაცნობიერებლად, რომ არჩევანის სამი ვარიანტი არსებობს - დასავლეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი. ალბათ, ანალოგიური დილემა არაერთხელ დამდგარა საქართველოს წინაშე და გადაწყვეტილებებიც იმ დროისა და რეალობების შესაბამისი იყო. აღმოსავლეთის ვარიანტი შეიძლება თავიდანვე გამოვრიცხოთ, რადგან დღევანდელი მსოფლიო ნაკლებად იძლევა იმის შანსს, რომ საქართველო რაიმე ფორმით, და მითუმეტეს სამხედრო ფორმით, ინტეგრირდეს ირანთან, ჩინეთთან, ინდოეთთან თუ სხვა რეგიონულ მნიშვნელოვან ძალასთან.

რუსეთი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბოლო სამასი წლის განმავლობაში და, ალბათ, გარკვეული როლის შესრულება კიდევ შეუძლია. საკითხავია, თუ რამდენად პროგრესული იქნება ეს როლი და რუსეთთან ინტეგრაცია დამოუკიდებელი და განვითარებული საქართველოს მშენებლობის მიზანს რამდენად პასუხობს.

დიდი ისტორიული ექსკურსები არ არის საჭირო იმის დასანახად, რომ ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში სამხედრო საფრთხე სწორედაც რომ რუსეთიდან მომდინარეობს. ეს იქნება მე-11 არმიის შემოსვლა, 9 აპრილის დარბევა თუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების გაღვივება და მათში აქტიური მონაწილეობა. არაფერს ვამბობ დაუსრულებელ მუქარებზე სამცხე-ჯავახეთში დესტაბილიზაციაზე და პანკისისა თუ კოდორის ხეობებში პროვოკაციებზე და დაბომბვებზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ ყველაფერს თავიდან პრორუსული პოლიტიკის გატარების გზით ავიცილებდით, ძალიან ცდება, რამეთუ ამის ფასი საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებოდა. სომხეთი კარგი მაგალითია პრორუსული პოლიტიკისა, რომლის მოსახლეობა, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, მინიმუმ განახევრდა და "მეგობარმა" რუსეთმა ვალებში ქვეყნის ყველა ქმედითუნარიანი საწარმო წაიღო! რატომ მოხდა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, და არა მარტო ისინი, თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ რუსების მიერ ორგანიზებული სამხედრო ალიანსებიდან! თუ ცენტრალური აზიის სახელმწიფოების "მენიუს" გადავხედავთ, მათი არჩევანი ჩვენზე უფრო მწირია. შეჩვეული რუსეთი თუ ჩინეთი და ავღანეთი? ბელორუსის რეალურ დამოუკიდებლობაზე ზედმეტია საუბარი, ხოლო სომხეთი, ისტორიული მიზეზების გამო, უპირატესობას რუსეთს ანიჭებს, თუმცა ამის შედეგებზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. ნუთუ იგივე ისტორიული მიზეზები ჩვენ არაფერს გვკარნახობს? ნუთუ მარტო რუსეთია ჩვენი ერთმორწმუნე და არა საბერძნეთი თუ ბულგარეთი? რა არჩევანი აქვს თვითონ რუსეთს? ნატო-ში მას ჯერ არ იღებენ, თუმცა, ჩვენზე ინტენსიური კავშირები კი აქვთ "მტრულ" ალიანსთან. გამოდის, რომ მათთვის შეიძლება და ჩვენთვის - მხოლოდ მათი საშუალებით? მაშ, სადღაა დამოუკიდებლობა?

### პოლიტიკური თუ სამხედრო ბლოკი

ამერიკის უპრეცედენტო სამხედრო ძლიერებისა და მის მიერ ბოლო პერიოდში გახშირებული ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიღების ტენდენციებიდან გამომდინარე, ხშირად ისმის კითხვა: საჭიროა თუ არა ნატო-ში შესვლა, თუ ჩვენ შევძელით ამერიკის სამხედრო ფრთის ქვეშ შეყუჟება და ამ გზით საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა? ამ კითხვაზე პასუხს თვით ნატო-ს გაფართოების ისტორია იძლევა.

იმ პერიოდისათვის, როდესაც პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი ნატოში გაწევრიანებისაკენ ისწრაფოდნენ, მათ მიმართ რეალური სამხედრო საფრთხის არსებობის ალბათობა დაბალი იყო. იგივე ეხება გაფართოების მეორე ტალღის სახელმწიფოებს, რომელთა მიმართებითაც გარედან მომდინარე სამხედრო საფრთხე მინიმალურია. და თუ ასეთი საფრთხე არსებობდა, ან დღესაც არსებობს, იგი არა მარტო ამ სახელმწიფოების, არამედ აშშ-სა და დასავლეთ ევროპის პრობლემაცაა. ამასთანავე, საყურადღებოა ის პროცესები, რომლებიც წევრობის კანდიდატ სახელმწიფოებში მიმდინარეობდა გაწევრიანებამდე. ამ პროცესების შედეგად არა მარტო სამხედრო ძალების მოდერნიზება მოხდა, არამედ მათ სათავეში სამოქალაქო პირის მოსვლა. გამჭვირვალე გახდა არა მარტო სამხედრო ბიუჯეტი, არამედ მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოებაზე გამოყოფილი თანხები. ეს შედეგები უფრო გლობალური პროცესების ნაწილია, რომლებიც, პირველ რიგში, სახელმწიფოს მართვის სისტემის დასავლურ სტანდარტებზე გადასვლას მოიცავდნენ, მისი ეფექტიანობის ამაღლებას და მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეფორმებს. შედეგად მივიღეთ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარი სახელმწიფოები. ანუ ნატოში გაწევრიანებამ არა მარტო სამხედრო უსაფრთხოების პრობლემები მოხსნა, არამედ ახალი წევრი სახელმწიფოები, პოლიტიკური მოწყობისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად "გააკეთილშობილა". თანაც ისე, რომ ეროვნული სუვერენიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ არც დამდგარა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ნატო-ში გაწევრიანების "ხათრით," ბევრ სახელმწიფოში არ განხორციელდა იმ ტიპის ეთნიკური კონფლიქტები, რომლებიც ჩვენს ქვეყანასა თუ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა სახელმწიფოებში ასე "წარმატებით" იქნა წარმართული. უნგრეთსა და რუმინეთს შორის ეთნიკური უნგრელებით დასახლებული, რუმინული ტრანსილვანიის გამო, ტერიტორიული პრეტენზიები დიდი ხანი არსებობდა. ამის მიუხედავად, ნატო-ში გაწევრიანების სურვილმა და მკაცრმა სტანდარტებმა ორივე ქვეყანას საშუალება მისცა, თავიდან აეცილებინათ კონფლიქტი და დღეისათვის ორივე სახელმწიფო საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სივრცეში თავს მშვენივრად გრძნობს. ბალტიის სახელმწიფოების მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ როგორ იქნა აცილებული სისხლიანი ეთნიკური კონფლიქტები, მიუხედავად რუსულენოვანი მოსახლეობის საკმაოდ სერიოზული კონცენტრაციისა და რუსეთის მხრიდან არაერთგზის მცდელობებისა, "დაეცვა ერთმორწმუნეთა" ინტერესები.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ეთნიკური, ლინგვისტური, კულტურული თუ სხვა სახის წინააღმდეგობები ადვილად დასაძლევია, თუკი ქვეყანას უფრო დიდი მიზანი გააჩნია, ვიდრე კუთხური კინკლაობა და უცხო სახელმწიფოთა ინტერესების დაცვა.

### გლობალიზაცია და ახალი საფრთხეები

გლობალიზაციის პროცესი სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებას თავისთავად წარმოშობს და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია პატარა სახელმწიფოების მაგალითზე. ასეთ პირობებში, გინდა თუ არა, რომელიმე სისტემის ნაწილი უნდა იყო, რათა, მინიმუმ, გადარჩენის შანსი მაინც გქონდეს.

ამის გარდა, ცივი ომის დამთავრებისა და კომუნიზმის დამარცხების შემდეგ, იდეოლოგიების ნიადაგზე დაპირისპირება, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. რელიგიური ნიშნით კი მხოლოდ ზოგიერთი ისლამური სახელმწიფოები თუ ცდილობენ გაერთიანებას. უფრო მეტიც, გლობალიზაციის პირობებში ნაციონალიზმის იდეაც ეროზიას განიცდის. სახეზეა ეგრეთწოდებული "ასიმეტრიული" საფრთხეები (ტერორიზმი, შიდსი, ატიპური პნევმონია და ა.შ.), რომელთაგან თავის დაცვაც ცალკეულ ქვეყანას, პრაქტიკულად, არ ძალუძს. თუ გადავხედავთ წარმატებულ და წარუმატებელ ქვეყნებსა თუ ბლოკებს, ადვილად შესამჩნევია, რომ რუსეთს დიდად დასაკვეხნი, სამწუხაროდ, არაფერი აქვს.

ჩვენს დღევანდელ სიტუაციას თუ შევხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ გაუთავებელი ტრანზიციის პერიოდში მყოფი სუსტი ქართული სახელმწიფო, მრავალი სიმეტრიული, ასიმეტრიული, ტიპური თუ ატიპური საფრთხის წინაშე დგას. ისიც ნათელია, რომ ამ საფრთხეებთან გამკლავება საკუთარი მწირი ძალებით, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამავე დროს, გვაქვს შანსი, გავწევრიანდეთ ყველაზე პროგრესულ, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ, ქმედითუნარიან ალიანსში, რომელშიც ჩვენი სუვერენიტეტი არ შეილახება. ასევე გვექნება შანსი, შევქმნათ ნორმალური სახელმწიფო თავისი ნორმალური მმართველობით, სადაც თითოეული მოქალაქის აზრს მნიშვნელობა აქვს. გვეძლევა შანსი, განვავითაროთ ეკონომიკა და არა მარტო ვილაპარაკოთ "საერთაშორისო სტანდარტებზე," არამედ თავად ვიყოთ ამ სტანდარტების შესაბამისი ქვეყანა. ეს კი რუსეთის წინააღმდეგ მიმართული კი არა, საკუთარი გადარჩენისა და განვითარებისკენ მიმართული ნაბიჯია! ისე, ნორმალური და განვითარებული მეზობლის ყოლა რუსეთსაც არ აწყენს.

ამის ალტერნატივაა - კიდევ ერთხელ ვცადოთ ერთი და იგივე წყალში მეორედ შესვლა, რის შედეგადაც "წყალწაღებულის" ბედი გარანტირებული გვაქვს, თანაც მოსაჭიდი ხავსის გარეშე.

# ნატო-მდე "მიცურვა" მეტად პრობლემატურია

## ამტკიცებენ ბრიუსელიდან დაბრუნებული პარლამენტარები

*ნატო-ს შტაბ-ბინიდან დაბრუნებული საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრები (გიგი წერეთელი, მაია ნადირაძე, დავით კოღუაშვილი) შეშფოთებას ვერ მალავენ იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების გზაზე არსებობს. "მართალია, გარკვეული პერსპექტივა არის, მაგრამ ნატოში მიღებისგან მაინც ძალიან შორს ვართ. ცარიელი მოწოდებები და დეკლარაციები, თუნდაც, პრეზიდენტის დონეზე გაკეთებული, საქმეს ვერ უშველის. ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების მოსამზადებელი ინდივიდუალური პროგრამაც კი არ არის ჯერ დამტკიცებული," - განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაციის - "საქართველო ნატო-ში" - ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გიგი წერეთელმა.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მსგავსად, სერიოზულ სირთულეებზე, კერძოდ, დროის დეფიციტზე საუბრობენ დელეგაციის დანარჩენი წევრებიც, მაია ნადირაძე და დავით კოღუაშვილი.

**"ბრიუსელში მიგვანიშნეს, რომ ნატო-ში შესვლისთვის მოსამზადებლად ჩვენთვის მოცემული დრო ლიმიტირებულია. თუ მას ეფექტურად არ გამოვიყენებთ, ალიანსის გარეთ დავრჩებით,"** - აღნიშნავს ტრადიციონალისტი ქალბატონი.

**"ნატო-სგან უფრო მეტი ძალისხმევა იგრძნობა ჩვენს მისაპატიჟებლად, ვიდრე თავად ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. ალიანსის კარი საქართველოსთვის ღიაა, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლება ამ კარებს ვერ ხედავს,"** - შენიშნავს "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი.

ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოების მიზნით საქართველოს ხელისუფლების "ძალისხმევა" კი პარლამენტის ვიცე-სპიკერს იმ ადამიანს აგონებს, რომელსაც მდინარე აქვს გადასაცური, ყველას არწმუნებს, რომ ამის გაკეთება შეუძლია, ხანდახან თავის თავსაც შეუძახებს ხოლმე გასამხნევებლად, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მდინარეში შესვლა და ფეხის დასველება არ უნდა. **"უნდა ვაიძულოთ შესაბამისი სტრუქტურები, რომ ნატო-სკენ ცურვას რაც შეიძლება მალე შეუდგნენ,"** - მოითხოვს წერეთელი. ისე, როგორც ჩანს, ნატო-სკენ ლტოლვა წერეთლებს გენეტიკურად მოსდგამთ. თანაც, ირაკლი და გიგი წერეთლები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორიდან კი არ "ეტრფიან", არამედ პირდაპირ მისივე ოჯახში "ესიყვარულებიან", - ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარესაც, თავის დროზე, მონახულებული აქვს ბრიუსელის "სანახები".



პრესკონფერენციაზე

დელეგაციის წევრთა თქმით, ბრიუსელში გამართული შეხვედრების დროს მასპინძლებმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილეს ყურადღება, რომელთა გადაწყვეტის გარეშე ნატო-ში საქართველოს შესვლაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია.

ადამიანის უფლებების დაცვა (განსაკუთრებით, რელიგიური შემწყნარებლობა); ეკონომიკაში (კერძოდ, ენერგეტიკულ სექტორში) მდგომარეობის გაუმჯობესება; სამხედრო სფეროში თანმიმდევრული რეფორმების გატარება და 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება - ასეთია ის ძირითადი ჩამონათვალი, რასაც დასავლეთი ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების წინაპირობად აყენებს.

**"შეხვედრების დროს, დაახლოებით, იმდენჯერ გვიხსენეს "არჩევნები", რამდენჯერაც "სამხედრო რეფორმა",** - დასძენს მაია ნადირაძე.

ბრიუსელის გარდა, მხოლოდ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული დელეგაცია რუმინეთსაც ეწვია და ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას შეხვდა. ქართველი პოლიტიკოსების ბუქარესტში "შევლა" სულაც არ არის გასაკვირი: რუმინეთი, ფაქტობრივად, უკვე ნატო-ს წევრია და, ამდენად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ სავალ გზაზე მისი გამოცდილებაც ანგარიშგასაწევია. ამის გათვალისწინებით კი, აღარც ის მოგეჩვენებათ უცნაურად, რომ გუშინდელ პრესკონფერენციას საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინ გირბეაც დაესწრო.

## "ოქროს პალმის" ციებ-ცხელება

### დღეს კანის საერთაშორისო კინოფესტივალი იწყება

მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, კანის საერთაშორისო კინოფესტივალი კინომოყვარულებს წელსაც დიდ სიამოვნებას ჰპირდება: ისევე, როგორც გასულ წლებში, კონკურსშიც ამჟამადაც შესანიშნავი შემოქმედები მონაწილეობენ, და კონკურსგარეშეც მრავალი საინტერესო ფილმი იქნება ნაჩვენები.



*კანის "პალმის რტო"*

კანის 56-ე კინოფესტივალზე "ოქროს პალმისთვის" 13 ქვეყნიდან წარმოდგენილი 20 ფილმი იბრძოლებს.

მასპინძელი ქვეყანა, საფრანგეთი, წელს საკონკურსოდ ხუთ ფილმს წარადგენს. ესენია ბერნან ბლიეს Les c telettes, ბერნან ბონელოს "ტირესია", კლოდ მილერის "პატარა ლილი", ანრი ტეშინის "დაკარგულები", ჟაკ დერეს "აუზის" ფრანსუა ოზონისეული რიმეიკი.

ფესტივალის ხელმძღვანელმა, ჟილ იაკობიმ პარიზში განაცხადა, რომ ჟიურის, მართლაც, რთული ამოცანა ექნება გადასაწყვეტი – მეტისმეტად ცნობილი რეჟისორების ფილმებიდან მოუწევს არჩევანის გაკეთება.

ასე, ამერიკის შეერთებულ შტატებს სამი სურათი წარმოადგენს: კლინტ ისტვუდის "ჯადოსნური მდინარე", რომელშიც შონ პენი, ტიმ რობინსი და ქევინ ბეკონი თამაშობენ, გუს ვან სენის "სპილო" და ვინსენტ გალოს "ყავისფერი ბოცვერი". გარდა ამისა, ჰოლივუდის დიდებას ფესტივალის სტუმრები 15 მაისს კიდევ ერთხელ იხილავენ, როცა კანში მსოფლიო პრემიერა შედგება. ნაჩვენები იქნება ფანტასტიკური თრილერი The Matrix Reloaded, რომელშიც კიენუ რივსი, ლორენს ფიშბორნი, კერი-ან მოსი, მონიკა ბელუჩი და ჰუგო ვივინგი თამაშობენ.

ფესტივალზე ასევე კონკურსგარეშე იქნება წარმოდგენილი გერმანული კინოს დიდოსტატის, ვიმ ვენდერსის შემოქმედება - დოკუმენტური ფილმი "ადამიანის სული".

დანიელი რეჟისორის, ლარს ფონ ტრიერის ახალ ფილმს კანში განსაკუთრებით ელიან. ამ რეჟისორის "წყვდიადში მოცეკვავეებმა" სამი წლის წინათ "ოქროს პალმა" მოიპოვა, ხოლო მის ახალ ფილმში, დრამატულ თრილერში Dogville ნიკოლ კიდმანი, ლორენ ბაკალი და ჯეიმს კაანი მონაწილეობენ.

კონკურსზე თავიანთი პროდუქცია იტალიის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, რუსეთის და შვეიცარიის კინოსტუდიებმაც წარადგინეს. აზიური კინო ორი იაპონური და ერთი ჩინური ფილმითაა წარმოდგენილი, მათ შორისაა კიოში კუროსავას "ნათელი მომავალიც". მართლაც, საერთაშორისო კინოფესტივალია - ბრაზილიელი ჰექტორ ბაბენკო, ირანელი სამირა მაჰმალბაფი, კანადელი დენის არკანი…

ფესტივალი დღეს, 14 მაისს იწყება, "ოქროს პალმას" კი გამარჯვებულს 25 მაისს გადასცემენ. გახსნაზე კონკურსგარეშე ფილმი იქნება ნაჩვენები. ეს ცნობილი სათავგადასავლო კომედიის, "ფანფან-ტულპანის" რიმეიკი გახლავთ. ის ფრანგმა რეჟისორმა, ჟერარ კრავჩუკნმა გადაიღო, ხოლო მთავარ როლებს, რომლებსაც ლეგენდარული ჯინა ლოლობრიჯიდა და ჟერარ ფილიპი ასრულებდნენ, ამჯერად პენელოპა კრუსი და ვინსენტ პერე თამაშობენ. ამ ფილმის სცენარის ავტორი ლუკ ბესონი გახლავთ.

ფესტივალის დახურვაზე დამსწრენი ჩარლი ჩაპლინის "ახალი დროების" აღდგენილ ვარიანტს ნახავენ. მაგრამ ჯერ ამაზე ნაკლებად ფიქრობენ – 25 მაისამდე დიდი დროა, ეს ათი დღე კი "კანელებს" მრავალ სიამოვნებასა და სიურპრიზს უქადის.

## ყველა სპექტაკლს თავისი ბიოგრაფია აქვს

### თეატრი თამაშია, თეატრი ბრძოლაა - შეხვედრა ანატოლი ვასილიევთან

თამარ სუხიშვილი

*"მესმის, რომ თეატრი ტკივილის ხელოვნებაა, მაგრამ ჯობია, სიხარულის ხელოვნება იყოს, ტკივილი ისედაც ბევრი გვაქვს, სიხარული კი – ცოტა. თანაც თეატრში მუშაობა სიხარულია."*

**ანატოლი ვასილიევი**



*ანატოლი ვასილიევი*

13 მაისს ფესტივალმა "საჩუქარმა" წლევანდელი სეზონის ბოლო საჩუქარი შემოგვთავაზა, "ერთი დღე ანატოლი ვასილიევთან ერთად" - ასე დაარქვეს პირობითად გუშინდელ საღამოს, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა და რომლის სტუმარი (თუ მასპინძელი) მსოფლიოში ცნობილი რუსი რეჟისორი ანატოლი ვასილიევი გახლდათ.

ანატოლი ვასილიევი სხვადასხვა დროს მუშაობდა სტანისლავსკისა და ტაგანკის თეატრებში, 1987 წელს კი "დრამატული ხელოვნების სკოლა" ჩამოაყალიბა. სტანისლავსკის, "რუსეთის ახალი სინამდვილის" (ევროპის კრიტიკოსთა ჟიურის პრემია), "ქაოსის" (პირანდელოს სახელობის პრემია), სტანისლავსკის ფონდის, "ტრიუმფისა" და რუსეთის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანატოლი ვასილიევი გუშინ კიდევ ერთი ჯილდოს მფლობელი გახდა, ფესტივალის ორგანიზატორებმა თბილისში მას მიხეილ თუმანიშვილის პრიზი გადასცეს "ხელოვნებაში სრულყოფისათვის".

"ამის შესახებ არცთუ დიდი ხნის წინ გავიგე, - გვეუბნება ბატონი ვასილიევი, თვითმფრინავით აქეთ რომ მოვფრინავდი, პროგრამაში ჩავიხედე; იქ ეწერა: პრიზის გადაცემა. მე ვიცნობდი მიხეილ თუმანიშვილს, გამოჩენილ ადამიანს, პედაგოგს, რეჟისურის ოსტატს, რომელმაც ქართული თეატრის რამდენიმე თაობა გამოზარდა. იცით, იმის თქმაც კი არ შემიძლია, რომ ეს ჩემთვის დიდი პატივია, ჩემთვის ეს ფაქტი დაუჯერებელია. ეს დიდი ჯილდოა და მე მადლობელი ვარ ქართული თეატრისა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ეს ჯილდო რომ მომანიჭა."

სამწუხაროდ, ანატოლი ვასილიევმა ჩვენთან ცოცხალი სპექტაკლები ვერ ჩამოიტანა, სამაგიეროდ, ჩამოგვიტანა სამი წარმოდგენის ვიდეოჩანაწერი (ვიდეოსპექტაკლი): პირანდელოს "ექვსი პერსონაჟი ავტორის ძიებაში", ლერმონტოვის "მასკარადი", ჰაინე მიულერის "მედეა. მასალა" და ბევრი სათქმელი.

მაპატიეთ, რომ თქვენს ენაზე ვერ ვილაპარაკებო, - ასე დაიწყო საუბარი რუსმა რეჟისორმა, და თავისი სურვილიც გაგვიმხილა: რაც შეიძლება მეტი მინდა გიამბოთო. და დაბალ ხმაზე, დინჯად დაიწყო მოყოლა იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა თეატრში – სტანისლავსკის თეატრის სცენაზე, როგორ დადგა პირველი სპექტაკლები; არ დაუმალავს ისიც, რომ ცხოვრება მოსკოვში არასოდეს ყოფილა ტკბილი, ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ერთი პერიოდი თეატრისა და სპექტაკლების გარეშე დარჩა, მერე იყო ტაგანკა, იქიდანაც წამოვიდა, მერე დაიწყო "პერესტროიკა". სწორედ ამ "პერესტროიკის" ეპოქაში გახსნა ვასილიევმა ახალი თეატრი: "დრამატული ხელოვნების სკოლა". ვასილიევის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ: "ყველა სპექტაკლს თავისი ბიოგრაფია აქვს." დრამატული ხელოვნების სკოლის დაარსებაც ერთ ასეთ საინტერესო ბიოგრაფიასთან არის დაკავშირებული. ანატოლი ვასილიევმა პედაგოგად მუშაობა რომ დაიწყო, იფიქრა, პედაგოგიკას ჯობია, რამე ნამუშევარი გავაკეთოო, ასე იქცა სადიპლომო ნამუშევარი, პირანდელოს "ექვსი პერსონაჟი ავტორის ძიებაში", ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ წარმოდგენად. ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ თეატრს ერთ-ერთ სარდაფში, არბატის სიახლოვეს.

დღეს ანატოლი ვასილიევი უკვე ღიმილით იგონებს გრძელ, ღამეულ რეპეტიციებს, იგონებს, როგორ შეღებეს სარდაფის კედლები მწვანედ…

"არ ვიცი, რატომ ჰქონდა ამ სპექტაკლს ასეთი წარმატება, იქნებ იმიტომ, რომ "ანდერგრაუნდი" იყო მოდაში, ან იქნებ იმიტომ, რომ, მართლაც, კარგი გამოვიდა."

ანატოლი ვასილიევი ღიმილით იგონებს იმასაც, თუ როგორ გადაიღო ერთმა იუგოსლაველმა ფოტოგრაფმა (ახლაც კი ახსოვს მისი სახე) მისი სპექტაკლი და როგორ დაიბეჭდა ცოტა ხნის შემდეგ ფრანგული "პარი მატჩის" ფურცლებზე ერთი სცენა სპექტაკლიდან - ნახევრად შიშველი მსახიობი ქალის ფოტო, მამაკაცს რომ ეხვევა. კომენტარი ასეთი იყო: რუსეთში "პერესტროიკა" დაიწყო, ახლა ახალგაზრდებს შეუძლიათ სარდაფებში შეიკრიბონ და ილაპარაკონ სიყვარულზე… - და "არცერთი სიტყვა არც ჩემზე, არც სპექტაკლზე…"

ასე მონათლეს "პერესტროიკის" ერთგვარ პირმშოდ იმ რეჟისორის ნამუშევარი, რომელიც ყოველთვის შეგნებულად არიდებდა თავს პოლიტიკას: "პერესტროიკის" დროს ყველა კარი და ფანჯარა ჩავრაზე, არ მინდოდა რამე შემხებოდა ან რამეში ჩავრეულიყავი; მაშინ როცა ჩემი მეგობრები პოლიტიკაში ჩაებნენ, მე მშვიდად ვატარებდი რეპეტიციებს და ფილოსოფიასა და რელიგიაში გადავეშვი."

ვასილიევის ფსიქოლოგიური თეატრის ძირითადი მიმართულება იმ ორი ეტიუდიდან იღებს სათავეს, რომელიც მან სტუდენტობისას დადგა: "არბატი", გულაგში მეგობრების შეხვედრაზე რომ გვიამბობს, და ეტიუდი ბაბელის მიხედვით, რომელშიც ლიტვაში წითელი არმიის შესვლაა ასახული. მართალია, თემა პოლიტიკურია, მაგრამ როგორც ვასილიევი განმარტავს, ეს სპექტაკლები არ ასახავდნენ მის მოქალაქეობრივ ან პოლიტიკურ პოზიციას. პირველ ეტიუდში თეატრი გააზრებული იყო როგორც თამაში, მეორე ეტიუდში კი - როგორც ბრძოლა. ეს ორი თემა დაედო საფუძვლად ჩემს ცხოვრებასო, - ამბობს რეჟისორი, რომელიც საკუთარ თავს ფსიქოპათს უწოდებს და ასე ახასიათებს: ყველა იმ სენით ვარ შეპყრობილი, რითიც ჩემი პროფესიის ადამიანები არიან დაავადებულნიო.

## ქართველი მოცეკვავე და ფრანგი ქორეოგრაფი დიდი თეატრის სცენაზე

### ნიკა ცისკარიძე კვაზიმოდოს როლში

ნათია ვადაჭკორია

მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე თებერვალში საპრემიერო ჩვენების შემდეგ, 20 მაისს გაიმართება გამოჩენილი ფრანგი ქორეოგრაფის, როლან პეტის (რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ "ოქროს ნიღაბი" მოიპოვა რობერტ სტურუასთან ერთად) დადგმა, ვიქტორ ჰიუგოს უკვდავი ნაწარმოების "პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" მიხედვით, რომელშიც კვაზიმოდოს პარტიას ნიკოლოზ ცისკარიძე იცეკვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორ ჰიუგოს და მის ნაწარმოებს ფრანგები დიდ პატივს სცემენ, პარიზის საბალეტო სცენა მას გარკვეული დროის განმავლობაში რატომღაც გვერდს უვლიდა. თანამედროვე ფრანგმა ქორეოგრაფმა, როლან პეტიმ მხოლოდ ახლახან გატეხა ნავსი პარიზის სცენაზე.

"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" – მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი ფრანგული ბალეტი, გარნიეს სასახლეში 1965 წელს გამოჩნდა და ფრანგების "ვიპების" ნაღვაწს წარმოადგენდა – ბალეტმეისტერი როლან პეტი, ულტრამოდური კუტიურიე ივ სენ-ლორანი, თეატრის და კინოს მხატვრები - მორის ჟარი და რენე ალიო, რომელთაც ერთობლივი ძალისხმევით გამარჯვებაც იზეიმეს. ამის შემდეგ ექსტრავაგანტული ნაწარმი თეატრის რეპერტუარში შევიდა და თანდათანობით კლასიკად იქცა. 20 მაისსაც ხსენებული "ვიპების" და, ამჯერად ნიკა ცისკარიძის, ნაღვაწს მოსკოველი მაყურებელი იხილავს.

პარიზის კონსერვატიულ პუბლიკას მორის ბეჟარის, ჟანინ შარის და სერჟ ლიფატის ექსპერიმენტების შემდეგ მსგავსი რამ ადრე არც ენახა. სპექტაკლი სინთეტური ნაწარმოებია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ცეკვას, მუსიკას და კოსტიუმებს… ლიბრეტოს და ქორეოგრაფიის ავტორი, როლან პეტი, ნაწარმოების სამ პერსონაჟს "ვნებების დრამასთან" აიგივებს. მისი აზრით, კვაზიმოდო სულაც არ არის საშინელი და ურჩხული, იგი მხოლოდ არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ყმაწვილია და უბედურების მსხვერპლი ხდება. რაც შეეხება ფროლოს, მის სულში ბრძოლაა დიდ ვნებასა და სინდისის ქენჯნას შორის.

ბალეტი 13 ეპიზოდადაა დაყოფილი და, ქორეოგრაფის ჩანაფიქრით, ესმერალდა, კლოდ ფროლო და კვაზიმოდო რევოლუციონერებს ჰგვანან.

ბალეტის შესახებ პირველი შთაბეჭდილება რუს მაყურებელს 1969 წელს შეექმნა, პარიზის ოპერის თეატრის გასტროლების დროს. მაშინ ესმერალდას - კლერ მოტი, ხოლო კვაზიმოდოს სირილ ათანასოვი ასრულებდნენ.

ნამდვილი პარიზელი, იდეალური ფრანგი – მაღალი, ტალღოვანთმიანი, შესანიშნავი იერის მამაკაცი როლან პეტი ერთპიროვნულად უდგას სათავეში ფრანგულ დასს – მარსელის ბალეტს, რომლისთვისაც იგი უდიდეს რეპერტუარს ქმნის, ხოლო პარიზის ოპერაში იშვიათად ბრუნდება, როგორც მიწვეული ქორეოგრაფი. პეტის კარიერას ყოველთვის თან ახლდა წარმატება. მისი პირველი შედევრი გახლდათ "ჭაბუკი და სიკვდილი" - ბახის მუსიკაზე. 50-იან წლებში პეტი ამერიკაში მიემგზავრება და ჰოლივუდში იწყებს მუშაობას. ოკეანის გაღმა მოპოვებული წარმატების მიუხედავად, პირველი აღიარება პეტის მაინც "კარმენმა" მოუტანა. რაც შეეხება "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს", იგი როლან პეტის მეოთხე დადგმაა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე, სადაც მან სხვადასხვა წლებში "ვარდის სიკვდილი", "სირანო დე ბერჟერაკი" და "პიკის ქალი" განახორციელა.

წყნარი ტრადიციონალისტისთვის (როგორც მას უწოდებენ) – ნიკა ცისკარიძისთვის კი, რომელსაც ძალიან უყვარს საქართველო და განსაკუთრებით, აბასთუმანი (სადაც იგი ხშირად ისვენებდა ბავშვობაში), კვაზიმოდოს პარტია მორიგი შედევრი იქნება პრინც ალბერის და სხვა პარტიების შემდეგ.

## აჩრდილი ძველ გალერეაში

ანა კორძაია-სამადაშვილი

*ის, რაც გუშინ "ძველ გალერეაში" მისულებს გვინახავს, სიმულაკრი ყოფილა: ავტორი პარალელურ სამყაროს ქმნის, რომელიც თან არსებობს, თან არ არსებობს, მოკლედ, შესანიშნავი გარემოა იმისთვის, რომ სწორედ ის გვეგონოს და ისე ვიფიქროთ, რაც და როგორც გაგვიხარდება…*

ერთდღიანი გამოფენა-აქციის ავტორი კოტე ჯინჭარაძე გახლავთ. "აჩრდილი" ფოტოდოკუმენტების მეშვეობით შეიქმნა, და მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტში ვიზუალურ მხარესა და ტექსტს თითქოს თანაბარი დატვირთვა აქვს, "ძველი გალერეის" კედლებზე გამოფენილი ნამუშევრები თავისთავადაც საინტერესო იყო. ტექსტი რომ არსებობდა, მერეღა შევიტყვე, როცა უკვე ავტორს ვეძებდი კომპლიმენტის მოსახსენებლად.

კოტე ჯინჭარაძის თქმით, ფოტოგრაფია ერთადერთი უნიკალური საშუალებაა, რომელიც ადამიანის სახის გამოსახულებას გარდაცვალების შემდეგაც გვიტოვებს. ალბათ, ყველას გვინახავს "სახეწაშლილ ადამიანთა შავ-თეთრი ფოტოები (ფერადებიც – ა.კ.ს.). ყოველი ამოკაწრული სახის მიღმა მათი ტრაგიკული ფინალით შეწყვეტილი ცხოვრებებია დაფარული და ვინც ფოტოდან სახეებს სამუდამოდ შლიდა, შლიდა მათი ხსოვნის უფლებასაც (ისე, ზოგჯერ ტრაგიკული ფინალის გამო კი არა, დიდი სიძულვილის ნიადაგზეც შლიან და კაწრავენ ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არა აქვს – ა.კ.ს.)".



*კოტე ჯინჭარაძე*

აჩრდილის ისტორია შემდეგში მდგომარეობს: ცხოვრებაში ამქვეყნად ვიღაც გიგლა ვაშაძე, სტალინის სიყრმის მეგობარი, გორის სასულიერო სემინარიიდან გარიცხული და 1911 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი. ეს გიგლა ვაშაძე დიდად ჩახლართული, მაგრამ ამ დროისთვის, ალბათ, ჩვეულებრივი ბიოგრაფიის პატრონი ყოფილა: რქტომბრის რევოლუციაში მონაწილეობდა, მე-9 არმიის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური ყოფილა, მერე ხან დასავლეთ საქართველოში ავიტპროპჯგუფს ავალობდა, ხან კახეთის რაიონში კულტურის განყოფილებას განაგებდა. ყველაფერ ამის ფონზე ის თავის მეგობარს, სტალინს უზიარებდა ხოლმე თავის იდეებს, წერილებს წერდა. მაგალითად: "სერიოზულად ვფიქრობ და მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩვენში დირიჟაბლების წარმოება. საფრენ აპარატს ჩვენებური ტიკის ფორმა ექნება და შენს საყვარელ ქართულ ღვინოებს სახელს გაუთქვამს; მათი ექსპორტით მიღებული შემოსავალი კი ვოლგისპირეთის მოშიმშილე ბავშვებს გამოკვებავს".

შესანიშნავია! ასეთი დირიჟაბლის ამსახველი ნახატი გუშინ "ძველ გალერეაში" ვიხილეთ. იქვე ვნახეთ, როგორი დიდებული მავზოლეუმი უნატრია ვაშაძეს დიდი ბელადისთვის, ლენინისთვის; დახატა კიდეც და თავისი ჩანაფიქრის მართებულობის დასაბუთებაც შეძლო: "დიდ ლენინს ასეთი პატარა მავზოლეუმი არ ეკადრება. მის ნაცვლად ჰეოფსის პირამიდაზე დიდი აკლდამა ავაშენოთ. განა პროლეტარიატის ბელადი ეგვიპტელ ფარაონებზე მეტი არ არის?"

რასაკვირველია, მხოლოდ იდეების გაცნობით ადამიანის პორტრეტის აღდგენა შეუძლებელია, ამიტომ განვაგრძოთ: გიგლა ვაშაძე დიდად ბედნიერი კაცი ვერ ყოფილა. პირველი ცოლი ტიფით გარდაეცვალა, მეორე უკვე წითელგვარდიელმა ვაშაძემ დნეპროპეტროვსკში ითხოვა, მაგრამ მასთან გაჩენილი ორი ბავშვი გარდაეცვალა და საქართველოში მარტო დაბრუნებულა. იქნებ ამიტომაც ადარდებდა ასე ძალიან ლენტეხის რაიკომის მდივნად გადაყვანილ ვაშაძეს სვანური კოშკების ქარის წისქვილებად გადაკეთების იდეა და გერმანიის სამხედრო პოტენციალის კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემები?!

ასე თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს დიდ ბელადს ვაშაძე ყელში ამოსვლია და, როგორც მისი ბიოგრაფიის მკვლევარმა და მისმა "გამცოცხლებელმა", კოტე ჯინჭარაძემ გვიამბო, "აბსურდული იდეების ავტორი მოულოდნელად, გაურკვეველ ვითარებაში, ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა".

სევდიანი ამბავი გიამბეთ, არა? არადა, ყველაფერი სახეწაშლილი ფოტოსურათებით დაიწყო, რომელიც დახურულ არქივში უპოვნიათ და რომლის კვალდაკვალაც ამოტივტივდნენ გიგლა ვაშაძე და მისი ნახატები და გაფერადებული ფოტოსურათები.

**P.S**. ცნობისთვის: სექტემბერში, ქარვასლის შენობაში, ხუთი სხვადასხვა ქალაქიდან ერთდროული რეპორტაჟი მოეწყობა. ეს კოტე ჯინჭარაძის ერთი პროექტის დასკვნითი აქცია იქნება. "მოლაპარაკებებს თევზებთან" ხელოვანი თბილისში, სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში, ჟენევასა და მაგდებურგში, მდინარეების პირას აწარმოებდა. თუმცა, ავტორმა თქვა, ადამიანებს ერთმანეთის არ ესმით და თევზებს მაინც გავუგოთო, როგორც მივხვდი, თავად მისი ყველას შესანიშნავად ესმის: მეც კი, შიშის ზარს რომ მცემს თავად ტერმინი "გამოფენა-აქცია", გულწრფელად ნასიამოვნები დავრჩი.

**P.P.S.** ქარვასლის დირექტორმა, ქალბატონმა ლიკა მამაცაშვილმა, კოტე ჯინჭარაძის დახასიათებისას მითხრა, "ამაზე კარგი აღარც ვარგაო". კოტემ კი თქვა, ეგ არ დაწეროო, მაგრამ მე მაინც დავწერე.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა აპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადახხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# დელ ბოსკე გზაჯვარედინზე

*დღეს მარტო ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის ვინაობა კი არა, "რეალის" მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკეს ბედიც ირკვევა. გუნდმა, რომელიც სეზონის დასაწყისიდანვე ყველა ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა, ბოლოსკენ, როდესაც, წესით და რიგით, პიკისთვის უნდა მიეღწია, რაღაც დაკარგა. ასეთ შემთხვევაში, როდესაც გუნდში გყავს რონალდო, რაული, კარლოსი, ზიდანი, ფიგუ... ყველაფერი შენი, ანუ მწვრთნელის ბრალია. "იუვენტუსი" ვისენტე დელ ბოსკეს წინააღმდეგ. რეალის ბუნჩულა მწვრთნელს ძალიან არ უნდა მადრიდთან განშორება. ბოსკეს შეუძლია, დარჩეს. ამისთვის სულ ცოტაა საჭირო - მან გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში უნდა გაიყვანოს.*

დიმიტრი ობოლაძე

### იუვენტუსი - რეალი

რონალდო ტრავმირებულია, მადრიდელებს ვერ დაეხმარება მაკელელე, რაულმა ბრმა ნაწლავის ოპერაციის გამო ფორმა დაკარგა, მცირე ტრავმები აქვთ ზიდანსა და ფიგუს - ასეთი ფრაზები დაიბეჭდა ესპანეთის გაზეთებში. გადაჭრით საუბარი მხოლოდ რონალდოსა და მაკელელეს ტრავმებზე შეიძლება. რაც შეეხება რაულს, ის ნამდვილი პროფესიონალია და მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა მოედანზე, თუ ბოლომდე მზად იქნება. ფიგუსა და ზიდანის ტრავმებზე საუბარი კი იტალიაში მხოლოდ მადრიდელთა ეშმაკობა ჰგონიათ. ხომ უნდა აეხსნა დელ ბოსკეს, რატომ ვერ მოიგო მისმა გუნდმა პრიმერადივიზიონის უკანასკნელი ტურის შეხვედრა და რატომ დაკარგა ლიდერობა. ზიდანს ზურგი სტკივა, პორტუგალიელს კი საზარდული დაეჭიმა. თვითონ ეს სიტუაცია ძალზე აღელვებთ ესპანელებს: ამდენი საუბარი პრობლემებზე აქამდე არც ერთი მატჩის წინ არ ყოფილა. განა თავად დელ ბოსკე არ ამბობდა, რომ ტრავმების გამო "რეალის" მსგავსი გუნდის დასუსტება, უბრალოდ, შეუძლებელიაო? მოკლედ და კონკრეტულად, "იუვენტუსი" გაცილებით კარგ გუნებაზე ხვდება დღევანდელ საღამოს. ლიპის გუნდმა უკვე გაინაღდა იტალიის ჩემპიონის ტიტული. უკვე აღარც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ იტალიის სხვა გუნდების დირექტორთა აზრით, მსაჯები სწორედ "ბებერ ქალბატონს" ეხმარებიან. ამ შემთხვევაში ისმის ლოგიკური შეკითხვა: რატომ არ ეხმარებიან მსაჯები "მილანს", რომლის ინტერესებსაც თავად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, სილვიო ბერლუსკონი იცავს? მადრიდელებს თითქოს საგანგაშო არაფერი აქვთ. "რეალმა" 2:1 მოიგო და დღეს ტურინში ფრეც აძლევს ხელს. თუმცა, რონალდოს არყოფნა სერიოზული დანაკლისია. თუ რაულმაც ვერ ითამაშა, მადრიდელებს გოლის გატანის პრობლემაც ექნებათ. პირველ მატჩში ფიგუ და ზიდანი ბურთს, ძირითადად, ტრიბუნებისკენ ურტყამდნენ. ბოსკეს უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს რონალდოს გამოჯანმრთელების იმედი, მაგრამ კლუბის ექიმმა, ალფონსო დელ კორალმა მის იმედს ცივი წყალი გადაასხა. "რონალდოს თამაში თითქმის 100 პროცენტით გამორიცხულია. მან გაიარა სარეაბილიტაციო კურსი, მაგრამ სათამაშოდ მზად არ არის." არც ლიპის აქვს მშვიდად ყოფნის საფუძველი. პირველ მატჩში მიღებული ყვითელი ბარათების გამო დღეს მოედანზე ვერ გავლენ მცველები ჩირო ფერარა და მარკ იულიანო. ბოლოს კი მოვიტანთ მწვრთნელების, ლიპისა და დელ ბოსკეს სიტყვებს. მეორე პირველის კარიერას უქმნის საფრთხეს. "ტრეზეგემ უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა, - განაცხადა ლიპიმ, - ვფიქრობ, რომ სწორედ ეს გოლი გაგვიყვანს ფინალში. "იუვენტუსი" არასოდეს ყოფილა ასეთი თავდაჯერებული. დელ ბოსკეს დიდ პატივს ვცემ, ვიცი, რომ მას მსოფლიოში უძლიერესი ფეხბურთელები ჰყავს. ნამდვილმა მწვრთნელმა სწორედ მძიმე სიტუაციაში უნდა დაამტკიცოს, რომ ის ჭეშმარიტი პროფესიონალია"... რაც უკვე არაერთხელ გააკეთა თავად მარჩელო ლიპიმ. "საგანგაშო არაფერია, - განაცხადა ბოსკემ, - ჩვენ 2:1 მოვიგეთ და მიკვირს იმ ადამიანებისა, ვინც ამ შედეგს წარუმატებლობად თვლის. "იუვენტუსი" იტალიის ჩემპიონია, რაც, თავისთავად, მრავლისმეტყველი ფაქტია. იტალიის სერია A-ში მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილური თამაშის გამო ის დიდი პატივისცემის ღირსია. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, გპირდებით, რომ ფინალში გასვლის შემდეგ უფრო მეტს ვისაუბრებ".

დღეს, 23 საათსა და 45 წუთზე, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ს პირდაპირ ეთერში: "იუვენტუსი" - "რეალი".

Fox Kids

# ზუგდიდში 4:2-ა პოპულარული

"ფოქს კიდსის" თასზე, გუშინ ზუგდიდის საქალაქო შესარჩევი ტურნირის გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ორივე ფინალური მატჩი, გოგონებსა და ყმაწვილებს შორის, ერთნაირად უხვგოლიანი გამოდგა: ორივე შეხვედრა ანგარიშით 4:2 დასრულდა. ყმაწვილებს შორის ფინალურ მატჩში "უშბა" და "კოსტავას სახელობის გიმნაზია" შეხვდნენ, ზუგდიდის გამარჯვებული კოსტავას გიმნაზიის გუნდი გახდა, გოგონებს შორის გამარჯვებული კი "ოდიში", რომელმაც ფინალში "დიოსკურიას" მოუგო, ანგარიშით 4:2.

"ფოქს კიდსის" მატჩები გაიმართა ახალციხეშიც, სადაც სამცხე ჯავახეთის გამარჯვებულები იქნენ გამოვლენილი. ყმაწვილებს შორის ფინალში ბორჯომის "ბორჯომი" და ადიგენის "ზარზმა" შეხვდნენ ერთმანეთს. ეს შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს ბორჯომელებმა – 3:0.

სამცხე-ჯავახეთის ტურნირი ბორჯომელების ტრიუმფით დასრულდა. გოგონებს შორის გამართულ ფინალში ბორჯომის "თორმა" ახალციხის "მესხეთი 2"-ს 1:0 მოუგო. ახალციხეში გამართული ტურნირის ორგანიზატორი ტელეკომპანია "ლომსია" იყო.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 14 მაისი

**НТВ + ФУТБОЛ**

13.00 თავისუფალი დარტყმა
13.15 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ინტერი" - "მილანი"
14.55 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
15.50 ფეხბურთი ა-დან წ-მდე
16.20 საერთაშორისო ტურნირი ვალერი ლობანოვსკის თასზე. მატჩი მესამე ადგილისთვის. პირდაპირი ტრანსლაცია
18.25 ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
19.20 თავისუფალი დარტყმა
19.40 დარტყმა გოლის მიმართულებით
19.55 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
20.50 საერთაშორისო ტურნირი ვალერი ლობანოვსკის თასზე. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23.00 დარტყმა გოლის მიმართულებით
23.20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "იუვენტუსი" - "რეალი" პირდაპირი ტრანსლაცია
1.35 ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**

11.00 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. კომბინირებული პროგრამა. პირდაპირი ტრანსლაცია
11.45, 15.00, 17.15, 20.00, 22.00 პრეს-ცენტრი
12.00, 22.15 "ოლიმპის შვილები"
12.05, 15.15 აერობიკა
12.30 პოკერი. მე-4 ნაწილი
13.15 საბრძოლო სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
14.00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15.40 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი 10 ცეკვაში
16.35 საუკუნის ათლეტები. "ქალი, რომლის მსგავსიც არ არსებობს". ზოია მირონოვა
17.30 ჩოგბურთი. ჰამბურგი. პირდაპირი ტრანსლაცია
19.00 "NHL პლუსი"
19.10 ბოულინგი. ბარლინგტონი
20.15 პოკერი. მე-5 ნაწილი
21.00 "POWER WEEK - NHL-ის კვირა"
21.30 ავტორბოლა. "რუსები GT"-ში
22.30 ჩოგბურთი. ჰამბურგი. პირდაპირი ტრანსლაცია
0.15 ბოდიბილდინგი. ევროპის ჩემპიონატი. სანკტ-პეტერბურგი. შესვენებაზე (1.15) "ნოვოსტი"
2.00 "NHL პლუსი"

**EUROSPORT**

11.30 სერიები. ავტომოტოსპორტული ჟურნალი
12.00 ველორბოლა. "ჯირო დ`იტალია". მე-4 ეტაპი
13.00 ევროგოლები. საფეხბურთო ჟურნალი
14.30 ფეხბურთი. სპეციალური მიმოხილვა
15.00 სპიდვეი. გრან-პრი
16.00 ჩოგბურთი. რომი. მე-3 დღე. პირდაპირი ტრანსლაცია
18.30 ველორბოლა. "ჯირო დ`იტალია". მე-5 ეტაპი. პირდაპირი ტრანსლაცია
21.00 ფეხბურთი. 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალები
0.00 ოთხშაბათი. საღამოს ანონსი
0.15 ცხენოსნობა. ერთა თასი
1.15 გოლფი. სპეციალური მიმოხილვა
2.30 აფროსნობა. იახტები
3.00 სპორტული თავგადასავლები ბუნებაში
3.30 ჩოგბურთი. რომი

ფეხბურთი

# კალაძე ფინალშია

აკა ტონია

### ინტერი 1:1 მილანი

**ინტერი:** *ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, კანავარო, ემრე, დი ბიაჯო (დალმა 46`), სერჟიო კონსეისაო, კ. ძანეტი, კრესპო (კალონი 71`), რეკობა (მარტინსი 46`).*
**მილანი:** *აბიატი, კალაძე, ნესტა, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, ზეედორფი, პირლო (ბროკი 89`), რუი კოშტა (ამბროზინი 64`), ინძაგი (სერჟინიო 80`), შევჩენკო.*
**გოლები:** *0:1 შევჩენკო (45`), 1:1 მარტინსი (83`).*
**გაფრთხილება:** *დი ბიაჯო, ინძაგი, გატუზო, რუი კოშტა, კალაძე.*
**მსაჯი:** *ჟილ ვესიე.*



*ასე აღნიშნავდა "მილანი" ფინალის საგზურის მოპოვებას*

REUTERS

"ინტერის" იმედი არ გამართლდა და კრისტიან ვიერიმაც ვერ შეძლო მუხლის ტრავმის დროულად მოშუშება. "მილანის" წინააღმდეგ მატჩში, "ნერაძური" კვლავინდებურად კრესპო/რეკობას შემტევი დუეტის იმედად იყო. სამაგიეროდ "ინტერის" შემადგენლობაში დაბრუნდა კრისტიანო ძანეტი, რომელმაც წინა მატჩში დაშავებული კოკოს ადგილი დაიკავა.

ცვლილებები იყო მილანის შემადგენლობაშიც. კარლო ანჩელოტი იძულებული გახდა, ბრაზილიელი მეკარე დიდას მაგივრად მოედანზე აბიატი გამოეყვანა. დიდამ თითის ტრავმა მიიღო, რის გამოც თამაში ვერ შეძლო. გუნდს დაუბრუნდა პირლო, რომელმაც "მოასწრო" და ამ მნიშვნელოვანი მატჩის წინ ტრავმა მოიშუშა.

რიგით 255-ე მილანურ დერბის წინასწარვე უწოდეს "გრანდე სპექტაკულო", თუმცა ეს შეფასება, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო სამართლიანი. მატჩი არ აღმოჩნდა ისეთი საინტერესო, როგორსაც იტალიელი გულშემატკივრები ელოდნენ. სხვაგვარად იყო საქმე საქართველოში: ჩვენებური ქომაგების პროგნოზები ბევრად უფრო სწორი გამოდგა. საქართველოში ბევრი ფიქრობდა, რომ ეს მატჩიც, ისევე როგორც ამ გუნდების წინა შეხვედრა, ფრედ დასრულდებოდა. ქართველი ქომაგების სიმპატიები ალბათ "მილანის" მხარეს იყო, კალაძის გამო. აქედან გამომდინარე, ჩვენ 1:1 ფრე უფრო გვაძლევდა ხელს, ვიდრე 0:0. შესანიშნავია, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩვენ გვინდოდა. მატჩი მართლაც ფრედ დასრულდა – 1:1, რაც იმას ნიშნავს, რომ "მილანის" ქართველი მცველი, კახი კალაძე ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებს!

მატჩის პირველი ტაიმი "მილანის" უპირატესობით წარიმართა, რომელთა კაპიტანი, პაოლო მალდინი, თავის 45-ე მილანურ დერბის ზეიმობდა – ეს რეკორდია. პირველ 45 წუთში გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, ეს იყო და ეს. მაგრამ, "მილანელთა" საბედნიეროდ, მატჩის არბიტრმა ჟილ ვესიემ პირველ ტაიმს კიდევ რამდენიმე წუთი დაუმატა და "სტუმართა" გოლიც სწორედ ამ დროს, 46-ე წუთზე გავიდა. ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფის პასი ანდრეი შევჩენკომ მიიღო, რომელმაც მოხერხებულად გადალახა "ინტერის" მცველის, ივან კორდობას მიერ აღმართული ბარიერი, შემდეგ კი ტოლდოსაც გაუტანა – 0:1.

შესვენებისას "ინტერის" არგენტინელმა მწვრთნელმა ორი შეცვლა განახორციელა: ალვარო რეკობას ნაცვლად ახალგაზრდა თავდამსხმელი მარტინსი, ხოლო დი ბიაჯოს მაგივრად დალმა გამოიყვანა. "ინტერი" აშკარად ცდილობდა, რომ შეტევაში უფრო ექტიური ყოფილიყო, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. პირიქით, "ნერაძური" 0:2-ს გადაურჩა, როდესაც შევჩენკოს დარტყმული ბურთი მცირე მანძილით ასცდა ტოლდოს კარს (63-ე წუთზე). კალონის სახით, ეკტორ კუპერმა კიდევ ერთი თავდამსხმელი გამოიყვანა მოედანზე, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ გარისკა: მან ერნან კრესპო შეცვალა.

"მილანი" კვლავინდებურად აკონტროლებდა მატჩს, თუმცა 84-ე წუთზე ყველაფერი შეიცვალა. ალესანდრო ნესტას მიერ დარტყმული "სანთელი" 18 წლის ნიგერიელმა მარტინსმა მიიღო, ამ უკანასკნელის შეჩერება კი ვეღარ მოახერხა მალდინიმ – 1:1. გატანილი გოლის შემდეგ "ინტერი" გამოცოცხლდა, ხოლო "მილანის" დაცვის ხაზი ძველებურად საიმედოდ აღარ გამოიყურებოდა. კარგი შანსი ჰქონდა კალონს, როდესაც ის კალაძეს გაცდა, თუმცა ქართველი მცველის შეცდომა მეკარე აბიატიმ გამოასწორა და საკუთარი გუნდი გოლისაგან იხსნა.

მიუხედავად იმისა, რომ "მილანმა" ჩემპიონთა ლიგის ვერც ერთი ნახევარფინალური მატჩი ვერ მოიგო, კარლო ანჩელოტის გუნდი მაინც დამსახურებულად გავიდა ფინალში, ჩვენ კი ის გვახარებს, რომ "მილანთან" ერთად "ჩვენი" კახა კალაძეც ითამაშებს მანჩესტერში.

# 13 მაისი ქართული ფეხბურთის დღე იქნება!

## "მსოფლიოს სპორტის" ხელმძღვანელობა პრეზიდენტს ახალი დღესასწაულის შემოღებას სთავაზობს

აკა ტონია

*1981 წლის 13 მაისის შემდეგ, როდესაც თბილისის "დინამო" თასების მფლობელთა თასს დაეუფლა, 22 წელი გავიდა. ამ უდიდეს გამარჯვებას საქართველოს საფეხბურთო სამყარო ყოველ წელიწადს აღნიშნავს. ასე იყო გუშინაც: ქართული ფეხბურთის ამ უდიდეს ზეიმს კაფე "მსოფლიოს სპორტმა" უმასპინძლა.*





*"მსოფლიოს სპორტი" სულაქველიძის მაისურითა და თასების თასით გამდიდრდა*

13 მაისის დიდი გამარჯვების აღსანიშნავად ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებმა და გულშემატკივრებმა კაფე "მსოფლიოს სპორტში" საღამოს ხუთი საათისთვის მოიყარეს თავი. აქ იყვნენ "დინამოს" ძველი თაობის ვარსკვლავები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, გულშემატკივრები. ცხადია, 1981 წლის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული "დინამოს" წევრებიც იყვნენ – გუშინდელი დღის "იუბილარები". უცხო არავინ იყო, "მსოფლიოს სპორტში" შეიკრიბნენ ის ადამიანები, რომელთაც 22 წლის წინათ განცდილი სიხარული აერთიანებდათ.

საღამო გაიხსნა "დინამოსადმი" მიძღვნილი ვაჟა აზარაშვილის სიმღერით. დიდ ეკრანზე ძველი "დინამოს" გამარჯვებების ამსახველ ფრაგმენტებს უჩვენებდნენ.

საღამოს თემურ ჯაფარიძე უძღვებოდა. "მსოფლიოს სპორტის" ექსპონატთა ნუსხა კი ახალი, უძვირფასესი საჩუქრებით შეივსო: ჰალსტუხი, რომელიც ფერენც პუშკაშმა მიხეილ მესხს უსახსოვრა, არგენტინელი ფორვარდის, გაბრიელ ომარ ბატისტუტას მაისურა, რომელიც "მსოფლიოს სპორტს" კლაუდი კანიჯამ აჩუქა. სიტყვით გამოვიდა თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ივო შუშაკი, რომელმაც საღამოს ორგანიზატორებს ხორვატიის ნაკრების ვარსკვლავის, ზვონიმირ ბობანის მაისურა გადასცა. "სპორტ კაფემ" თენგიზ სულაქველიძისგანაც მიიღო საჩუქარი - მისი ნაქონი საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურა.

ამის შემდეგ "მსოფლიოს სპორტმა" თავისი მთავარი სიურპრიზი წარმოგვიდგინა – თასების მფლობელთა თასი, რომელიც "დინამომ" 1981 წელს მოიპოვა და რომელიც ამიერიდან, სწორედ ამ კაფეში დაიდებს ბინას.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, კედელზე დამონტაჟებულ ეკრანზე სწორედ იმ მატჩის - "დინამო"-"კარლ ცაისის" სრული ჩანაწერის ხილვის საშუალება მოგვეცა. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად ყველა სტუმარს, ეს შეხვედრა უკვე არაერთხელ ჰქონდა ნანახი, ყველანი გაფაციცებით ვუცქერდით ეკრანს, თითქოს მას პირდაპირ ეთერში გადმოსცემდნენ. ყოველი სახიფათო მომენტისას, დარბაზში ოვაციები გაისმოდა. "დინამოს" მიერ გატანილი გოლების დროს კი, ზოგიერთს ცრემლებიც კი მოსდიოდა. ვაკვირდებოდი მაშინდელი "დინამოს" მწვრთნელის თანაშემწეს, სერგო კუტივაძეს, რომელიც ამ ყოველივეს ისე განიცდიდა, როგორც მაშინ, 22 წლის წინათ, დიუსელდორფის "რაინშტადიონზე"...

ვიტალი დარასელიას მიერ გატანილ გოლს გამაყრუებელი გუგუნი და ოვაციები მოჰყვა, თავად დარასელიას მეუღლეს, ქალბატონ მარინა მამალაძე-დარასელიას კი ცრემლები მოსდიოდა.

და ამ დროს, "გაისმა მატჩის არბიტრის, რიკარდო ლატანცის სასტვენის ხმა!" - 22 წლის შემდეგ, საქართველოში ისევ ისე ზეიმობენ იმ დიდ გამარჯვებას! ასეც უნდა იყოს, ეს ხომ ჩვენი ფეხბურთის უდიდესი გამარჯვება იყო...

და, ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტეს კაფე "მსოფლიოს სპორტის" მეპატრონეებმა, რომ 13 მაისი ქართული ფეხბურთის დღედ ექციათ. მიშა ახვლედიანის, ნიკა ივანიშვილის, რეზო არველაძის და დათო ჭელიძის ინიციატივით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უკვე მიიღო ეს წინადადება და მხარი დაუჭირა კიდეც. უახლოეს ხანებში, სფფ საქართველოს პრეზიდენტსაც ჩააყენებს საქმის კურსში. პრეზიდენტი მალე იმ ხელმოწერებსაც მიიღებს, რომლებიც გუშინ, "მსოფლიოს სპორტში" შეგროვდა. "ჩვენ გვაქვს კოსმონავტების დღე, არადა ასეთები საერთოდ არ არსებობენ საქართველოში. ნუთუ არ უნდა გვქონდეს ფეხბურთის დღე?!" - განაცხადა "მსოფლიოს სპორტის" ხელმძღვანელმა, მიშა ახვლედიანმა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ "მსოფლიოს სპორტის" ინიციატივა ვინმემ არ მოიწონოს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, კაფეში შეკრებილი სტუმრები ამ იდეას დიდი ოვაციებით მიესალმნენ. იმედია, საქართველოს პრეზიდენტიც იგივე აზრის იქნება.

# უნივერსიტეტის მადლობა დემიკო ლოლაძეს

## ცნობილი ავტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დააჯილდოეს

გუშინ 13 მაისი იყო - დღე, რომელიც ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ გამარჯვებასთან ასოცირდება. უფროსი თაობის ქართველ გულშემატკივარს ისიც ეხსომება, რომ სწორედ დიუსელდორფის ფინალს მიეძღვნა დემიკო ლოლაძის პირველი წიგნი, უფრო სწორად ბროშურა – როგორც ამას თავად ავტორი აღნიშნავს. სწორედ ამ "ბროშურას" მოჰყვა 22 წიგნი, რომელიც დემიკო ლოლაძემ აჩუქა ქართველ გულშემატკივარს. მისი უკანასკნელი წიგნის პრეზენტაცია სულ ცოტა ხნის წინათ, 2 მაისს შედგა. სწორედ ამ დღეს გახდა ცნობილი, რომ დემიკო ლოლაძეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დააჯილდოებდნენ. ეს გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ მიიღო და დანაპირები, სწორედ გუშინ, 13 მაისს აასრულა.

უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, დემიკო ლოლაძის მეგობრები, უნივერსიტეტის პროფესორები, ფეხბურთის უბრალო გულშემატკივრები და პრესის წარმომადგენლები გუშინ, დღის ორ საათზე შეიკრიბნენ. აქ იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორები ოთარ მიმინოშვილი, თემურ ხუროძე, პარმენ მარგველაშვილი, გივი ინწკირველი. ყოფილი კალათბურთელები ვლადიმერ უგრეხელიძე, ვალერი ალთაბაევი. აქ იყვნენ დემიკო ლოლაძის მეგობრები, გულშემატკივრები...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი დემიკო ლოლაძეს უნივერსიტეტის რექტორმა, როინ მეტრეველმა გადასცა. ცნობილმა ავტორმა ასევე მიიღო სპეციალური სიგელი, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის იქნა დამზადებული. დემიკო ლოლაძე საქართველოს განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალური განათლების სამმართველოს უფროსი არის, თუმცა ამ ჯილდოს მის სამსახურთან არაფერი საერთო არ აქვს. როინ მეტრეველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, დემიკო ლოლაძეს, საქართველოს სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადასცეს და რომ ეს ჯილდო, უპირველეს ყოვლისა, მის წიგნებთან არის დაკავშირებული.



*აპლოდისმენტები დემიკო ლოლაძეს*

როინ მეტრეველმა სიტყვა უნივერსიტეტის პროფესორს, წარსულში ცნობილ წყალბურთელს, ოთარ მიმინოშვილს გადასცა. აღმოჩნდა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი არ იყო ერთადერთი, რომლითაც გუშინ დემიკო ლოლაძე დააჯილდოეს. ოთარ მიმინოშვილმა ბატონ დემიკოს კიდევ ერთი მედალი გადასცა, მედალი სახელწოდებით "პირველი". "პირველი შემთხვევაა, როდესაც ივანე ჯავახიშვილის მედლით, ადამიანი სპორტის სფეროში შეტანილი დამსახურებისათვის ჯილდოვდება. აქამდე ეს პატივი საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს გადაეცემოდათ, ძირითადად, საზღვარგარეთის წარმომადგენლებს. სწორედ ამიტომ ვაჯილდოებთ დემიკოს ამ მედლით, რომელსაც "პირველი" ვუწოდეთ. ის ხომ პირველია...", - განაცხადა ოთარ მიმინოშვილმა.

და კიდევ ერთი რამ: ყოველივე ეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გამიზნულად დაამთხვია 13 მაისს, თარიღს, რომელიც დემიკო ლოლაძის ბრწყინვალე წიგნებთან და ქართული ფეხბურთის უდიდეს გამარჯვებასთან ასოცირდება.

ფეხბურთი

# ლიცენზირების პროცესი 2005 წლამდე გაგრძელდება

*უეფა თავის წევრ ყველა ქვეყანაში ახორციელებს საკლუბო-სალიცენზიო პროგრამას და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. კლუბების ლიცენზირების თემა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაახლოებით ერთი წლის წინ წამოჭრა, ეს პერიოდი კი მოსამზადებელ სამუშაოებს მიუძღვნა. დღეს ქართული კლუბების ლიცენზირება უკვე გადაუდებელი აუცილებლობა ხდება - ამის თაობაზე ევროპის საფეხბურთო კავშირმა სფფ-ს უკვე გამოუგზავნა ოფიციალური შეტყობინება.*

მიხეილ აბაიშვილი

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ფედერაციის ოფისში გუშინ გამართული პრესკონფერენცია, რომელსაც სფფ-ს სალიცენზიო კომიტეტის წევრი, გაიოზ დარსაძე წარუძღვა.

"უეფა-მ რამდენიმე ქვეყნის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად, ჩვენც გამოგვიგზავნა შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, საქართველო საკლუბო-სალიცენზიო სისტემაშია ჩართული. ეს ნიშნავს, რომ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მოხდეს საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბების ლიცენზირება. სფფ-ს სალიცენზიო კომიტეტმა ბევრი იმუშავა და უეფა-ს სტანდარტების შესაბამისად მოამზადა ლიცენზირებისთვის აუცილებელი ნორმატიული ბაზა, რომელსაც უეფა-ს ექსპერტებმა მაღალი შეფასება მისცეს. თეორიული სამუშაოები დასრულებულია და პრაქტიკულად ვიწყებთ ლიცენზირების პროცესს", - განაცხადა გაიოზ დარსაძემ.

ლიცენზირების სისტემა კლუბებს ბევრ მოთხოვნას უყენებს, რომელთა შესრულება არათუ აუცილებელი, არამედ სავალდებულოა. იმ ქართულ კლუბებს, რომლებიც ლიცენზირების ბარიერს ვერ გადალახავენ, უეფა-ს ტურნირებში მონაწილეობა ეკრძალებათ. ლიცენზირების სისტემის მოთხოვნებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ამიტომ გამოვყოფ ძირითად პარამეტრებს: ლიცენზიის მისაღებად კლუბს უნდა ჰქონდეს მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მყარი ფინანსური მდგომარეობა, სხვადასხვა ასაკის ბავშვთა, სულ ცოტა, სამი გუნდი და ამ კლუბში მწვრთნელად უნდა მუშაობდეს უეფა-ს სამწვრთნელო ლიცენზიის მქონე სპეციალისტი. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში იგულისხმება საწვრთნელი ბაზა მაღალი დონის სავარჯიშო მოედნებით, ტრენაჟორებიანი დარბაზი და სრული ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, კლუბს უნდა ჰქონდეს უეფა-ს სტანდარტების შესაბამისი სტადიონი, ან ასეთ სტადიონთან აკავშირებდეს საიჯარო ხელშეკრულება, რომელზეც უეფა-ს ტურნირებზე საგზურის მოპოვების შემთხვევაში ეს გუნდი საერთაშორისო მატჩების მასპინძლობას შეძლებს.

"ჩვენ გვესმის, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით, ეს მოთხოვნები არც ისე იოლად დასაკმაყოფილებელია და სერიოზულ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს. ამიტომ, პირველ ეტაპზე ლიცენზირებაგაუვლელი კლუბები მხოლოდ უეფა-ს ტურნირებს მიღმა დარჩებიან. მომავალში კი ასეთ კლუბებს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებაც არ ექნებათ", - გაახმოვანა სალიცენზიო კომიტეტის პოზიცია დარსაძემ. ასეთი კატეგორიულობის მიუხედავად, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან იმის გამო, რომ კლუბები, რბილად რომ ვთქვათ, საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ, საქართველოს ჩემპიონატის მატჩები ძალიან ხშირად ქართული ჭიდაობისთვის შესაფერის გარემოში ტარდება, ოღონდ დოლ-გარმონის გარეშე. მაგალითისთვის "ვიტ ჯორჯიასა" და თბილისის "დინამოს" შორის 11 მაისს ჩატარებული მატჩის გახსენებაც კმარა (შეხვედრა "შევარდენზე" გაიმართა). ეს მატჩი, თავისი მნიშვნელობით, მთელი ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა იყო, რადგან პირველობის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ორი გამოკვეთილი ლიდერი ხვდებოდა ერთმანეთს. აი, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართა სტადიონზე, რომელსაც არც ტრიბუნები აქვს, არც პრეს-ლოჟა და არც ტაბლო. გულშემატკივარი თამაშის ყურებაზე მეტად იმით იყო გართული, რომ დასადგომად როგორმე უფრო მოხერხებული და შემაღლებული ადგილი მოეძებნა.

"ლიცენზირების პროცესი დაწყებულად შეიძლება ჩაითვალოს. ის 2005 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ამ პერიოდში ყველა ქართულმა კლუბმა სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საკუთარი საფეხბურთო მეურნეობა", - დროის ასეთი ლიმიტი დაუწესა სფფ-მ თავის სუბიექტებს.

ცალკე საუბრის თემაა მწვრთნელების ლიცენზირება, რასაც უშუალოდ კურირებს გაიოზ დარსაძე. ლიცენზიის გარეშე მწვრთნელებს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებში მუშაობის უფლება არ ექნებათ. კონკრეტულად ამ თემაზე პუბლიკაციას "24 საათი" ცალკე შემოგთავაზებთ.

Giro d'Italia

# ფლავიო დაბრუნდა

ირაკლი ბერიაშვილი

ტრადიციულად ასეა და სტრატეგიაც ამას ამბობს - მრავალდღიანის პირველ ეტაპებზე, ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ პელოტონი მთებს არ მიადგება, საკუთარი ამალით გარშემორტყმული გამარჯვების მთავარი კანდიდატები უპრეტენზიოდ მიუყვებიან ვაკე-ეტაპებს. როგორც წესი, ისინი არც ამ ეტაპების ფინიშზე ცდილობენ გააქტიურებას. მათზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს, არც ჟურნალისტის კალამს სცალია მათთვის. დროდადრო ტელეობიექტივი თუ გამოარჩევს ხოლმე ვეება ჭრელი მასიდან, ისიც რამდენიმე წამით. ეს არის და ეს.

ისინი ცოტანი არიან. თითოეულ გუნდში ერთი ან ორი თუ იქნება. ინტერვიუს ხმადაბლა იძლევიან, მყვირალა და სენსაციურ განცხადებებს არ აკეთებენ. მაშინაც კი, როცა პირველი მიდიან ფინიშზე, ეს კი მხოლოდ მთებში ხდება, ვერც გამარჯვების ყიჟინას გაიგონებთ და ვერც მუშტების უთავბოლო ქნევაში გამოხატულ ზღვარდაუდებელ სიხარულს. დაღლილები მორჩილად ჩერდებიან თავისიანების წრეში და მორიდებული ღიმილითვე იღებენ მილოცვებს. ამ დაუსახლებელ და დაკარგულ ადგილებში, ზღვის დონიდან ორი ათას მეტრზე, სადაც გარშემო მხოლოდ დათოვლილი მწვერვალებია და, ცხადია, ცივა კიდეც, გათოშილი და შეგრძნებადაკარგული თითები ხშირად შამპანურსაც ვერ ერევა.

რომ იცოდეთ, როგორ არ ჰგავს ეს ყველაფერი სტადიონის აღიარებულ ტრიბუნებს, აკრობატულ მალაყებსა და ბალახზე გასრიალებულ საფეხბურთო კერპებს.

იქ, მთის ეტაპის ფინიშზე სიჩუმეა და მხოლოდ შიგნით, სადღაც ღრმად გიზგიზებს გამარჯვების ცეცხლი - არც არავის ნიშნისმოგები და არც არავის დამამცირებელი: ეს წყურვილთან, ტკივილთან, დაღლილობასთან, საკუთარ თავთან გამარჯვების აღსანიშნავად დანთებული ცეცხლია.

ასეთები არიან ისინი, მართლა მაგარი ბიჭები, ახლა პელოტონის შუაგულში თავისიანებით გარშემორტყმულნი უდრტვინველად რომ ატრიალებენ პედლებს.

**ნინო პრიმა**

1911 წელს იტალიაში მონარქიის ორმოცდამეათე წლისთავს აღნიშნავდნენ. ამიტომ ჯირომ რომში, პორტა პიადან აიღო სტარტი. მონაწილეებს თორმეტი ეტაპი ჰქონდათ გასავლელი. 86 სპორტსმენიდან ფინიშამდე მხოლოდ 24-მა მიაღწია. ნეაპოლისკენ მიმავალ გზაზე პელოტონს თავს ესხმის იმ დროს სახელგანთქმული ყაჩაღის, ბუფალის ბანდა. სპორტსმენები ველოსიპედებს ტოვებენ და მინდორში გაქცევით შველიან თავს. პორტიჩიში გაქცეულებს საეჭვო პიროვნებებად მიიჩნევენ და აპატიმრებენ. ნეაპოლის მოსახლეობა, რომელსაც ვერ გაურკვევია, რა ხდება, ლანძღვით ხვდება ჯიროს მონაწილეებს. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი ირკვევა. ამ ინციდენტის მიუხედავად, 24-მა სპორტსმენმა დაასრულა შეჯიბრება. ფინიში მილანშია. გამარჯვებულად ასახელებენ გალეტის, რომელსაც ყველაზე მეტი ქულა აქვს მოგროვებული. კარლო გალეტიმ ჯირო წინა წელიწადსაც მოიგო და მომდევნო - 1912 წელსაც.

**ირაკლი**

არა, ნამდვილად ვერ დავიჯერებ. ეტყობა, ნეაპოლის გზაზე იმ დღეს ქართული პოლიცია მორიგეობდა. მართალია, ნინოს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ისეთი ნაცნობი ხელწერაა, რომ...

თუმცა, შევეშვათ ამას. თან ერთი კარგი ამბავიც უნდა გითხრათ. ფლავიო თავის პოსტზეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პელოტონის ამბებს წვრილად მოგვიყვება. ისე, ტყუილად ვაბრალებდი ვისკისა და ეგეთ რალაცებს - კუჭ-ნაწლავის პრობლემები ჰქონია საწყალს. მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ყველაფერი რიგზეა და ახლა საღ-სალამათი დააგელვებს თავის მოტოციკლს პელოტონის ხან თავსა და ხან ბოლოში.

მკითხველს კი ამ ჩვენი მეგობრის პრობლემებზე საუბრით იმიტომ შევაწყინეთ თავი, რომ მესამე ეტაპზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ესეც ტყუპისცალივით ჰგავდა წინა ორს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ...

როგორც ზევით ვთქვი, საერთო ჩათვლაში გამარჯვების მოსურნეები თუ პრეტენდენტები მთის ეტაპებამდე წინა პლანზე არასოდეს ჩნდებიან. ამ ეტაპზე ეს ტრადიცია, თუ არ ვცდები, პირველად დაირღვა. თუმცა, ამ, ასე ვთქვათ, სენსაციასაც ჰქონდა თავისი მცირე, მაგრამ მაინც გამართლება. საქმე ის არის, რომ მესამე ეტაპის ფინიში, ვაკე-ეტაპებისგან განსხვავებით, პატარა აღმართით თავდებოდა. სწორედ ამან გადაწყვიტა ყველაფერი.

**ფლავიო კარბონე**

როცა პელოტონიდან გაქცევის რამდენიმე მცდელობა მარცხით დამთავრდა, ყველა მეტიჩარა და ავანტიურისტი შეურიგდა აზრს, რომ მესამე ეტაპის ფინიში ერთობლივი იქნებოდა. ფინიშის სწორს, სპრინტერებისთვის არის ზედგამოჭრილიო, ნამდვილად ვერ დაარქმევდი, მაგრამ არც აღმართი ეთქმოდა. სულ რაღაც სამასი მეტრი იყო, თავსა და ბოლოს შორის ორპროცენტიანი დახრილობით, ანუ დაახლოებით ექვსმეტრიანი სხვაობით.

იმ მომენტში, როცა ველოსიპედისტთა ეს ამოდენა გუნდი აღმართს მოადგა, მე წინ ვიყავი. რამდენიმე გუნდმა სცადა თავთავიანთი სპრინტერების გაქანება, მაგრამ ბოლოს მაინც იმათ იმარჯვეს, ვისთვისაც აღმართები მშობლიური გარემოა. ფინიშთან პირველი სტეფანო გარძელი იყო, მეორე - ფრანჩესკო კასაგრანდე. სპრინტერებიდან მხოლოდ ალესანდრო პეტაკიმ შეძლო მთიელებისთვის კონკურენციის გაწევა.




*სტეფანო გარძელი გამარჯვებას ზეიმობს*

**ტექნიკური შედეგები**
**III ეტაპი.**
**პოლიკორი - ტერმე-ლუჯანე. 145 კმ.**

**1. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია) - 3 სთ. 34 წთ. 38 წმ.**
**2. ფრანჩესკო კასაგრანდე ("ლამპრე", იტალია) - +2 წმ.**
**3. ალესანდრო პეტაკი ("ფასა ბარტოლო", იტალია) - +2 წმ.**

**საერთო ჩათვლა**
**1. ალესანდრო პეტაკი - 13 სთ. 37 წთ. 08 წმ.**
**2. სტეფანო გარძელი –- +17 წმ.**
**3. ფრანჩესკო კასაგრანდე - +27 წმ.**
**.....................**
**7. ჯილბერტო სიმონი ("დომინა ვაკანზე", იტალია) - +32 წმ.**
**.....................**
**17. მარკო პანტანი ("მერკატონე უნო", იტალია) - +44 წმ.**
**.....................**
**23. დარიო ფრიგო ("ფასა ბარტოლო", იტალია) - +46 წმ.**

**ბოლო 10 წლის საუკეთესო მთიელები**
**1993 - კლაუდიო კაპუჩი (იტალია)**
**1994 - პასკალ რიშარი (შვეიცარია)**
**1995 - მარიანო პიკოლი (იტალია)**
**1996 - მარიანო პიკოლი (იტალია)**
**1997 - ხოსე გონსალესი (კოლუმბია)**
**1998 - მარკო პანტანი (იტალია)**
**1999 - ხოსე გონსალესი (კოლუმბია)**
**2000 - ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია)**
**2001 - ფრედი გონსალესი (კოლუმბია)**
**2002 - ხულიო პერესი (მექსიკა)**

ჩოგბურთი

# ჩოგბურთის ახალი პრინცესა

ნინო პირველი

რა უცნაური ხალხია ეს ჟურნალისტები, რაღას არ მოიგონებენ ხოლმე: ეს ჩოგბურთის გრაფინიაო, ჩოგბურთის დედოფალიო, სექს-სიმბოლოო. შტეფი გრაფს, სერენა უილიამსსა და ანა კურნიკოვას დღემდე შერჩათ ეს მეტსახელები. ახლა კი ყვითელი პრესა კიდევ ერთი სპორტსმენის ნათლია გახდა: 16 წლის მარია შარაპოვას უკვე ჩოგბურთის პრინცესას ეძახიან და ანა კურნიკოვას შემცვლელად თვლიან.

ცისფერთვალა და ქერათმიანი მარია 1987 წლის 19 აპრილს დაიბადა ციმბირში. შვიდი წლისა იყო, როცა ოჯახი ფლორიდაში გადავიდა საცხოვრებლად. მისგან რომ კარგი ჩოგბურთელი დადგებოდა, ეს პირველად მარტინა ნავრატილოვამ შენიშნა და მარიას მშობლებს ურჩია, გოგონა ნიკ ბოლეტიერის ჩოგბურთის აკადემიაში მიიყვანეთო. ნიკ ბოლეტიერის ჩოგბურთის გურუს უწოდებენ, ის თავის დროზე ბორის ბეკერსა და ანდრე აგასის წვრთნიდა. ტომი ჰაასმაც მას მიმართა ტრავმის შემდეგ, ანა კურნიკოვაც ვარჯიშობდა სამოცდაათ წელს გადაცილებულ სპეციალისტთან. ნიკ ბოლეტიერიმ მარია შარაპოვა უყოყმანოდ მიიღო და დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველა.

ჯერჯერობით მარია მხოლოდ ტიპური სლავური სილამაზით იქცევს ყურადღებას, მაგრამ სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ იგი ბევრს მიაღწევს და ანა კურნიკოვას მსგავსად მხოლოდ სექს-სიმბოლოს ტიტულს არ დასჯერდება. როგორც კი მარია ასპარეზზე გამოჩნდა, მაშინვე ყველა ანასთან მსგავსებაზე ალაპარაკდა. ისიც ცისფერთვალაა, ოქროსფერი ნაწნავი ამშვენებს, ზუსტად ისე, როგორც ანას. ახალი პრინცესას სიმაღლე 175 სანტიმეტრია, წონა - 51 კილოგრამი. სწორედ ამიტომ მარიას თავისუფლად შეუძლია, შოკოლადით და ნაყინით პირი ჩაიტკბარუნოს. ის ამბობს, რომ ჭკუას კარგავს ყველანაირ დესერტზე. მისი საყვარელი საჭმელი კი რუსული ბლინები და ხიზილალაა. მარია ჯერ კიდევ არ გამოსულა ბავშვობის ასაკიდან - სიამოვნებით კითხულობს საბავშვო წიგნებს, მაგალითად, ძალიან უყვარს "პეპი გრძელიწინდა", შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლებიც მოსწონს და ბენ აფლეკთან მეგობრობაზე ოცნებობს. დიდი კოლექციონერია - მარკებს აგროვებს. მისი ყველაზე დიდი ცოდვა კი მალაზიების სიყვარულია - მარიას ძალიან მოსწონს საყიდლებზე სიარული.

ჩოგბურთის პატარა პრინცესა თანდათან იმდენად პოპულარული ხდება, რომ ანა კურნიკოვას სერიოზული ბრძოლა მოუწევს საკუთარი კარიერის გადასარჩენად. მარიას ჯერჯერობით არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ანას შეადარონ და კურნიკოვას ასლი უწოდონ, მაგრამ მალე, ალბათ, ორიგინალის დაჯაბნასაც მოინდომებს. სხვათა შორის, ცოტა ხნის ანა და მარია ერთდროულად გამოდიოდნენ ჯორჯიის შტატის "სიი აილენდის" ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი მხოლოდ 25 ათასი დოლარია. ორივე ნახევარფინალში გავიდა და გულშემატკივრები დაძაბული ბრძოლისთვის მოემზადნენ, მაგრამ მოულოდნელად ანამ უარი თქვა თამაშზე - ტრავმა მოიმიზეზა. ნუთუ 72-ე ჩოგანს გამოუცდელ, მაგრამ ამბიციურ თანამემამულესთან თამაშის შეეშინდა? სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი უკან დახევა?

მარია ფინალში გავიდა და მოიგო კიდეც. ეს უკვე მესამე პატარა ტურნირია, რომელიც მარიას გამარჯვებით დასრულდა. ის ნელ-ნელა ქულებს აგროვებს და სარეიტინგო მდგომარეობას იუმჯობესებს. მალე მარია, ალბათ, უფრო დიდ წარმატებებსაც მიაღწევს, თუ, რა თქმა უნდა, ჩოგბურთის ერთგული დარჩება და კურნიკოვასავით გარეგნობის ხარჯზე არ გადაწყვეტს კარიერისა და ფულის კეთებას.



*მარია შარაპოვა*

ფოლიანტი

პაატა თოთაძე

### ჯეიმს ნეისმიტის აღმოჩენა

კალათბურთი, ალბათ, სპორტის ერთადერთი სახეობაა, რომლის დაბადების დრო და ადგილი ზუსტადაა ცნობილი. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახებ არაერთი წიგნი დაწერილა. ზოგი - ტყუილი, უმეტესობა - მართალი. და მაინც, ინფორმაციის სიუხვის მიუხედავად, უინტერესო არ იქნება, თვალი გადავავლოთ კალათბურთის დაბადებისა და მის პოპულარულ სახეობად ჩამოყალიბების ისტორიას.

1891 წელი. დეკემბრის დასაწყისი. მასაჩუსეტსის შტატი. სპრინგფილდის კოლეჯი. მოსწავლეებს ფიზკულტურის გაკვეთილზე შესვლა აღარ უნდათ. საშინლად მოსაწყენი და მოსაბეზრებელია ყოველდღე ერთი და იგივე ვარჯიშების შესრულება. ნუთუ სხვა არაფერი არსებობს, რითაც ფიზკულტურის გაკვეთილზე შეიძლება დაკავდეს მოსწავლე?

ამ თითქოს უიმედო მდგომარეობიდან გამოსავალს კოლეჯის ერთ-ერთმა მასწავლებელმა, ჯეიმს ნეისმიტმა მიაგნო. ნეისმიტმა ატმის ხის ტოტისგან შეკრული ორი რკალი (კალათი) კოლეჯის ფიზკულტურის დარბაზის მოპირდაპირე კედლებზე ჩამოკიდა. შემდეგ 18 მოსწავლე თანაბრად გაყო და მათ თამაში შესთავაზა. თამაშის არსი ის იყო, რომ კალათში რაც შეიძლება მეტი ბურთი უნდა ჩაგეგდო. წარმოიდგენდა კი იმ დროს ნეისმიტი, თუ რა დიდი მომავალი ელოდა მის გამოგონებას?

ბუნებრივია, იმდროინდელი კალათბურთი დიდად განსხვავდებოდა იმ სანახაობისგან, რასაც დღეს გულისხმობს თავის თავში ეს სახელი. სპორტსმენები ბურთს არ ატარებდნენ, ერთ ადგილას მდგომნი მხოლოდ ერთმანეთს უგდებდნენ და ცდილობდნენ, როგორმე კალათში ჩაეგდოთ, თანაც, უეჭველად ორი ხელით. შედეგიანი სროლის შემდეგ ქულამოპოვებული გუნდის ერთ-ერთი წევრი კედელზე მიყუდებულ კიბეზე ადიოდა, რათა ბურთი კალათიდან ამოეღო.

მომდევნო წლის თებერვალში წესების შესწავლისა და სათამაშო ტექნიკის დაუფლების შემდეგ სპრინგფილდის კოლეჯის მოსწავლეებმა კალათბურთის ისტორიაში პირველი "ოფიციალური" მატჩი გამართეს ასი მაყურებლის თვალწინ, რომელიც ფრედ 2:2 დასრულდა. თამაშმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ ჯერ კოლეჯის, შემდეგ კი უკვე ქალაქის გუნდებმა საჩვენებელი მატჩების გამართვა დაიწყეს. ახალი თამაში ასეულობით მოყვარულს იზიდავდა.



*ჯეიმს ნეისმიტი*

ახალ-ახალი გუნდების, შემდეგ კი უკვე ლიგების სტიქიურმა ზრდამ ის შედეგი გამოიღო, რომ სტუდენტებს ფიზკულტურის გაკვეთილებზე მხოლოდ კალათბურთის თამაში უნდოდათ, რომელსაც ამერიკულ ფეხბურთს და ბეისბოლს ამჯობინებდნენ. ახალგაზრდული ქრისტიანული ასოციაციის ჩინოვნიკები ყველანაირად ცდილობდნენ, სტუდენტები "სწორ გზაზე" დაეყენებინათ და კოლეჯებში კალათბურთის თამაშის აკრძალვა სცადეს.

ამ აკრძალვაში, სურვილის შემთხვევაში, დადებით მხარესაც დაინახავთ. სწორედ ფიზკულტურის დარბაზებში კალათბურთის თამაშის აკრძალვამ განაპირობა პირველი პროფესიული მატჩის ჩატარება (ფულზე). ეს მოხდა 1896 წელს, როცა ტრენტონის გუნდმა დარბაზის ქირის გადასახდელად მატჩზე დასასწრები ბილეთები გაყიდა. დარბაზის მეპატრონეებთან ანგარიშსწორების შემდეგ ტრენტონელებმა აღმოაჩინეს, რომ ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხიდან ნაწილი დარჩათ. დარჩენილი თანხა თანაბრად გაანაწილეს გუნდის წევრებს შორის. თითოეულს 15 დოლარი ერგო.

პირველ თამაშებზე საკუთარი გუნდის ფარს უკან მჯდომი მაყურებელი ხელს უშლიდა მეტოქეს ბურთის ჩაგდებაში – უბრალოდ, ხელს არტყამდა კალათში მიმავალ ბურთს. მოედნისგარეთა ჩარევებმა განაპირობა ის, რომ 1893 წელს ტრიბუნასა და კალათს შორის ფარი გაჩნდა. ცოტა მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ბურთის ჩაგდება კალათში ფარიდან უფრო ადვილი იყო, ვიდრე პირდაპირ. წლების განმავლობაში ცვლილებები განიცადა წესებმაც. 1894 წელს გადაწყდა, რომ წესების დარღვევა კალათიდან 4,57 მეტრის სიშორიდან საჯარიმო სროლებით უნდა დასჯილიყო. 1895 წელს თამაშიდან ჩაგდებულ ბურთზე ორი, საჯარიმოდან ჩაგდებულზე კი ერთი ქულის დარიცხვა დაიწყეს. მოედანზე მოთამაშეთა ლიმიტი 1897 წელს დაწესდა. საერთო აზრით, გუნდს მოედანზე ხუთ კალათბურთელზე მეტი არ უნდა ჰყოლოდა. თამაშის ასაჩქარებლად მოედნის გარშემო მავთულის ბადის შემოვლება გადაწყვიტეს. ამის წყალობით ბურთი მუდამ თამაშში იყო, თუმცა, ბადის სიახლოვეს ბურთისთვის მებრძოლი მოთამაშეებისთვის ტრავმის მიღების შანსი იზრდებოდა. ყველაზე მძაფრი დისკუსიები ბურთის ტარებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა. საბოლოოდ თამაშის მიმდევრები საერთო გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ და სხვადასხვა შტატსა თუ ქალაქში თამაშები განსხვავებული წესებით ტარდებოდა. ზოგან მოთამაშეს საერთოდ ეკრძალებოდა ბურთის ტარება, ზოგან ბურთის იატაკზე დაგდება მხოლოდ სამჯერ (ზოგან ხუთჯერ და რვაჯერ) შეიძლებოდა, ზოგანაც ეს შეზღუდვა საერთოდ არ არსებობდა.

მოკლედ

**კალათბურთი.** NBA-ში გრძელდება პლეი-ოფის მატჩები. "ნიუ-ჯერსი ნეთსი" გახდა პირველი გუნდი, რომელიც აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდა. ნახევარფინალურ სერიაში "ნეთსმა" პირწმინდად აჯობა "ბოსტონ სელტიკსს" და სერიაში 4:0 გაიმარჯვა. გადამწყვეტი მატჩის ოვერ ტაიმში ნიუჯერსელებმა 110:101 დაამარცხეს "სელტიკსი". გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო ჯეისონ კიდი (29, +10 მოხსნა, +8 გადაცემა). ბოსტონელთაგან კი პირსმა გამოიჩინა თავი (27, +10 მოხსნა, +7 გადაცემა).

**კალათბურთი.** NBA-ის ვარსკვლავს ალონზო მოურნინგს სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა დიდ კალათბურთში დაბრუნების უფლება მისცეს. შეგახსენებთ, რომ თირკმელების სერიოზული დაავადების გამო სახელოვანმა ცენტრმა მთელი შარშანდელი სეზონი გამოტოვა. მოურნინგის 105-მილიონიანი კონტრაქტი, რომელიც "მაიამი ჰიტის" შემადგენლობაში 7 წელიწადზე იყო გათვლილი, ზაფხულში იწურება და 1 ივლისს კალათბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. "ჩვენ ძალიან ვღელავთ. იმედით შევცქერით მომავალ სეზონს და მოუთმენლად ველით მოურნინგის მოედანზე დაბრუნებას", - განაცხადა კალათბურთელის აგენტმა.

**ფორმულა 1.** "რენოს" სპორტული დირექტორი ფლავიო ბრიატორე იმდენად მოიხიბლა ბარსელონის გრან-პრიზე ახალგაზრდა ესპანელი პილოტის, ფერნანდო ალონსოს ოსტატობით, რომ გუნდის მშენებლობას მის გარშემო აპირებს. ბრიატორესთვის ეს აპრობირებული მეთოდია. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა იგი "ბენეტონს" ედგა სათავეში, ანალოგიური ექსპერიმენტი მიხაელ შუმახერთან დაკავშირებითაც გააკეთა. შედეგად კი მსოფლიო ჩემპიონის ორი და კონსტრუქტორთა თასი მიიღო. "ჩვენ არ ვაპირებთ ალონსოს გაშვებას. "ფერარიც" კი ვერაფერს გახდება, თუ მის შეძენას მოისურვებს. ჩვენ ყოველთვის ვაფასებდით ალონსოს ტალანტს, ამიტომ გუნდის აღმშენებლობასაც მის გარშემო ვაპირებთ. ერთხელაც ის მსოფლიო ჩემპიონი გახდება. მე არ მინდა, ალონსო მიხაელ შუმახერს შევადარო, მაგრამ მისი რბოლის შემხედვარეს, ხანდახან ათი წლის წინანდელი ქრონიკა მახსენდება", - ამბობს ბრიატორე.

**ოლიმპიზმი.** გუშინ ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა დაიწყეს ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა. სულ დაიბეჭდა სამი მილიონი ბილეთი, რომლის მინიმალური ფასი 11 ევროა. ბილეთების სრული კომპლექტი კი 11 ათასი ევრო ღირს.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**
ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის
ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

გაზეთი 24 საათი

13.05.03 N-129

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება — MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები — MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## ბინები

### იყიდება

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

იყიდება კერძო სახლი ეზოთი და ავტოფარეხით მეტრო "ღრმაღელესთან" 61-56-58, 66-78-79.

იყიდება იზოლირებული 2-ოთახიანი იტალიურ ეზოში საკუთარი შესასვლელით, დიდუბეში. ფასი 10 000. 34 55 61

იყიდება 110 კვ.მ. 2-ოთახიანი მიშენებით, ავტოფარეხით და სარდაფით ბახტრიონზე. ფასი შეთანხმებით. 96 91 93

იყიდება ფოთში მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი ციტრუსოვანი 600 კვ.მ ეზოთი, გამოდგება როგორც სააგარაკოდ, ისე საცხოვრებლად. 93-27-82, 893-20-32-92.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ტელ: 23-70-91, 877 710590.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს 5%-ში, იპოტეკის წესით. ტელ: 23-70-91, 877 710590.

## მიწის ნაკვეთი

ასურეთში აგარაკი 1100კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლი, ელექტროგაყვანილობით, წყლით. ტ. 93-27-82, 893-20-32-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

გირავდება ბინა. 96 99 32, 95 33 93

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

## კომერც. ფართი

იყიდება კომერციული ფართობი დიღომში, ცენტრალურ გამზირზე. 98-83-75.

## მანქანები

### იყიდება !

ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68

იყიდება "რენო-ლაგუნა" 1994 წლის, სრული ელპაკეტით და კლიმატკონტროლით, ძრავი 3,0 კუბ.მ. 899 95-68-67.

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

## სხვადასხვა

ვისესხებ. 96 99 32, 95 33 93

შევიძენ "სონის" სათამაშო კომპიუტერს. 75-40-89.

**შევიძენ "ლაი-ლაის" სიმ ბარათს.**
**ტელ: 893 319288**

**ორგანიზაცია შეიძენს 60 ცალ გენერატორს HONDA-ს მარკის 2,5 კვ. შეთევაზება მოგვაზოდეთ 15 მაისამდე. ტელ: 98 22 04.**

# TV პროგრამა 14 მაისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.40 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
19.00 სერიალი „მაშველები"
19.45 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა. „იუვენტუსი"-"რეალი"
02.00 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
10.15 მხ. ფილმი „გადაძახილი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 „გლობუსი"
15.15 მხ. ფილმი „საგანგებო მდგომარეობა 2"
16.45 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.05 50-50
17.40 „რეალური სამყარო"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.15 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 „მათი შვილები" (მაია ჯიბლაძე)
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?!"
23.55 მხ. ფილმი „განყენების მომენტი".

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ძაღლების პარკი" მთ.რ-ში ნატაშა ჰენსტრიჯი.
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 პროფათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 ფილმი ბრავო „აგენტი „ჭრიჭინა" მთ.რ-ში ჯერემი დეივისი.
01.40 ფილმი ღამურა „ვამპირთა ღამე" მთ.რ-ში კერი სმიტი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 მხ. ფილმი „წითელი მზე"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „სკარლეტი" მე-2 ნ.
15.00 მხ. ფილმი „მოჩვენება და ბნელეთი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „თავგადასავლების მეფე"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი"

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „ფორმულა 51"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „პროფესიონალი"
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „ტალღის ქიმზე"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ახალი ჭიანჭველები შარვალში"
01.30 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.55, 17.50, 18.50, 19.50, 21.50, 23.55 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები"
12.45 მხ. ფილმი „დროის განაჩენი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „102 დალმატინელი"
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „ლიბერეისი მუსიკის მიღმა"
00.20 მხ. ფილმი „კონდორის სამი დღე"

### იმედი

17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
17.10, 00.15 იმედის მელოდიები
18.00, 20.57, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.25 „არტ-ბულვარი"
19.50 ფანების კინოკლუბი „ოპერაცია „მოთუშული ხორცი" (ჟ. რენო)
21.00 ფანების კინოკლუბი (გაგრძელება)
22.45 სერიალი „გაიხსენო ყველაფერი"
23.40 „არტ-ბულვარი"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 ისტორიული ფილმი „გაუნტი"
11.15 „რა არ ხდება"
11.25 დოკუმენტური ფილმი „რემბრანდტი"
12.10 თრილერი „სამურაების ბრძოლა"
14.05 ჩარლი ჩაპლინის ფილმი „ლომბარდი"
14.30 კომედია „ბატონი შეცდომა"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „გემები"
17.30 „ქართული კინო"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.30, 22.40 „პრესდაიჯესტი"
19.35 დოკუმენტური ფილმი „სალამაზისა და ჰარმონიის სამყარო"
20.25 კომედია „წვრილმანი თაღლითები"
22.50 მუსიკა (ქართული ესტრადა)
23.00 „ალტერნატივა"
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 დრამა „ზღვაში ჩაძირულნი"
03.40 მელოდრამა „მოხეტიალე ვარსკვლავები"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 კომპიუტერული ტექნიკა
12.45 „ბიორითმი" - .
13.05 მობილურები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.10 კომპიუტერული თამაშები
14.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.40 მობილურები
20.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.45 „კინოკლუბი „ - „დიდიე". კომედია. რეჟ: ნიკოლ ფირმი, როლებში: ალენ შაბატი, იზაბელ ქელინა
00.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.05 „ბიორითმი"

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Детектив „Женская логика 2", 2 с.
12.05, 17.25, 00.55 „Фабрика звезд 2"
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе"
13.15 Худ.фильм „Пропавшая экспедиция", 1 с.
14.40 „Непутевые заметки"
15.00 „Индийские касты"
15.30 „Танк Т-34". „Оружие победы"
16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского", 2 с.
17.55 „Большая стирка"
19.25 „Смехопанорама"
21.00 „Слабое звено"
22.00, 00.30 Время
22.40 Комедия „Серебряная свадьба", 1 с.
23.45 Док.сериал „Спецназ". „Бронепоезд XXI века"
01.10 „Если завтра на Марс..."
01.40 „Русский экстрим"
02.10 „Апология"
02.10 Сериал „Пришелец"

### РТР

07.45 „Доброе утро, Россия!"
08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00 Вести
10.45 Сериал „Идиот"
11.45 Сериал „Люди и тени 2"
12.45 Вести. Дежурная часть
13.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
14.20 Мелодрама „Перекрестки"
15.15, 18.45 „Экспертиза"
15.30 „Москва-Минск"
15.45 Вести - Москва
16.20 Ток-шоу „Что хочет женщина"
17.10 Сериал „Трое против всех 2"
18.15, 05.30 „Агентство одиноких сердец"
19.20, 21.50 Вести. Дежурная часть
19.50, 04.25 „Дорожный патруль"
20.05 Вести - Спорт
20.20, 22.30 Местное время. Вести - Москва
20.50 Сериал „Комиссар Рекс"
22.50 „Спокойной ночи, малыши!"
22.55 Сериал „Идиот"
23.55 Сериал „Люди и тени 2"
01.00 Ток-шоу „Вести+"
01.30 „Мне снится русский снег"
02.20 Детектив „Заряженные смертью"
04.40 Сериал „Твин Пикс"

### НТВ

07.00 „Утро" на НТВ
09.50 Сериал „Ребята из нашего города"
11.00 „Сегодня утром"
11.25 Док. драма „Преступление и наказание"
11.55 „Кулинарный поединок". „И на море, и на суше"
13.00, 16.00, 20.00, 01.40 „Сегодня"
13.35 Детектив „Золото Югры", 2 с.
14.45 Криминал
15.00 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип домино". „Весенний призыв. Год спустя"
18.30 Сериал „Скорая помощь"
19.25 „Чистосердечное признание"
20.40 Сериал „Ребята из нашего города"
21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3", 3 с.
23.00 „Страна и мир"
23.35 Футбол. Лига чемпионов. „Ювентус" (Италия) - „Реал" (Испания)
02.05 „Гордон"
03.00 Сериал „Доктор"
03.50 „Ночь"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# აფიშა

## კლუბები

**კლუბი „სარდაფი„**
მოძრაობის თეატრი, ერთმოქმედებიანი დრამატული ცირკი "მიმიკრია",
რეჟ: კახა ბაკურაძე
დას: 20:00

## თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
"კოპელია"
დას: 18:00 სთ

**თეატრალური სარდაფი**
"ახალგაზრდები", რეჟ. დიმიტრი ღვთისიაშვილი (პრემიერა)
დას: 20:00 სთ, ფასი 5 ლარი

**გრიბოედოვის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი "კაცია ადამიანი?! რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18.00 სთ, ფასი 1,50-5 ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
ნანული აბესაძის კონცერტი
დას: 19:00, ფასი 4-7 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
გაბრიელ გარსია მარკესი, "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე;
მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

## გალერეები

**ეროვნული გალერეა**
ედმუნდ კალანდაძის პერსონალური გამოფენა
გახსნა: 15:00

**„არტ-ორიენტი„**
"აბრეშუმის გზა"

**გალერეა New Art**
New Art-ისა და "კოდაკის" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულთა გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
80-იანელთა ნამუშევრების გამოფენა

### საერთაშორისო გამოფენა Appendix-ის პროგრამა

**„ქარვასლა„**
ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოლოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა

**აბრეშუმის ფაბრიკა**
Schweizer Int.

**დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები

**„კლუბი 22„**
იოჰან გრიმონპრე

**9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"

**გალერეა „არტ-სინთეზი„**
სტივენ ბლუმი

**საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"აგენტი ჯონი ინგლისში"
დას: 14:00, ფასი 5-6 ლარი; 16:00, 20:00, ფასი 7-8 ლარი
"საათები"
დას: 18:00, 22:00, ფასი 7-8 ლარი

**„ელისო„**
"ცისფერი კრუიზი"
დას: 15:00, ფასი 5 ლარი; 19:00, ფასი 7 ლარი
"მზის ცრემლები"
დას: 17:00, ფასი 5 ლარი; 21:30, ფასი 7 ლარი

**„რუსთაველი„**
"მზის ცრემლები"
დას: 15:00, 19:00, ფასი 5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, ფასი 5 ლარი; 21:30, ფასი 9 ლარი



# მუსიკა 24 საათის განმავლობაში

ირაკლი მახარაძე

დაახლოებით 8-9 წლის წინათ ერთ სატელევიზიო არხზე ვიჭერდით ინდურ MTV-ს. სხვა არჩევანი არ იყო, ამიტომაც ჩემი ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ ამ პროგრამის დაწყებას. იქ ინდური სიმღერების გარდა ბლომად იყო თანამედროვე მუსიკის ნიმუშები და როგორც MTV-ს შეეფერება ექსტრავაგანტული ინდოელი წამყვანიც. იგი, როგორც წესი და რიგია, თხოვდა მაყურებელს მიეწერა მისთვის და მოეთხოვათ საყვარელი სიმღერა. ჩემმა გოგონებმაც არ დააყოვნეს, გააშანშალეს უზარმაზარი წერილი და ფაქსით გადაუგზავნეს. მალე დაიწყო პროგრამა და არ დამავიწყდება წამყვანის გაკვირვებული სახე, რომელსაც ვერ გაეგო საიდან და რატომ წერენ ასეთი გადაკარგული ადგილიდან მას წერილს. თუმცა, თხოვნა შეუსრულა და ბავშვები ძალზე კმაყოფილები დარჩნენ. სულ მალე შესაძლებელი გახდა ევროპული და ამერიკული MTV-ს მიღება, მაგრამ ბავშვებს ყველაზე კარგად ის ინდური დაამახსოვრდათ.

MTV უკვე ოც წელიწადზე მეტი ხანია, რაც ეთერში გადის და მილიონობით თაყვანისმცემელი ჰყავს, რომელიც როგორც ჩანს, არასოდეს გამოელევა, რადგან იქ ყველა თაობისათვის (განსაკუთრებით კი მოზარდებისათვის) არის მათი ასაკის შესაფერისი მუსიკა. ეს ეხლაა MTV ჩვეულებრივი მუსიკალური არხი, რომელსაც სხვა მიმბაძველ-მიმდევრები გამოუჩნდნენ, თორემ ამ ორი ათეული წლის წინათ, როცა ამ არხის ჩამოყალიბებაზე ფიქრობდნენ, ბევრს სიცილად არ ჰყოფნიდა ის იდეა, რომ 24 საათი განმავლობაში ერთ არხზე იტრიალებდა მუსიკა და მას მაყურებელი ეყოლებოდა. მაგრამ სკეპტიკოსები მოტყუვდნენ, აღმოჩნდა რომ ასეთი არხის მოყვარულნი მილიონები არიან. MTV-ის დამაარსებელი რობერტ პითმანი მართალი აღმოჩნდა, როცა არხის პრეზენტაციაზე აღნიშნა:" MTV იდეალური ფორმატია დღევანდელი ახალგაზრდებისათვის, იმიტომ რომ ის აერთიანებს ორ გასართობ ფორმას, რომელზეც ისინი გაიზარდნენ: როკ-მუსიკა და ტელევიზია." მართლაც, იმ დროისათვის, როცა MTV გამოჩნდა, ამისთვის უკვე მზად იყო ის აუდიტორია, რომელსაც სახლში ორი გასართობი ჰქონდა: ტელევიზორი და როკ-მუსიკა, მაგრამ ეს ორი ფორმა საკუთარი გზით ვითარდებოდა და მათი გზები იშვიათად თუ იკვეთებოდა, თუ იყო ასეთი შემთხვევები, მათ წარმატება არ ჰქონიათ. MTV-მ ეს ორივე გააერთიანა და დაიბადა სხარტი და აგრესიული კლიპები, რომელიც აცნობდა მაყურებელს ძველ და ახალ შემსრულებელს და აგრეთვე რეკლამის როლსაც ასრულებდა.




ეს იდეა ახალი არ ყოფილა, რადგან ჯერ კიდევ მუნჯი კინოს პერიოდში კინოფილმებს აჩვენებდნენ პიანინოს ან კიდევ მთელი ორკესტრის თანხლებითაც (როგორც ეს მოხდა დეივიდ უორქ გრიფითის ფილმის "ერის დაბადება" (1915 წელი) ჩვენებისას). ამით ცდილობდნენ, რათა ვიზუალური მხარე უფრო გაეცოცხლებინათ და, რა თქმა უნდა, იმდროინდელი აუდიტორიისათვის ეს ეფექტური სანახაობა იყო. ფილმის გაშვების წინ კინოთეატრის მფლობელებს ურიგდებოდათ პარტიტურა, სადაც აღნიშნული იყო თუ სად რა მუსიკა უნდა დაკრულიყო, სასიყვარულო, ჩხუბის თუ დევნის ეპიზოდის შესაბამისად. პირველი ხმოვანი ფილმი "ჯაზის მომღერალი" (1927) სინამდვილეში იყო მუნჯი ფილმი, შიგ ჩასმული ხმოვანი, მუსიკალური ეპიზოდებით ანუ კლიპებით, როგორც ახლა ვეძახით მას.

გასული საუკუნის 20-იან წლებში უკვე ვხვდებით კლიპების წარმოების შემთხვევებსაც. გერმანელი რეჟისორი ოსკარ ფიშინგერი იღებდა მოკლემეტრაჟიან ფილმებს, სადაც აბსტრაქტულ-გეომეტრიული ფიგურების მოძრაობა სინქრონიზებული იყო კლასიკურ და ჯაზურ მუსიკასთან. მათ უშვებდნენ კინოთეატრებში (ჯერ გერმანიაში და შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში) სეანსის წინ და ეს ფილმები რეკლამას უწევდნენ საკუთრივ მუსიკას, მათ ავტორებსა და გრამფირფიტების მწარმოებელ ფირმას.

40-იან წლებში გამოჩნდა მუსიკალური აპარატები, რომლებიც ე.წ. "ჯუქბოქსის" მსგავსად მონეტის ჩაგდებით ირთვებოდა და, როგორც წესი, იდგა ბარებში, რესტორნებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში. მაგრამ "ჯუქბოქსისაგან" განსახვავებით ამ დანადგარის მეშვეობით შეიძლებოდა არა მარტო მუსიკის მოსმენა, არამედ შემსრულებლის ნახვაც ჩამონტაჟებულ პატარა ეკრანზე. სპეციალურად ამ აპარატებისათვის იღებდნენ ცნობილ მუსიკოსებს, მათ შორის ბინგ ქროსბის, ლუი არმსტრონგს და სხვებს. ხანდახან ამ კლიპებში სიუჟეტისმაგვარიც გაკრთოდა, მაგრამ უმთავრესად მომღერალი ზღვის ან ტყის ფონზე დამდგარი პირდაპირ კამერაში მღეროდა. ამ აპარატებს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერათ და 50-იან წლებში არსებობა შეწყვიტეს, რადგან ეს ძალზე რთული მექანიზმი იყო, წამდაუწუმ რემონტი ესაჭიროებოდა და თანაც ტონაზე მეტს იწონიდა. თუმცა, მისთვის გაკეთებულ ჩანაწერებს მაინც უშვებდნენ კინოთეატრებში ფილმების წინ და აგრეთვე ტელევიზიაში.

მომდევნო წლებში ხმის ჩამწერი კომპანიები სარეკლამო მიზნებისათვის იღებდნენ ჯგუფისა თუ შემსრულებლის სიმღერას და აჩვენებდნენ ტელევიზიის არხებზე. მაგრამ ამერიკულ აუდიტორიას მუსიკის მოსმენა ცოცხალი შესრულებით უყვარს, ამიტომაც ამ მუსიკალურ რგოლებს უმთავრესად უშვებდნენ ევროპაში, სადაც ამერიკული როკ-ჯგუფები იშვიათად აწყობდნენ კონცერტებს, და ამიტომ ევროპელები მზად იყვნენ ნებისმიერი სახით მოესმინათ როკი. ამ მუსიკალურმა ვიდეორგოლებმა ნელ-ნელა პოპულარულობა მოიხვეჭა, ამას დაერთო კაბელური ტელევიზიების მომრავლება და ვიდეომაგნიტიფონების მასიურად შემოჭრა, სტუდიები უკვე ცდილობდნენ რათა არა მარტო სცენაზე გადაეღოთ მომღერლები, არამედ მუსიკალური და ვიზუალური მხარე ერთმანეთთან სიუჟეტურად დაეკავშირებინათ. 1975 წელს ინგლისურმა ჯგუფმა Queen-მა გამოუშვა სიმღერა Bohemian Raphsody- ის ვიდეოკლიპი, იგი მხოლოდ ერთხელ აჩვენეს ბრიტანულ პოპულარულ გადაცემაში Top of the pops და ერთი კვირის შემდეგ მათი დისკი ინგლისში ნამდვილ ჰიტად იქცა. Bohemian Raphsody ითვლება პირველ კლიპად, რომელმაც იმოქმედა დისკების გაყიდვაზე, რაც ახლა ჩვეულებრივი საქმეა. ბევრი მომღერალი სახელს ვიდეოკლიპების მეშვეობით იკეთებს ხოლმე, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში ტრიალებს MTV-ზე და სხვა არხებზე. ჩვენთანაც თითქმის იგივე ხდება ოღონდაც ბევრად უფრო მცირე და ლოკალური მასშტაბით, მაგრამ ერთი თვალშისაცემი გამონაკლისით, აქ, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა სივრცეში, ხელოვნებასთან და მუსიკასთან მწყრალად მყოფი სხვადსხვა უამრავი ვაიმომღერლის ვარსკვლავი აენთო (საბედნიეროდ, ასევე მალე ჩაქრა). უშუალო მოწმეებისაგან მაქვს მოსმენილი, თუ რა ვაივაგლახით და ტანჯვით წერდა სტუდიაში ერთი საკმაოდ პოპულარული ქართველი მომღერალი სიმღერებს, როგორ ქაჩავდნენ ხმის ოპერატორები და "კომპიუტერშიკები" მისგან თითოეულ ნოტას, და ერთი სიმღერის ჩაწერა გრძელდებოდა კვირეების მანძილზე (!) ამიტომაა, რომ ჩვენი ბევრი "ვარსკვლავი" სიმღერას მხოლოდ ფონოგრამის ქვეშ ამჯობინებს, რადგან სხვანაირად არც შეუძლია. ჩვენთან ბევრმა ვერ შეიგნო, რომ სუფრაზე და სცენაზე სიმღერა ეს კარდინალურად განსხვავებული რამაა, და მომღერლის ჩამოყალიბებისთვის მარტო ფული არ კმარა. თანაც ამას დაუმატეთ არაბუნებრივი მოთენთილობა (უმდიდრესი ენერგიული ქართული მუსიკალური ფოლკლორის პატრონებს), თითქოს ერთი და იმავე ავტორის მიერ დაწერილი სიმღერები, აშკარა პლაგიატია და მიიღებთ თანამედროვე ქართული ესტრადის ვარსკვლავს (ეროვნული კლიპების ავკარგიანობაზე არაფერს ვამბობ). ქართულ "პოპსას" როცა ვუსმენ, ერთი რუსული ანეგდოტი მახსენდება: ნარკომანი ბრუნდება სახლში, მას ხვდება მისი ძაღლი, ნარკომანი მიეფერება და ეტყვის - Полай, пожалуйста - ძაღლი ძლივს დააღებს პირს - лай, лай, лай.. სამწუხაროდ, ასეთი მუსიკა მსმენელს გემოვნებას უქვეითებს და არა პირიქით...

ეს, ასე ვთქვათ, ლირიკული გადახვევა იყო, რაც შეეხება MTV-ის, 70-იანი წლების ბოლოს უკვე ყველა წინაპირობა იყო ამდაგვარი მუსიკალური არხის შესაქმნელად, რისი გაკეთებაც არ დააყოვნეს შორსმჭვრეტელმა და გამჭრიახმა ადამიანებმა. დღეს, ალბათ, ძნელია მონახო ისეთი ჟანრი, როგორც მუსიკალური კლიპია, რომელიც ერთდროულად იქნება ასე პოპულარული და ექსპერიმენტალური. ვიდეოკლიპებმა დიდი გავლენა იქონია ჰოლივუდზე და საერთოდ კინემატოგრაფზე, მისი სწრაფი და ნაგლეჯი მონტაჟი ამ არხზე გაზრდილ ბევრი ახალგაზრდა კინემატოგრაფისათვის ამოსავალ წერტილად იქცა, თუმცა ეს ხშირად არ ამართლებს, ასეთ რიტმს 3-5 წუთიანი კლიპი უძლებს, მაგრამ ორსაათიანი ფილმი - არასოდეს. ვიდეოკლიპების შექმნაში ბევრი ცნობილი რეჟისორი მონაწილეობს - მარტინ სქორსეზე თუ ჯონ ლენდისი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. როგორც ცნობილმა პოლ შრედერმა 1983 წელს აღნიშნა: "მუსიკალური ვიდეოკლიპები ყველაზე გამაჯანსაღებელი სიახლეა ხელოვნებაში, რომელიც აძლევს რეჟისორებს საშუალებას, დახვეწონ საკუთარი ვიზუალური შესაძლებლობანი".



MTV ჩანაწერების გაყიდვას უწყობს ხელს



პირველი ხმოვანი ფილმი "ჯაზის მომღერალი"


"Queen" კონცერტზე

# ცეკვის გიჟი - მორის ბეჟარი

*ფილოსოფოსი გასტონ ბერჟერის ვაჟიშვილი მორისი, მარსელში, თავის მშობლებთან ერთად ერთ მოცუცქნულ ოთახში ცხოვრობდა და ყოველ საღამოს დივანზე წამოწოლილი მოთმინებით ელოდებოდა როდის წავიდოდნენ მამამისის "აბეზარი" სტუმრები, რომლებიც გაუთავებლად ფილოსოფიაზე ბაასობდნენ. მაშინ, პატარა მორისს ეს "ფილოსოფია" აღიზიანებდა და ერთი სული ჰქონდა როდის დაიძინებდა. ომის შემდეგ, მორისი პარიზში გაემგზავრა ცეკვის სასწავლებლად, შემდეგ – გერმანიაში, ინგლისში და შვედეთში, სადაც ქორეოგრაფ ბირგიტ კულბერგთან სწავლობდა და იქვე დადგა ბალეტები – "გაზაფხულის სიწმინდე" და "ბოლერო". ამის შემდეგ კი იაპონიაში ამოყო თავი. სწორედ ცივილიზაციების ამ მრავალფეროვნებამ განსაზღვრა და გაამდიდრა მისი შემოქმედება. ცეკვის პრიორიტეტი ხომ ის გახლავთ, რომ არც თარგმანი და არც სუბტიტრები არ სჭირდება, როგორც თეატრალურ წარმოდგენას. იგი ყველა ქვეყნის და ყველა რასის წარმომადგენლებისთვის ერთნაირად გასაგებია. და ვის, თუ არა მორის ბეჟარს ძალუძს საბალეტო ხელოვნებაზე საუბარი, მას, ვინც ნახევარი საუკუნის მანძილზე ბალეტში კონცეპტუალური რევოლუცია მოახდინა და ბალეტი თანამედროვეობისთვის უმთავრეს ხელოვნებად დასახა. თავისი დადგმებით მან შექმნა სამყარო, სადაც ნიცშე, მალარმე, ბოდლერი და მოლიერია გადაჯაჭვული, სადაც არსებობის ბედნიერებას და ტანჯვას გადმოსცემენ. წინამდებარე წერილში ბეჟარი ბეჟარის ბალეტის შესახებ მოგვითხრობს.*

ნათია ვადაჭკორია

### თანამედროვეობიდან კლასიკამდე

კლასიკა ისაა, რასაც კლასში სწავლობენ. თუმცა, კლასიკურია თუ თანამედროვე ბალეტი, რა მნიშვნელობა აქვს? ორივე ცეკვაა და მორჩა. ეხლა, როცა ეს სასაცილო XX საუკუნე დასრულდა შემიძლია ვთქვა, რომ თუ გასული საუკუნის ბალეტის ისტორიაში რაიმე წვლილი შევიტანე, ის გახლავთ, რომ ბალეტი ელიტარული სამრეკლოდან გამოვიტანე და ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი გავხადე. დიდი ხნის მანძილზე ცეკვა დაუდევრად იყო უგულებელყოფილი, თეატრმა კი, XVI და XVII საუკუნეებში შექსპირით, კალდერონით, მოლიერით და რასინით, თავის აპოგეას მიაღწია. XVIII საუკუნეში ახალი ფილოსოფიის, XIX-ში სოციალური რომანის ჯერი დადგა, XX–ის მისადგომებთან – კინოსი... ცეკვა სადღაა? - დაავიწყდათ... დაივიწყეს ეკატერინე მედიჩის მიერ დაარსებული კომიკური ბალეტი, დაივიწყეს, რომ ლუი XIV არა მხოლოდ სამეფო კარზე ცეკვავდა, არამედ სახალხოდაც. ტუილრიში ღამის საბალეტო წარმოდგენები იმართებოდა.

ამ მივიწყების შედეგი ის გახლდათ, რომ ცეკვა ხელოვნების სხვა დარგების ბორტს მიღმა აღმოჩნდა და მხოლოდ ბალეტომანებისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

პირველი მნიშვნელოვანი ცვლილება 1910 წელს რუსული ბალეტის გამოჩენამ გამოიწვია, პარიზის თეატრები ისევე გადაიჭედა, როგორც ერნანის წარმოდგენების დროს. რუსულმა ბალეტმა ხელოვნებაში რევოლუცია მოახდინა და შესაძლებელი გახადა სტრავინსკის, დებიუსის, რაველის წარმოჩენა. 1950-60 წლებში იმ გზებს ვეძებდი, რომელსაც ჟან ვილარმა მიაგნო თეატრისთვის ჟერარ ფილიპთან, ჟანა მოროსთან, მარია კაზარესთან ერთად. ღია ხელოვნება, ერთი შეხედვით ძნელად აღსაქმელი, მკაცრი, რომელიც ფართო პუბლიკისთვის იყო მიმართული.



"შესანიშნავი მანდარინი"

ომის შემდეგ, როცა პარიზში ჩამოვედი, 18 წლის ვიყავი, მაშინ ოპერის თეატრში ბალეტის საღამოებს მხოლოდ ოთხშაბათობით მართავდნენ. მართლაც, კარგი სანახავი იყო მარკიზ დე კუევასი ან როლან პეტი, რომელთაც "ახალგაზრდა კაცი" და "სიკვდილი" დადგეს. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. 1964 წელს პირველმა დავდგი "IX სიმფონია", რომლის წარმოდგენა დიდ დარბაზშიც და ღია ცის ქვეშ ერთნაირად შეიძლებოდა. 1967 წელს შევქმენი "აწმყო დროის მესა", რომლის წყალობით ცეკვამ ავინიონის ცნობილ ფესტივალზე ადგილი დაიმკვიდრა.

### ის, რაც არც ისე ნათელია...

მეუბნებიან ხოლმე: "შენი ბალეტის სანახავად მოვედი, მაგრამ ვერაფერი გავიგე". ამაზე ვპასუხობ: "კი მაგრამ გასაგებიც არაფერია!" ცეკვა ისევეა, როგორც აბსტრაქტული მხატვრობა, ვიზუალური შოკი და ემოცია. ან გრძნობთ რამეს ან ვერაფერს - ან გიყვართ ვინმე, ან არა.

როგორც ქორეოგრაფი ჯორჯ ბალანჩინი ამბობდა, მაყურებელი ელის საკუთარი ისტორიის გაგებას. პირველი სპექტაკლი რომ დავდგი პიერ ჰენრის საკმაოდ რთული მუსიკით - "მარტოხელა მამაკაცის სიმფონია", რეალური ამბავი ნამდვილად არ იყო, ჩემდა გასაკვირად ყოველ საღამოს მესმოდა – "მე გავიგე თქვენი ბალეტის შინაარსი!" და ყოველ ჯერზე სხვადასხვა ვერსიას ვისმენდი, რაც სინამდვილეში ფიქრადაც კი არ გამივლია. ბალეტის ფორმებს ჩემთვის კი არ ვთხზავ, არამედ იმათთვის, ვინც მასში საკუთარ ისტორიას ამოიცნობს და გაითავისებს.

### სარკის გამოსახულების შეგრძნება

მეზიზღება სარკეები, მოცეკვავეზე უკეთ მას არავინ იცნობს. სარკე, ისევე როგორც იატაკი და ძელი, მოცეკვავისთვის აუცილებლობაა. სარკე არასდროს ამბობს სიმართლეს და მხოლოდ იმას გვიჩვენებს რისი დანახვაც ჩვენ გვინდა. როგორც კოკტო ამბობდა – "სანამ გამოსახულებას გვიჩვენებდეს სარკემ ცოტა ხანს უნდა იფიქროს".

### ბალეტის კონცეფცია

ჩემთვის კონცეფცია ყოველთვის საიდუმლოებითაა მოცული, ყოველთვის რაიმე ელემენტიდან, იდეიდან ან ემოციიდან გამოვდივარ. ეს შეიძლება იყოს სრტავინსკის მუსიკა "გაზაფხულის სიწმინდისთვის", თეატრალური თემა "რომეო და ჯულიეტასათვის", რომელიმე პერსონაჟი (ბოდლერი, მალრო), სკულპტურა ("ტეკი"), პოლიციური ინტრიგა ("კონკური"), მეგობრობა და სხვა. ასე ვქმნი ბალეტს, ეს არის ხელობა...

### ხელობა...

წინათ ხელობის სასწავლად ხელოსანს მიებარებოდნენ ხოლმე, ხელოვანები კი ხელოვნებას კლავდნენ საკუთარი "შედევრების" შექმნით და მათზე საკუთარი ხელწერის დატოვებით. თავის დროზე არავის მოუწერია ხელი ტაძრებზე და პირამიდებზე! დღეს მთავარი ნაწარმოები კი არ არის, არამედ მასზე ხელის მოწერა. ზოგიერთი საბალეტო დადგმა იმიტომაც არის ნაცოდვილარი, რომ ხელოსნობის შედეგი არ არის.

### ბალეტის გაფუჭება...

ბალეტში მთავარი ქორეოგრაფია კი არ არის, არამედ მოცეკვავე. საოცარი სწორედ მოცეკვავის სულის და შინაგანი სამყაროს აღმოჩენაა. როცა ნურიევისთვის ან პლისეცკაიასთვის ვქმნი ბალეტს, ვცდილობ ინტერპრეტირება მოვახდინო და ამგვარად დალუპვისთვის განწირული ბალეტი შეიძლება ინტერპრეტირებამ გადაარჩინოს. ბალეტი მოცეკვავეებთან და ქორეოგრაფთან ერთად იქმნება, როგორც სიყვარული. ცეკვა მოცეკვავის გარეშე არ არსებობს, როგორც სიყვარული არ არსებობს იმ პიროვნების გარეშე რომელიც გიყვარს.

### სიწმინდე...

თუ ცეკვას სიწმინდის ნატამალი არ გააჩნია, ცეკვა აღარ არის! სიწმინდე სიმართლეა, აუცილებლობაა, ცეკვის მიზანია! ვინც რელიგიური არ არის, ისინიც კი გრძნობენ სხეულის და სულის კავშირს. ღმერთის ძიება ღვთიურ საწყისთან შერწყმას ნიშნავს. როგორც ნიცშე ამბობდა – "მხოლოდ ის ღმერთი მწამს, რომელმაც ცეკვა იცოდა..."

ცეკვა ტანვარჯიში ან ვირტუოზულობის სავარჯიშო არ არის, ცეკვა სინათლეა, რათა რაღაც მთავარი აღმოაჩინო შენში.

### სიკვდილის თემა

ჩემს დადგმებში, მართლაც, ფიგურირებს სიკვდილის თემა, 7 წლის ვიყავი, როდესაც დედა დავკარგე, ჩემი ორი ძმაც დაიღუპა, ბევრი საყვარელი ადამიანი დავკარგე და ვიტანჯე. რაიმე ფასეულის დაკარგვა დიდი შოკია და ტანჯვას იწვევს.

### ბეჟარის სამყარო...

ჩემთვის ყოველი ბალეტი ერთად ერთია, როგორც სიყვარულის ისტორია. როცა აფიშას ვუყურებ საკუთარ თავს კითხვას ვუსვამ - ვინ არის ბეჟარი? 50-იანი, 80-იანის თუ 2000 წლის მამაკაცი? დღეს სხვა ვარ ვიდრე წინათ. ჩემი ცხოვრება ზიგზაგის მეტი არაფერია1 ერთხელ მარტა გრეჰემმა მითხრა –" ხელოვანი ისევეა, როგორც ორფეოსი და ევრიპიდე". როგორც კი შებრუნდება, მაშინვე ქრება. შემქმნელი თავის უკან არასდროს იხედება". რაც უფრო წინ მივიწევ, მით უფრო მიჩნდება მუშაობის სურვილი. ცეკვა ჩემი ცხოვრებაა და ერთადერთი სურვილი – ცეკვა! ცეკვა! ცეკვა!

# პატარა ჯადოქრის პატარა პორტრეტი

დღეს სულ რამდენიმე ხელოვანის დასახელება შეიძლება, რომლებსაც არც მოდის ჭირვეულობა ეხებათ და არც მარკეტინგი. ისინი იმდენად ორიგინალურნი არიან, რომ მაყურებელთან ყოველთვის წარმატებით სარგებლობენ. მათ რიცხვს ბიორკიც მიეკუთვნება, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ისლანდიელი ქალი. ათწლეულზე მეტია, მას მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა ჰყავს მონუსხული. მომღერალმა, კომპოზიტორმა და მსახიობმა, პატარა ბიორკმა, მსოფლიოს სრულიად განსაკუთრებული, თავისი საკუთარი სამყარო გააცნო.

ამ პატარა ქალის მუსიკალური კარიერა მისი პირველი სოლო ალბომით, "დებიუტით" (1993) არ დაწყებულა. ბიორკმა პირველი ჩანაწერი მაშინ გააკეთა, როცა 11 წლის იყო.

თავიდან მივყვეთ. მისი სრული სახელი ბიორკ გუდმუნდსდოტირია. მან მთელი ბავშვობა ჰიპების კომუნაში გაატარა, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ და სადაც მუსიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 13 წლის გოგონამ თავისი პირველი ჯგუფი Exodus ჩამოაყალიბა, 18 წლისამ – მეორე, Kulk. ნეო-პანკური მიმდინარეობის ჯგუფის Sugarcubes-ის პირველი წარმატების წყალობით 22 წლის ბიორკს უკვე მთელი ისლანდია და დანარჩენი ევროპაც იცნობდა.

ბიორკისა და მისი მუსიკის შესახებ საუბარი ამაო იქნება, თუკი მის მიერ შექმნილი სამყაროს შესახებ არაფერს ვიტყვით. ყოველ ახალ ალბომთან ერთად ბიორკი ახალ გრაფიკულ სამყაროს ქმნის. მისი კომპაქტ-დისკების ბუკლეტები ყოველთვის ხელოვნების ნიმუშებია, ისევე, როგორც მისი ყოველი ახალი ვიდეოკლიპი გაოცებას იწვევს. ამ სიტყვების დასტურად Post და Homogenic-იც (1997) კმარა.

ხელოვანს მხოლოდ ისლანდია და სცენა აღარ აკმაყოფილებდა. 2000 წელს ბიორკი კინოვარსკვლავიც გახდა. მან ლარს ფონ ტრიერის ფილმში, "წყვდიადში მოცეკვავეებში" მთავარი როლი შეასრულა. კანის საერთაშორისო ფესტივალის კრიტიკოსები და მაყურებლები ერთსულოვნად აღფრთოვანდნენ, მისი მუსიკის თაყვანისმცემლები კი შეშინდნენ, რომ ბიორკი აღარ იმღერებდა. მაგრამ მათი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა: ჩანაწერებსა და კონცერტებზე კვლავაც ჟღერს ბიორკის დამახასიათებელი აქცენტი და მშვენიერი ხმა.

თითქოს მოულოდნელია, რომ ჰიპების ჩამავალ ვარსკვლავს ძალიან ტკბილი და გაწონასწორებული პირადი ცხოვრება აქვს. 37 წლის ბიორკს ორი შვილი ჰყავს და საუკეთესო ურთიერთობას ინარჩუნებს თავის მშობლებთან. თურმე, ცოტა ხნის წინათ დედამისი მოშიმშილეებს შეუერთდა, რომლებიც ამერიკული საზოგადოების მიერ ისლანდიაში ალუმინის ფაბრიკის აშენებას აპროტესტებდნენ. ქალიშვილის დასამშვიდებლად მან შიმშილობა მხოლოდ ოთხი კვირის შემდეგ და ექვსი კილოგრამით შემსუბუქებულმა შეწყვიტა.

ასე რომ, მყინვარების კუნძულისა და ცხელი წყაროების მფარველის, ჯადოქარ ბიორკის სამყაროში ყველაფერი საუკეთესოდაა მოწყობილი...



# ეს რა მოგსვლია, ბრიჯიტ!

მრავალწლიანი შესვენების შემდეგ ფრანგი კინომსახიობი, ამჟამად კი ცხოველების ხმალამოწვდილი დამცველი, ბრიჯიტ ბარდო, ტელეეკრანზე გამოჩნდა. გადაცემაში "ყველას თავს ვერ მოაწონებ" 60-იანი წლების სექსსიმბოლომ 1963 წელს ჟან-ლუკ გოდარის მიერ გადაღებული ცნობილი ფილმიდან თავის ყოფილ კოლეგასთან, ალენ დელონთან ერთად სასიყვარულო სცენა კვლავ გაითამაშა.

გადაცემის სახელწოდება ბარდოს დღევანდელ მდგომარეობას სავსებით შეესაბამება. საქმე ის გახლავთ, რომ თავის წიგნში "ძახილი სიჩუმიდან" ის საფრანგეთის "ისლამიზაციას" უჩივის და ჰომოსექსუალისტებს, უსახლკაროებს "და მსგავსებს" ლანძღავს. გადაცემის წამყვანმა წიგნიდან ციტატა მოიყვანა: "უსახლკაროთა ქონიანი თმა, ჭუჭყიანი პერანგები და გულისამრევი ჯინსები..." "ჰო, რა, ასე არაა?" დაეკითხა BB.

ამავე წიგნში ნათქვამია, რომ ქვეყანაში უკანონოდ შემოსულმა ხალხმა ეკლესიები გომურებად აქცია. "თუკი ამას ვამბობ, ესე იგი, ძალიან განვიცდი," განმარტა ავტორმა გადაცემაში. ახალ წიგნში ის, უპირველეს ყოვლისა, მუსულმან უცხოელებს და მათ რელიგიურ პრაქტიკას ეხება, ათასჯერ აღწერს ცხვრის დაკვლის რიტუალს. ცხოველთა დაცვის სულისკვეთების გარდა, ამ გამონათქვამებს აშკარა რასისტული ელფერიც დაჰკრავს, რაზედაც მას უკვე არაერთგზის მიუთითეს.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ მისი მეგობრების, ღირსეული მამათმავლებისგან განსხვავებით, ახალგაზრდა ჰომოსექსუალისტები აუტანლად იქცევიან: "გავას იქნევენ, ნეკა თითს გაბზეკენ ხოლმე და წრიპინა, საჭურისების ხმით ჩივიან, როგორ ექცევიან საზიზღარი ჰეტეროსექსუალები", წერს ბრიჯიტ ბარდო. მისი თქმით, საფრანგეთში მეძავებიც კი შეიცვალნენ: "ჩვენი საყვარელი, კოხტა ქუჩის გოგოები აზიელებმა, ნიგერიელებმა, ვილაც მაწანწალებმა, ტრანსსექსუალებმა, ნარკომანებმა, შიდსით დაავადებულებმა და სხვა სიმპატიური საჩუქრებით აღჭურვილებმა შეცვალეს." ექსვარსკვლავი ძალიან უკმაყოფილოა.

ანტირასისტულმა ჯგუფმა, "მოძრაობა რასიზმის წინააღმდეგ და ხალხთა მეგობრობისთვის", ოფიციალურად განაცხადა, რომ ბრიჯიტ ბარდოს სასამართლოში უჩივლებს, რადგან "ეს საზარელი წიგნი მკითხველს რასიზმისკენ, დისკრიმინაციისკენ და ძალადობისკენ მოუწოდებს".


საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) 2003 წლის 1 ივნისს აცხადებს მიღებას

ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაზე.

მაგისტრის დიპლომი ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის დარგში

- ერთწლიანი ორსემესტრიანი პროგრამა ქართულ ენაზე
- პროგრამის სრული გადასახადი 600 აშშ დოლარი (ლარებში)
- სასწავლო პროგრამა შემუშავებულია ამერიკელ ექსპერტებთან პარტნიორობით
- პროგრამას ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევენ უცხოელი პარტნიორები

მისაღები პროცედურა

- საბუთების მიღება 1 ივნისიდან 5 ივლისამდე
- მისაღები პროცედურები (წერითი ტესტი და გასაუბრება) ივლისის თვეში
- სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

აბიტურიენტებს მოეთხოვებათ:

- უმაღლესი განათლების დიპლომი ნებისმიერი სპეციალობით
- მაღალი ინტელექტი და განათლების დონე.
- საჯარო სფეროში პროფესიული ინტერესი და მოტივაცია
- რეგიონებიდან კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსულ სპეციალისტებს ენიჭებათ გარკვეული უპირატესობა შერჩევის პროცესში.

დამატებითი ინფორმაციისათვის:

GIPA: თბილისი, ბროსეს ქუჩა 2
ტელ/ფაქსი: 93 14 66,
ელ-ფოსტა: admin@gipa.ge
www.gipa.ge და www.lgic.info

Georgian Institute of Public Affairs



სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

MBA: მარკეტინგი / ფინანსები / IT, ელექტრონული კომერცია / HRM, პროექტის მენეჯმენტი

MSc: საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერული სისტემის ინჟინერია, ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950 საცხოვრებლით

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

BA (Hons) ... 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).

B. Eng (Hons) ... £ 10 950

1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.

მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 06, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67






თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24


კროსვორდი




# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.